საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია

გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და გადაწყვეტის გზები

(ეკონომიკა, სოციოლოგია, ფსიქოლოგია)

2009 წლის მაისი

მ ა ს ა ლ ე ბ ი

გამომცემლობა
„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2009

MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA
NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE

REPUBLICAN SCIENTIFICAL CONFERENCE

SOCIAL-ECONOMICAL PROBLEMS OF TRANSITION PERIOD AND THE WAYS OF THEIR SOLUTION

(ECONOMICS, SOCIOLOGY, PSYCHOLOGY)

MAY OF 2009

m a t e r i a l s

Publishing House
„Shota Rustaveli State University"
Batumi – 2009

МИНИСТЕРСТВО ОБРАЗОВАНИЯ И НАУКИ ГРУЗИИ
ИНСТИТУТ НИКО БЕРДЗЕНИШВИЛИ

РЕСПУБЛИКАНСКАЯ НАУЧНАЯ КОНФЕРЕНЦИЯ

СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКИЕ ПРОБЛЕМЫ ПЕРЕХОДНОГО ПЕРИОДА И ПУТИ ИХ РАЗРЕШЕНИЯ

(ЭКОНОМИКА, СОЦИОЛОГИЯ, ПСИХОЛОГИЯ)

МАЙ 2009 ГОДА

материалы

Издательство
«Государственный университет Шота Руставели»
Батуми - 2009

კრებულის პირველ ნაწილში განხილულია აჭარის ეკონომიკური განვითარების თავისებურებები საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში. წარმოდგენილი ნაშრომები შესრულებულია მრავალრიცხოვანი სამეცნიერო, სტატისტიკური, ეკონომიკური, სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური მონაცემების საფუძველზე. შესწავლილია რეგიონული საბანკო სისტემის ასპექტები, ტურისტული ინდუსტრიის ფუნქციონირების ძირითადი მიმართულებები, თავისებურებები და შედეგები, რეგიონის აგრარული განვითარების პერსპექტივები. კრებულის მეორე ნაწილი ეძღვნება ისეთ მ'სარდ და პერსპექტიულ ფსიქოლოგიურ მიმართულებას, როგორიც არის კლინიკური ფსიქოლოგია. ამ ნაწილში წარმოდგენილია სტატიები დეპრესიის ფენომენოლოგიის, დეპრესიის წარმოშობის, სტრესისა და სტრესოგენული ფაქტორების თავისებურებების, ახალი ექსპერიმენტული მონაცემები აპროპრიაციის ფსიქოლოგიის სფეროდან, ხასიათის აქცენტუაციის პრობლემები და სხვა აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი სტატიები.

კრებული სასარგებლოა აჭარის ეკონომიკისა და ფსიქოლოგიის პრობლემური საკითხებით დაინტერესებული მკითხველებისა და მეცნიერი მუშაკების, აგრეთვე სტუდენტებისა და მაგისტრანტებისათვის.

რედაქტორი	**ჟანი მიქაშავიძე - ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი**
Editor	**Zhani Mikashavidze - Academic Doctor of Economic Sciences**
Редактор	**Жани Микашавидзе - Академический доктор экономических наук**
რედაქტორი	**გურამ ჩაგანავა - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი**
Editor	**Guram Chaganava - Doctor of Psychological Sciences**
Редактор	**Гурам Чаганава - Доктор психологических наук**
რეცენზენტი	**პაატა ჩაგანავა - ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი**
Reviewer	**Paata Chaganava - Academic Doctor of Economic Sciences**
Рецензент	**Паата Чаганава - Академический доктор экономических наук**

ISBN 978-9941-409-46-2

© „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2009

ჟანი მიქაშავიძე, ვახტანგ მიქაშავიძე

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარება – ქვეყნისა და რეგიონების ეკონომიკური უსაფრთხოების პრიორიტეტული მიმართულება

თანამედროვე პერიოდში ჩვენი ქვეყნისა და მისი ცალკეული რეგიონების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სახელმწიფოს ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერება, აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური წინამძღვრების შექმნა მრეწველობისა და მომსახურების იმ დარგების რეაბილიტაციისა და განვითარებისათვის, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ეკონომიკის მაქსიმალურად მოკლე დროში გამოცოცხლება და მისთვის შემდგომი აღმავლობის ახალი იმპულსების მიცემა. ჩვენი აზრით, დღევანდელ ეტაპზე ასეთ პრიორიტეტულ სფეროდ, რომელსაც შეუძლია ჩვენი ქვეყნისა და მათ შორის აჭარის რეგიონის ეკონომიკის უმოკლეს ვადებში აღმავლობა, მდგრადი და უსაფრთხო განვითარება, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება მიეკუთვნოთ სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი. უდიდესია მისი გავლენა საზოგადოების განვითარებაზე, ქვეყნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე, ეკონომიკის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებასა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე. იგი განმსაზღვრელ გავლენას ახდენს საწარმოო ძალთა განვითარების დონესა და დინამიკაზე, საზოგადოებრივი ცხოვრების დონის ამაღლებაზე, შრომის პირობების გაუმჯობესებაზე და სხვ. ამიტომ, სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა გულისხმობს ეროვნული ეკონომიკის ისეთი დონის მიღწევას,

რომელმაც უნდა შექმნას საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობა, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის მდგრადობა მოსალოდნელი შიგა და გარე საფრთხეების პირობებში. ამგვარად, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება პირდაპირაა დამოკიდებული ენერგეტიკული უსაფრთხოების მიღწევაზე, სახელმწიფოს საკუთარი ენერგორესურსების მიზანმიმართულ, გონიერულ ათვისებასა და მისი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებაზე [15, 216]. საინტერესოა აღინიშნოს, რომ პროფ. თ.ჩიკვაიძის მიერ შემოთავაზებულ საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების მოდელში, რომელიც მთლიანად განეკუთვნება ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას, ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხები უფრო წინა პლანზეა წამოწეული, ვიდრე სასურსათო უსაფრთხოება, საინვესტიციო უსაფრთხოება და რიგი სხვა საკითხები [13, 76-78], რაც ალბათ საკმებით მართებულად უნდა მივისნიოთ.

კაცობრიობის განვითარების მთელმა მსვლელობამ ნათლად დაამტკიცა ენერგეტიკის რევოლუციური როლი და მნიშვნელობა საზოგადოების ეკონომიკურად უსაფრთხო განვითარებისათვის, რდგანაც სწორედ მას მიეკუთვნება წამყვანი ადგილი ქვეყანაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასა და მოსახლეობის შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში და სხვ. მართლაც, 21-ე საუკუნის ისტორიული გადასახედიდან დღეს შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საბობ-ენერგეტიკული კომპლექსი გადამწყვეტ როლს ასრულებდა ჩვენი ქვეყნის სამრეწველო ინდუსტრიის უკლებლივ ყველა დარგის შექმნასა და განვითარებაში. საბობ–ენერგეტიკული კომპლექსის დარგებმა შეუქმნა მტკიცე მატერიალურ–ტექნიკური ბაზა არა მარტო მრეწველობის, არამედ ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს დარგებს–სამშენებლო ინდუსტრიას, ტრანსპორტს, კავშირგაბმულობას, აგრარულ სექტორს, თანამედროვე საწარმოო ინფრასტრუქტურას. დღეს ელექტროენერგეტიკის გარეშე წარმოუდგენელია მართვის ავტომა-

ტიზებული სისტემების, ტელეკომუნიკაციური არხების, ელექტრონულ-გამოთვლელი ტექნიკის, ინფორმაციის მომპოვებელი, გადამამუშავებელი და გადამცემი მოწყობილობების ფუნქციონირება.

ჩვენს ქვეყანაში წარსულში სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის და კერძოდ, ენერგეტიკის განვითარებამ მძლავრი ბიძგი მისცა ეკონომიკის აღორძინებას, შეიქმნა მრეწველობისა და მეურნეობის ახალი დარგები, აიგო და ქვეყნის სამსახურში ჩადგა ასეულობით საწარმო, შეიქმნა ასეულ ათასობით ახალი სამუშაო ადგილი, გაიზარდა წარმოებული პროდუქციის და მომსახურებისა და ექსპორტ-იმპორტის ბრუნვის მოცულობა, რამაც ასახვა ჰპოვა სოციალურ სფეროზე. კერძოდ, გაიზარდა მოსახლეობის დასაქმება, შემცირდა უმუშევრობა, ამაღლდა შრომის ანაზღაურება, მოსახლეობის ფულადი შემოსავლები, მისი გადახდისუნარიანი მოთხოვნა და ა.შ. ამასთან ერთად, ელექტროენერგიის მზარდმა წარმოებამ ხელი შეუწყო მანამდე ისეთი გადაუჭრელი საკითხების მოგვარებას, როგორიცაა კომუნალური და საყოფაცხოვრებო პრობლემები და სხვ. სწორედ ეს შესაძლებელი გახდა სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარების დახმარებით, რომლის პირდაპირი შედეგია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის აღმავლობა, კერძოდ, წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა როგორც წლიური აბსოლუტური მოცულობით, ისე მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით [3, 326-327].

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისა და ზრდის თვალსაზრისით სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარებას განსაკუთრებული პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება დღეს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და მისი შენარჩუნებისათვის ბრძოლის პირობებში. საკმარისია ითქვას, რომ კაცობრიობის განვითარების ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ენერგეტიკის განვითარებასთან, რადგანაც წარსულშიც და ამჟამადაც ენერგეტიკული რესურსების სიუხვე თუ დეფიციტი განსაზღვრავს

გლობალურ პოლიტიკურ და სოციალურ ცვლილებებს. აქედან გამომდინარე, ქვეყანამ თავისი საგარეო პოლიტიკა უნდა ააგოს საკუთარი ენერგეტიკული რესურსების გათვალისწინებით [5, 93]. ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავებისას მხედველობაშია მისაღები მრავალი ფაქტორი, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესია თვით ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება. ამ მიზნის მიღწევისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია მრეწველობის დარგებისა და, მათ შორის, სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის სასწრაფო რესტრუქტურიზაცია, ისე, რომ მისი ფუნქციონირება მინიმალურად იყოს დამოკიდებული ქვეყნის გარე ფაქტორებზე და მაქსიმალურად დაეყრდნოს ქვეყნის შინაგან რესურსებსა და შესაძლებლობებს. რესტრუქტურიზაციის გატარება ერთდროულად ხელს შეუწყობს რამდენიმე რთული ამოცანის გადაჭრას, რომლის მთავარი მიზანი ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაა. ეს პრობლემა თავისი აქტუალობით დღეს მეცნიერთა ყურადღების ცენტრშია.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის სამრეწველო ინდუსტრიალიზაციისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობას ერთსულოვნად იზიარებს ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა უდიდესი ნაწილი, მაგრამ მთავარია ის, რომ მან ასახვა ჰპოვოს ქვეყნის სტრატეგიული განვითარების ოფიციალურ სახელმწიფო პროგრამასა და პრაქტიკულ საქმიანობაში. ქვეყნის განვითარების ეს ახლებური მეცნიერული ხედვა ახლებურად აყალიბებს ენერგეტიკის წინაშე მდგომ მიზნებსა და ამოცანებს. ნათლად გვიჩვენებს მის ადგილს ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტაში. ახალი ამოცანები კი, თავის მხრივ, უნდა შეესაბამებოდეს ახალ ვითარებასა და ახალ მოთხოვნებს, რომლებსაც საშინაო და საგარეო ბაზარი წამოჭრის ენერგეტიკის წინაშე კონკურენციული ბრძოლის ვითარებაში და რომელთა სრული დაკმა-

ყოფილებისაკენ უნდა წარმართოს როგორც დარგის საწარმოო პოტენციალი, ისე მისი მომავალი განვითარების გზები [3, 329–331].

ჩვენი ქვეყანა პოტენციური ჰიდროენერგორესურსებით რამდენჯერმე აღემატება მეზობელ ქვეყნებს. ამ განახლებადი რესურსების ტექნიკურად ხელმისაწვდომი წლიური მოცულობა აჭარბებს 88 მლრდ კილოვატსაათს [12, 73] და ბევრად აღემატება ქვეყნის საკუთარ მოთხოვნილებებს, მაშინ, როცა ამ პოტენციალიდან ათვისებულია მხოლოდ 9,33 მლრდ კილოვატსაათი [5, 95], რის გამოც ელექტროენერგიის წარმოებაში წარმოქმნილი დეფიციტის დაძლევა ქვეყანას უკანასკნელ წლებში უხდებოდა იმპორტირებული ელექტროენერგიის ხარჯზე. როგორც ვხედავთ, საქართველოს ენერგეტიკას გააჩნია დიდი რეზერვები და ჯერ კიდევ გამოუყენებული ფართო შესაძლებლობანი. აქედან გამომდინარე, ენერგეტიკის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად უნდა ჩაითვალოს ადგილობრივი ენერგორესურსების ისეთი სამრეწველო ათვისება, რომელიც საშუალებას მისცემს ქვეყანას მოახდინოს ჭარბი ელექტროენერგიის ექსპორტი და ამ გზით ხელი შეუწყოს საკუთარი სავალუტო რეზერვების ზრდას.

აღსანიშნავია, რომ აჭარა, ისევე, როგორც საქართველოს სხვა რეგიონები, საკმაოდ მდიდარია ჰიდროენერგორესურსებით. მაგრამ, სამწუხაროდ, მისი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია გამოყენებული, ამიტომ იძულებულია ელექტროენერგია შემოიტანოს ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარედან. ასე მაგალითად, აჭარის რეგიონში 2001–2005 წლებში მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე შემცირდა 550,0 მილიონ კილოვატსაათიდან 500,0 მილიონ კილოვატსაათამდე, ანუ 9,1%–ით, სამაგიეროდ გაიზარდა ფაქტობრივად მოხმარებული ელექტროენერგია 287,6 მლნ-დან 461,8 მლნ კილოვატსაათამდე, ანუ 60,6%–ით, გამომუშავებული ელექტროენერგია 54,0 მლნ-დან 70,2 მლნ კილოვატსაათამდე ანუ, 30,0%–ით, აჭარის ფარგლებს გარედან მოწოდებული ელექტროენერგია 232,6 მლნ კილოვატსაათიდან 291,6 მლნ კილოვატსაათამდე,

ანუ 68,4%–ით. ამასთან, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ადგილზე წარმოებული ელექტროენერგიის ხვედრი წილი მოხმარებული ელექტროენერგიის მთლიან მოცულობაში აღნიშნულ პერიოდში კი არ გაიზარდა, შემცირდა კიდეც 18,2%–დან 15,2%–მდე, რამაც განაპირობა რეგიონის ფარგლებს გარედან მიწოდებული ელექტროენერგიის ხვედრი წილის ზრდა მთლიან მოხმარებაში 80,9%–დან 84,8%–მდე [2, 29]. რეგიონში ელექტროენერგიის წარმოებისა და მოხმარების სფეროში ანალოგიური სიტუაცია გრძელდებოდა 2006–2008 წლებშიც.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თანამედროვე საბაზრო ურთიერთობის პირობებში, აჭარის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებით აქტუალურია ეფექტიანი ღონისძიებების გატარება სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დეფიციტის დასაძლევად, ამისათვის აუცილებელია:

– ეკოლოგიურ მოთხოვნათა გათვალისწინებით აჭარის ტერიტორიაზე არსებული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მთელი კომპლექსის – ჰიდროენერგიის, თბოენერგიის და ენერგიის არატრადიციული წყაროების რაციონალური და უდანაკარგო გამოყენება, აგრეთვე თანამედროვე ელექტროდამზადი ტექნოლოგიების ფართო დანერგვა;

– აჭარის პირობებისათვის შესაფერისი სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის მეცნიერულად ჩამოყალიბებული ოპტიმალური სტრუქტურის შემუშავება და ელექტროენერგიის მოხმარებაში, განაწილებასა და ხარჯვაში სწორი აღრიცხვისა და კონტროლის დაწესება;

– რეგიონში ელექტროენერგიის წარმოების სიმძლავრეების მნიშვნელოვანი გაზრდა ახალი ჰიდრო, თბო და ქარის ელექტროსადგურების მშენებლობის გზით [6, 186-187].

ამ თვალსაზრისით გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს მთლიანად ქვეყნისა და კერძოდ, აჭარის მდინარეების საკმაოდ მდიდარი ჰიდრორესურსების გამოყენების საკითხი. სპეციალისტთა აზრით, სათანადო ინვესტიციების მოძიებით, აჭარის მდინარეებზე სავსებით შესაძლებელია აგებული

იქნას რამდენიმე ჰიდროელექტროსადგური, რომელთა ამოქმედების შედეგად შეიძლება რეგიონის დღევანდელი მოთხოვნილება მთლიანად დაკმაყოფილდეს ადგილობრივი წარმოების ელექტროენერგიაზე. ამასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მცირე ჰესების დაჩქარებულ მშენებლობას. ამის მიღწევა შესაძლებელია აჭარის თითქმის ყველა რაიონში და მათი მშენებლობა შეიძლება განხორციელდეს აქ არსებული საწარმოო პოტენციალის, ფინანსური რესურსებისა და კერძო კაპიტალის მოზიდვის ხარჯზე.

ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკაში არასწორი მიდგომებია ენერგეტიკის მიმართ. ჰიდრორესურსები, რომლებიც ქვეყანას ჭარბად აქვს, პრიორტეტად უნდა იქცეს, ისე, როგორც აზერბაიჯანისა და რუსეთისათვის — ნავთობი და გაზი. ელექტროენერგიის გამოყენებაზე უნდა გადავიდეს ბევრი რამ, მაგალითად, ტრანსპორტი, გათბობის სისტემა, იმიტომ, რომ როდესაც ჩვენ ვიხდით ფულს გაზში, ამ ფულის 90% გადის ქვეყნიდან, ხოლო როდესაც ფულს ვიხდით ელექტროენერგიაში, მისი 90% ქვეყანაში რჩება. აქედან გამომდინარე, რომც აღმოჩნდეს, ერთი შეხედვით, რომ შემოტანილი ნავთობი და გაზი უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ჩვენს მიერ წარმოებული ელექტროენერგია, მაინც ელექტროენერგიის დახარჯვა უფრო ეფექტიანია ქვეყნისათვის, ვიდრე იმ ენერგეტიკული რესურსებისა, რომელიც ჩვენ არ გამოგვიმუშავებია [4, 11]. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ ენერგორესურსებზე ფასების მარეგულირებელი კომისიის მიერ ეახლეს პერიოდში შემუშავებულ და დანერგილ იქნა ისეთი ტარიფები, რომელიც სამომხმარებლო ბაზარზე კონკურენტუნარიანს გახდის ქვეყანაში წარმოებულ ელექტროენერგიას.

საქართველო და მათ შორის აჭარა საკმაოდ მდიდარია ისეთი არატრადიციული ენერგორესურსებით, როგორიცაა ქარის ენერგია, რომლის ათვისება მრავალ ქვეყანაში ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა და დიდი პერსპექტივა აქვს. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზე-

ზია ის, რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ქარის ელექტროსადგურებზე მიღებული 1 კილოვატსაათი ენერგიის ღირებულება შემცირდა 10-ჯერ 50 ცენტიდან 5 ცენტამდე. ქართველი სპეციალისტების მიერ დადგენილია ქარის ენერგიის განვითარების ხელსაყრელი რეგიონები, რომელთა შორის აღსანიშნავია აჭარა, კერძოდ, მდ.ჭოროხის ხეობა [10, 96]. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, დღეისათვის თითოეული ქარის ელექტროსადგურიდან შესაძლებელია ადრინდელთან შედარებით მიღებული იქნას გაცილებით მეტი ელექტროენერგია. თუ გავითვალისწინებთ სპეციალისტთა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მდ. ჭოროხის ხეობაში შესაძლებელია რამდენიმე ათეული ქარის ელექტროსადგურის აშენება, მიღებული ელექტროენერგიის საერთო მოცულობის მნიშვნელობა უდაოდ ხელშესახები იქნება.

ჩვენს ქვეყანაში არსებული ენერგოდეფიციტის პირობებში დიდ პერსპექტივებს სახავს შავი ზღვის აუზის საერთაშორისო მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის ენერგეტიკულის (ნავთობი, გაზი, გაზჰიდრატები) ათვისება და ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების სამსახურში ჩაყენება. ახალ გეოპოლიტიკურ პირობებში შავი ზღვის რეგიონი ხდება ერთ-ერთ დინამიურად განვითარებად პერსპექტიულ რეგიონად მსოფლიო სამეურნეო სისტემაში. ეს განპირობებულია მომგებიანი ტრანზიტული ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით, განვითარებული საპორტო და საკურორტო ინფრასტრუქტურით, ბუნებრივი პოტენციალის მნიშვნელობით.

ენერგეტიკული რესურსების ძირთადი სახეობები – ნავთობი, გაზი და ქვანახშირი წარმოადგენს შავიზღვისპირა ქვეყნების ძირითადი დაინტერესების ობიექტს. დღეისათვის განსაკუთრებით პერსპექტიულად ითვლება შავი ზღვის ჩრდილო, ჩრდილო–დასავლეთი და აღმოსავლეთი შელფური ზონები, სადაც აღმოჩენილია და მიმდინარეობს ნავთობის, გაზისა და ქვანახშირის საბადოების ექსპლუატაცია და წარმოადგენენ მიმდებარე ხმელეთის გავრცელებას.

ჩვენი ქვეყნის მიმდებარე შავი ზღვის აკვატორია თავისი გეოლოგიური, სტრუქტურული, ჰიდროდინამიური და გეოქიმიური მონაცემებით და მის მოსაზღვრე სახმელეთო რაიონებში ნავთობ–გაზგამოვლინებების გავრცელების მიხედვით პერსპექტიულ ტერიტორიას მიეკუთვნება. მაგალითად, აჭარის მიმდებარე შავი ზღვის აკვატორიაში პერსპექტიულ სტრუქტურებს წარმოადგენენ მერიის, დასავლეთ მერიის, დასავლეთ ჩოლოქის, ციხისძირისა და დასავლეთ ჩაქვისათვის ზღვით დაფარული ტერიტორიები, რომლებიც მცირე მანძილით არის დაშორებული ზღვის სანაპიროდან და ხელმისაწვდომია ბურღვისათვის. ამ სტრუქტურებში შენახული უნდა იყოს ნავთობისა და გაზის პერსპექტიული ნალექები. ამ მონაცემების საფუძველზე აჭარის ზღვის აკვატორიისათვის (2500 კმ^2) დათვლილია ნავთობის მოსალოდნელი პროგნოზული რესურსები, რომლებმაც შეადგინა 300 მილიონი ტონა. სწორედ 2000–2002 წლებში ამერიკა-საქართველოს ერთობლივმა ფირმამ „ანადარკო ჯორჯია კომპანიმ" აღნიშნულ ფართობზე ჩაატარა პირველი რიგის გეოფიზიკური სამუშაოები, რის შედეგადაც ზღვის აკვატორიაში გამოიყო სამი პერსპექტიული უბანი, რომელთაგან თითოეულზე შეიძლება შეიცავდეს „არასარისკო რეზერვებს" (პროგნოზული რესურსები) 70 მილიონიდან 1,3 მილიარდ ბარელამდე ნავთობს. უკვე გამოცხადებულია ტენდერი ბურღვითი სამუშაოების დაწყებაზე.

უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მსოფლიო ოკეანის ენერგორესურსების შეფასებისას დიდი ყურადღება ეთმობა ისეთი არატრადიციული მინერალური ნედლეულის ძიებას და მისი რესურსული პოტენციალის გამოვლენას, როგორიცაა გაზჰიდრატები.[1] ასეთი ინტერესი განპირობებულია იმით, რომ როგორც წყალბადოვანი ნედლეუ-

[1] გაზჰიდრატები–მყარი ნივთიერება, რომელშიც გაზის მოლეკულები მაღალი წნევისა და დაბალი ტემპერატურის პირობებში ავსებენ წყლის მოლეკულების კრისტალური მესერის სიცარიელეებს წყალბადის მტკიცე კავშირების საშუალებით.

ლის პოტენციური რესურსი, იგი შეიძლება სჭარბობდეს დედამიწის ქერქში არსებულ ყველა სახის საწვავი წიაღისეულის პოტენციალს.

შავი ზღვის ცალკეული უბნებისათვის გეოლოგების მიერ განსაზღვრულია გაზჰიდრატების პროგნოზული რესურსები, რომლებიც საკმაოდ შთამბეჭდავია. მაგალითად, შავი ზღვის საქართველოს აკვატორიაში გაზჰიდრატებიდან შესაძლო გამოყოფილი გაზის (ამოღების კოეფიციენტად მიღებულია 0.5–0,6) პროგნოზულმა რაოდენობამ შეადგინა 1,2–1,4 მილიონი მ^3 ერთ კმ^2-ზე [16, 135-139]. მოტანილი მონაცემები იძლევა იმის საფუძველს, რომ თუ სპეციალისტების პროგნოზები გამართლდა და აღნიშნული რესურსების მოპოვება ტექნიკურად შესაძლებელი გახდა, საქართველო არცთუ შორეულ პერსპექტივაში შესაძლოა მთლიანად განთავისუფლდეს ენერგორესურსების იმპორტისაგან.

ენერგეტიკული რესურსების მნიშვნელოვანი წყაროა ბიომასის ენერგია, ამ რესურსებში იგულისხმება: მერქნისა და მისი ნარჩენების გადამუშავება; სოფლის მეურნეობის მოსავლის ნარჩენები; აგროწარმოების ნარჩენები; მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ნარჩენები; კომუნალური ნარჩენები. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო მზარდი მნიშვნელობა ენიჭება ბიომასის რესურსების გამოყენებას. იგი ჩვენი ქვეყნისათვის შეიძლება განხილული იქნას როგორც ენერგეტიკული რესურსების ჯერ კიდევ გამოუყენებელი შესაძლებლობა. თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში (ბრაზილია, საფრანგეთი, შვეიცარია, კანადა და ა.შ.) მერქანი და მისი ნარჩენები წარმატებით გამოიყენება ენერგეტიკული მიზნებისათვის, რისთვისაც ხორციელდება სპეციალური პროგრამები. იქმნება სპეციალური სწრაფადმზარდი ტყეების პლანტაციები და მუშავდება მისი პროდუქტის ეფექტიანად გამოყენების ტექნოლოგიები. ბიომასის დანარჩენ რესურსებსაც შეუძლია გარკვეული წვლილის შეტანა ჩვენი ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში. მაგალითად საქართველოს დიდ ქალაქებში და მათ შორის ბა-

თუმის ნაგავსაყარებზე ყოველწლიურად იყრება მილიონობით ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი. მისი გადამუშავების შედეგად შესაძლებელია მიღებული იქნას ეროვნული მეურნეობისათვის მეტად საჭირო სხვადასხვა სახის პროდუქცია. ასე მაგალითად, სპეციალისტთა შეფასებით, მარტო ქ.თბილისის ნაგავსაყარზე ყოველწლიურად გადაყრილი სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენის გადამუშავების შედეგად შესაძლებელია მიღებული იქნას 120 მლნ m^3 ბიოგაზი, რომელიც 100 ათ. ტონა პირობითი საბობის ექვივალენტია. გარდა ამისა ნარჩენების გადამუშავების შედეგად მიიღება ეკოლოგიურად სუფთა მინერალური სასუქი. ხოლო მოსავლის ბიომასიდან შეიძლება ვაწაარმოოთ ყოველწლიურად 200 ათასი m^3 სპირტი. ცხადია, ჩვენს ქვეყანაში ბიომასის გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ენერგომომარაგების გაუმჯობესებაში [5, 96-97].

მწვავე ელექტროდეფიციტის პირობებში აუცილებელია ყველა რეგიონს ჰქონდეს საბაზო ელექტროსადგურები. ამ პრობლემის გადაწყვეტის გზაზე ახლო წარსულში რეგიონში გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. აჭარის ხელისუფლების ძალისხმევით ქობულეთის რაიონში დაიწყო ბუნებრივ აირზე მომუშავე 61,5 მეგავატი სიმძლავრის ელექტროსადგურის მშენებლობა. სამწუხაროდ, გაურკვეველი მიზეზების გამო მშენებლობა შეჩერდა. არა და მისი აშენებითა და ექსპლუატაციაში გაშვებით ნაწილობრივ მაინც შერბილდებოდა წლის პიკურ პერიოდებში ჩვენს რეგიონსა და მთლიანად ქვეყანაში ენერგოდეფიციტით გამოწვეული დაძაბულობა.

აჭარის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი წარმოუდგენელია ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ფუნქციონირების გარეშე, არადა დღეს იგი გაჩერებულია. ქარხანამ წარსულში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში. საკმარისია ითქვას, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებამდე მას სხვადასხვა პერიოდებში აჭარის მრეწველობის მთლიანი

პროდუქციის დარგობრივ სტრუქტურაში 35–40% ეჭირა, ხოლო ამ საწარმოში დასაქმებული იყო დაახლოებით 600–800 კაცი. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქარხანა თავისი გეოგრაფიული მდებარეობითა და მნიშვნელობით გვეელინება, როგორც ქვეყნის უსაფრთხოების სტრატეგიული ობიექტი და საგალუტო სახსრების მოზიდვის უმნიშვნელოვანესი წყარო. ამდენად, მისი უმოქმედობა ყოველად გაუმართლებელია. აჭარის ადგილობრივმა ხელისუფლებამ საქართველოს მთავრობასთან ერთობლივი მოქმედებით უმოკლეს ვადაში უნდა გადაწყვიტოს თანამედროვე ეკოლოგიური ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინებით ახალი ქარხნის მშენებლობის საკითხი. სპეციალისტთა მიახლოებითი გამოთვლებით 3–5 მლნ ტონა ნედლი ნავთობის გადამამუშავებელ ქარხანას წელიწადში სულ მცირე 70–80 მლნ დოლარის ექვივალენტი ეროვნული ვალუტის შეტანა შეუძლია ქვეყნის ბიუჯეტში.

ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის სტრატეგიული როლისა მნიშვნელობის ახლებური, ჭეშმარიტად მეცნიერული გააზრება ასევე ახლებურად აყალიბებს ამ სფეროს წინაშე მდგომ მიზნებსა და ამოცანებს, განსაზღვრავს მის ადგილს ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, აუცილებელია:

1. ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სტრატეგიიდან გამომდინარე, ენერგეტიკამ უზრუნველყოს ეროვნული მეურნეობის ყველა დარგისადმი ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდება საბაზრო მოთხოვნის შესაბამისად. ამისათვის აუცილებელია ენერგეტიკის პროდუქციაზე მოთხოვნის გრძელვადიანი პროგნოზის შემუშავება, დარგის საწარმოო სიმძლავრეების წინგამსწრები ტემპებით განვითარება;

2. ენერგეტიკული საწარმოო პოტენციალის ზრდის პერსპექტივებში გათვალისწინებული იქნეს გამოშვებული პრო-

დუქტის ზრდა არა მარტო საწარმოო მოხმარების, არამედ კომუნალური და საყოფაცხოვრებო მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილება;

3. ენერგეტიკის განვითარების ერთ–ერთ მნიშვნელოვან ამოცანად უნდა იქნას დასახული ადგილობრივი ჰიდროორესურსების ისეთი სამრეწველო ათვისება, რომელიც საშუალებას მისცემს ქვეყანას საექსპორტოთ გაიტანოს ჭარბი ელექტროენერგია და ამ გზით შეიესოს მისთვის უაღრესად საჭირო საკალუტო მარაგი. ამ ამოცანის შესრულება მიღწეულია, რადგანაც არსებული ტექნიკურად ხელმისაწვდომი რესურსები ბევრად აღემატება ქვეყნის შინაგან საჭიროებას.

4. ამაღლდეს როგორც თვით ენერგეტიკის, ისე მასზე დამოკიდებული დარგების ავტონომიურობა ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში ადგილობრივი რესურსების ხვედრი წილის თანდათანობითი ამაღლებით იმ ვარაუდით, რომ იგი გადამწყვეტ როლს თამაშობდეს საჭირო ენერგიით ქვეყნის უსრუნველყორფაში. ამ ამოცანის გადასაჭრელად ჰიდროენერგიის ათვისების პარალელურად ქვეყნის სათბობ–ენერგეტიკულ ბალანსში სულ უფრო დიდი ხვედრითი წილი უნდა დაიკავოს ადგილობრივი მოპოვების ტრადიციული და არატრადიციული ენერგეტიკული რესურსების გამოყენებამ.

5. ენერგეტიკის დარგმა უზრუნველყოს მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის დადგენილი რაოდენობის მიწოდება წლის სეზონებისა და დღე-ღამური რეჟიმის თავისებურებათა გათვალისწინებით, ანუ სახელშეკრულებო განრიგების მკაცრი დაცვით, ამასთან მიწოდებული ენერგიის სტანდარტული სიხშირის, ანუ მისი ხარისხობრივი მაჩვენებლის გათვალისწინებით, რაც უნდა განხორციელდეს ჰიდროენერგეტიკული და თბოენერგეტიკული სიმძლავრეების პროპორციული შეხამების, მათი ტექნიკურად გამართვის და რაციონალური ექსპლუატაციის უზრუნველყოფის საფუძველზე.

6. დარგის შეუფერხებელი განვითარებისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დაგროვების შიგა წყაროების შექმნასა და წარმართვას (ისევე როგორც გარედან მოზიდუ-

ლი ინვესტიციების მიზანმიმართულ და ეფექტიანად გამოყენებას), რაშიც დიდი როლი უნდა ითამაშოს გამომუშავებული ელექტროენერგიის თვითღირებულების თანმიმდევრულად შემცირებამ, დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანამ, საამორტიზაციო დანარიცხების სწორმა რეგულირებამ და ეფექტიანად გამოყენებამ. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალი საწარმოო სიმძლავრეების შექმნის ეკონომიკურ დასაბუთებას, მათი სწორი დაპროექტების, მშენებლობის ხარისხსა და ვადების დაცვის უზრუნველყოფას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აჭარა ციფრებში 2000. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. ბათუმი, 2001, 127 გვ.

2. აჭარის სტატისტიკური წელიწდეული, 2005. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დეპარტამენტის კრებული, ბათუმი, 2006, 44 გვ.

3. ბაყაშვილი ლ. თბოელექტროენერგეტიკის როლი ქვეყნის სტაბილურ სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაში. საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სკი, შრომების კრებული, ტ. V, თბ., 2000, გვ.326–336.

4. ებრალიძე დ. ელექტროენერგიის ხარჯვა უფრო ეფექტურია ქვეყნისათვის, ვიდრე იმ რესურსების, რომელსაც ჩვენ არ გამოვიმუშავებთ. გაზ. „ბანკები და ფინანსები“ 2009, №9, 17–23 მარტი, გვ. 11.

5. მაქაცარია ნ. ენერგორესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები საქართველოში. ჟ. “ეკონომიკა”, თბ., 2006, №4, გვ. 93–98.

6. მიქაშავიძე ჟ. აჭარის მრეწველობის განვითარების ძირითადი მიმართულებები. _კრ.:საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში. ბათუმი–თბილისი, 2001, გვ. 185–191.

7. მიქაშავიძე ვ., მიქაშავიძე ჟ. ტურიზმის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები. ტურიზმის განვითარების სოციალურ–ეკონომიკური პრობლემები. გამომცემლობა “ბათუმის უნივერსიტეტი”, ბათუმი, 2007, გვ. 5–59.

8. მიქაშავიძე ვ., მიქაშავიძე ჟ. აჭარის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების შემუშავების საკითხისათვის. კრ.: აჭარის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, X. გამომცემლობა "მოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი", 2008, გვ. 5–31.

9. მოურავიძე დ. საქართველოს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და პრიორიტეტები._კრ.: საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში. ბათუმი–თბილისი, 2001, გვ. 21–32.

10. ოთანიშვილი რ. საქართველოს ეკონომიკის უსაფრთხოების ზოგადი თავისებურება. საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სკი, შრომების კრებული, ტ.V, თბ., 2000, გვ.112–129.

11. სანთელაძე ნ. სამრეწველო პოლიტიკის შემუშავების საკითხისათვის. საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სკი, შრომების კრებული, ტ. II, თბ., 1997, გვ. 420–437.

12. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. საქართველოს ენერგეტიკული რესურსები და მათი რაციონალურად გამოყენების პრობლემები, თბ., 1992 (რუსულ ენაზე).

13. ნიკვაიძე თ. საქართველოს ახალი პარადიგმა: მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სტრატეგია XXI საუკუნისათვის. საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სკი, შრომების კრებული, ტ.II, თბ., 1996, გვ. 38-84.

14. ნომახიძე დ., ბაბილაშვილი ლ. საქართველოს სათბობ–ენერგეტიკული კომპლექსი: შედეგები და ამოცანები. საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სკი, შრომების კრებული, ტ.I, თბ., 1997, გვ. 298-308.

15. ნომახიძე დ. საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება: მდგომარეობა, პრობლემები და უსრუნველყოფის ღონისძიებები. საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სკი, შრომების კრებული ტ. VI, 2002, გვ. 216–235.

16. ქიქავა ა., ხომერიკი გ., ტუსკია ნ. შავი ზღვის ბუნებრივი, ენერგეტიკული და მინერალური რესურსები და მათი ათვისების პერსპექტივები. ჟ. "ეკონომიკა", 2008, №9, გვ. 135–145.

Zhani Mikashavidze, Vakhtang Mikashavidze

Development of Heat-and-power Engineering Complex is an Economical Priority Direction in State and Regional Security

Summary

At present stage, under conditions of political independence gained by Georgia, economic independence, strengthening of potential and rehabilitation of branches, which can promote revival and acceleration of economic development, are given particular importance. Today, such sphere of priority in the whole country and in Adjara, in particular, is heat-and-power engineering complex. Hence, during the devising state's economic policy, the main attention should be paid to urgent restructuring and acceleration of development of heat-and-power engineering complex so that it would marginally depend on outer factors and at the most depend on the inner resources and abilities. Settlement of this problem will favour solution of several complex tasks which are mainly aimed at the provision of economic independency of the country.

Жани Микашавидзе, Вахтанг Микашавидзе

Развитие теплоэнергетического комплекса – приоритетное направление экономической безопасности государства и региона

Резюме

На современном этапе, когда Грузия обрела политическую независимость, экономическая самостоятельность, усиление потенциала и реабилитация тех отраслей, которые должны обеспечить в максимально короткие сроки оживление и ускоренное развитие экономики, получают особенное значение. На сегодняшний день, подобной приоритетной сферой, как в стране в целом, так и в Аджарии, в частности, является теплоэнергетический комплекс.

Исходя из этого, в ходе разработки экономической политики государства, основное внимание должно быть обращено на срочную реструктуризацию и ускоренное развитие теплоэнергетического комплекса таким образом, чтобы его функционирование минимально зависело от внешних факторов и максимально опиралось на внутренние ресурсы и возможности. Урегулирование этой проблемы будет способствовать решению нескольких сложных задач, основной целью которых является обеспечение экономической независимости государства.

პაატა ჩაგანავა

მოლაპარაკების პროცესში ფასის დადგენის მექანიზმი და მასთან დაკავშირებული რისკების მართვა

შესავალი -

მოლაპარაკების პროცესი თანამედროვე ბიზნეს-ურთიერთობების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. მოლაპარაკების პროცესში წყდება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა საქონლის (მომსახურების) ფასი და შესყიდვის მოცულობა, ხარისხი და მიწოდების პირობები; დაქირავების ხანგრძლივობა, ხელფასის განაკვეთი და შრომის პირობები; ინვესტირების მოცულობა, პირობები და გარანტიები; სარგებლის სიდიდე და გადახდის პირობები; რენტის სიდიდე, იჯარის პირობები და ვადები.

შესაბამისად, მოლაპარაკების პროცესში მონაწილეობენ მყიდველები და გამყიდველები, დამქირავებლები და დაქირავებულები, ინვესტორები და სახელმწიფო ორგანოები, მოვალეები და კრედიტორები, მოიჯარეები და მეიჯარეები და მრავალი სხვა.

ჩვენ ხშირად გვესმის დასკვნები იმის თაობაზე, რომ ყველა ქვეყნისა და ეთნიკური ჯგუფისათვის დამახასიათებელია ბიზნეს-ურთიერთობების საკუთარი, გამორჩეული სტილი. განსაკუთრებით, და მეტწილად, ეს მოლაპარაკებების წარმართვის პროცესს ეხება. ნათქვამს კარგად ადასტურებს შემდეგი ციტატა: „ადამიანთა ერთ-ერთი უდიდესი შეცდომაა გაფიქრება იმისა, რომ „ადამიანები ყველგან ერთნაირია“. სინამდვილეში სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფასეულობათა პრიორიტეტებით, რელიგიური მრწამსით, სამართლებრივი ნორმებისადმი დამოკი-

ღებულებით, გადაწყვეტილების მიღების მეთოდებით, დროის შეფასებით, სიურცითი აღქმის უნარით, მიმიკით, ჟესტებით, ქცევის მანერებით და ა.შ. ამ განსხვავებებმა შესაძლოა საერთაშორისო დიპლომატიურ და ბიზნეს-ურთიერთობებში გაუგებრობა გამოიწვიოს, მით უმეტეს, თუ დამატებით, ენობრივი სირთულეებიც არსებობს" [4, 477].

ყოველი ბიზნეს-მოლაპარაკების უკან, საკარაულოდ, დგას ეკონომიკური ფაქტორები, რომლებსაც გადამწყვეტი გავლენა აქვთ მოლაპარაკების შედეგებზე. თანაც ეს ფაქტორები ერთნაირია ნებისმიერი ეროვნების წარმომადგენლისათვის. ეფიქრობ, მოლაპარაკებების ნაშლა იმის გამო, რომ ვინმემ იაპონელ პარტნიორს სუშის ნაცვლად ბაყაყის წვნიანი მიართვა, უფრო საომარი ისტორიების, კრიმინალური გარჩევების, თეატრალური დადგმებისა და კომედიური ფილმების სფეროს ეხება, ვიდრე ბიზნეს-ურთიერთობებს.

ნებისმიერი ქვეყნისა თუ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ბიზნესმენი, როგორც რაციონალურად მოაზროვნე ადამიანი, რელიგიის, კანის ფერის და პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, ყველა ბიზნეს-სიტუაციას შემოსავლებისა და ხარჯების თვალსაზრისით უყურებს და, ერთნაირ ბიზნეს-სიტუაციებში მსგავს გადაწყვეტილებებს ღებულობს.

მეორეს მხრივ, შესაძლოა, მოლაპარაკების მონაწილეთა ტიპი (რისკზე წასვლისადმი მიდრეკილება, მყიდველის ტიპი და სხვა ფსიქოლოგიური ფაქტორები), უფრო მეტად განაპირობებს მოლაპარაკების შედეგებს, ვიდრე მოცემულ საზოგადოებაში არსებული ქცევის ნორმები.

მოლაპარაკების პროცესის განხილვა ძირეული ეკონომიკური მიზეზებისა და მოლაპარაკებაში მონაწილეთა ფსიქოლოგიური ტიპების გათვალისწინებით ნებისმიერ ბაზარზე ფასწარმოქმნის მექანიზმის სხვანაირი დანახვის შესაძლებლობას, მოლაპარაკების პროცესში სხვადასხვა რისკების იდენტიფიცირებისა და მათი თავიდან აცილების ღონისძიებების დაგეგმვის საშუალებას მოგვცემს.

ზემოთ აღნიშნულ ჰიპოთეზებზე დაყრდნობით, წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს მოლაპარაკების პროცესში ფასწარმოქმნის მექანიზმის მოდელირება და წარმოშობილი რისკების მართვის მიმართულებების დასახვა.

ეამომდინარე კვლევის მიზნიდან, კვლევის პროცესში შესრულდა შემდეგი ამოცანები:

- შესწავლილ იქნა თანამედროვე მიდგომები მოლაპარაკების პროცესისადმი. იდენტიფიცირებულ იქნა ამ პროცესზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები;

შექმნილ იქნა მოლაპარაკების პროცესის მონაწილეთა ქცევის მოდელი;

- ნამოყალიბებულ იქნა მოლაპარაკების პროცესის მიმდინარეობის შედეგები მონაწილეთა ფსიქოლოგიური და ეკონომიკური მოტივების გათვალისწინებით;

- შესწავლილ იქნა ინფორმაციის როლი მოლაპარაკებების პროცესში;

- დაფიქსირდა მოლაპარაკების პროცესში წარმოშობილი ძირითადი რისკები და შემუშავებულ იქნა მათი მართვის ძირითადი მიმართულებები.

კვლევის დროს გამოყენებული იქნა გრაფიკული მოდელი, რომლის საშუალებითაც განხორციელდა მოლაპარაკების პროცესში ფასწარმოქმნის მექანიზმის აღწერა. ქვემოთმოყვანილი გრაფიკული მოდელი წარმოადგენს მოთხოვნა-მიწო-დების გრაფიკული მოდელის ერთგვარ ადაპტაციას მოლაპარაკების პროცესისადმი.

მოლაპარაკებათა მრავალფეროვანი ტიპებისაგან, ანალიზის მიზნით, ამორჩეული იქნა ერთი, ყველაზე გავრცელებული შემთხვევა – საქონლის (მომსახურების) ყიდვა-გაყიდვის პროცესში ერთ მყიდველსა და ერთ გამყიდველს შორის წარმოშობილი ურთიერთობები.

ერთი შეხედვით მოლაპარაკების პროცესი არ წარმოადგენს ისეთ მოვლენას, რომელზეც ა'სრთა სხვადასხვაობა 'შეიძლება გაჩნდეს. მოლაპარაკება მის მონაწილეებს შორის გარკვეული საკითხის შესახებ ერთიანი შეხედ'ულების ჩამოყალიბების პროცესს გ'ულისხმობს. ჩვენს შემოხვევაში, მიმწოდებელი და მომხმარებელი საქონლის (მომსახურების) ფასზე, მიწოდების ოდენობაზე და მიწოდების პირობებზე 'უნდა შეთანხმდნენ.

მიუხედავად გარეგნ'ული სიმარტივისა, სწორედ მოლაპარაკების პროცესისადმი არაერთგვაროვანმა დამოკიდებ'ულებამ ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიისა და ინსტიტ'უციონალ'ური მიმართ'ულების თეორიების მხრიდან წარმო'შვა რიგი ფ'უნდამენტალ'ური განსხვავებანი მათ დასკვნებში ეკონომიკ'ური სისტემის მ'უშაობის შესახებ.

ნეოკლასიკ'ური დამოკიდებ'ულება მოლაპარაკების პროცესისადმი ინფორმაციის აბსოლ'უტ'ური გამჭვირვალ'ობის პოსტ'ულატს ეყრდნობა. ეს ნიშნავს, რომ მყიდველს და გამყიდველს სრ'ულ'ყოფილი ინფორმაცია გააჩნიათ ბაზარზე ეკონომიკ'ური სიტ'უაციის შესახებ (ბაზარზე მოქმედი ყველა გამყიდველის ფასი და გაყიდვის პირობები, საქონლის ხარისხობრივი მდგომარეობა, ბაზარზე არსებ'ული ყველა მომხმარებლის მსყიდველობითი 'უნარი და ა.შ.). ინფორმაციის აბსოლ'უტ'ური გამჭვირვალ'ობის პრინციპი გასდევს მთელ ნეოკლასიკ'ურ მიკროეკონომიკ'ურ ანალიზს [2, 483] ამდენად, „ყველაფრის მცოდნე" მომხმარებელი ირჩევს მისთვის ყველაზე საუკეთესო ვარიანტს „ფასი-ხარისხი-ოდენობა", ხოლო „ყველაფრის მცოდნე" მეწარმე ცდილობს გაყიდოს თავისი საქონელი იმ პირობებით, რომ მაქსიმალ'ური მოგება მიიღოს.

რადგან „ყველამ ყველაფერი იცის", მოლაპარაკების მომზადებას, განხორციელებას, შედეგების შეფასებას და მიმდინარეობის კონტროლს აზრი არა აქვს. აქედან გამომდინარე, არც მოლაპარაკების პროცესში წარმოშობილ რისკებს

სჭირდება მართვა. საქონლის ყიდვა-გაყიდვა „წამიერი“ აქტია. ამ აქტს თან არაეითარი დროითი, ფინანსური ან ადამიანისეული რესურსების სარჯვა არ ახლავს. შესაბამისად, ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია ამ პროცესს არც ერთ ასპექტში არ განიხილავს.

ინფორმაციის გამჭვირვალობა, ბაზრების კონკურენტულობა, ბაზარზე შესვლისა და იქედან გამოსვლის სიადვილე ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის წარმომადგენლებისათვის ბაზრის ეფექტიანი მუშაობის პირობაა. ეკონომიკური სისტემა, რომელიც ასეთი ბაზრებისაგან შედგება, უსრულველყოფს რესურსების გამოყენების ეფექტიანობის გადიდებას და მომხმარებელთა მაქსიმალურ დაკმაყოფილებას.

მოლაპარაკების პროცესზე სრულიად განსხვავებული შეხედულება გააჩნია თანამედროვე ინსტიტუციონალური მიმართულების წარმომადგენლებს – ისინი თვლიან, რომ მოლაპარაკების პროცესი სულაც არ არის „წამიერი“ იგი ადამიანისეული, დროისა და ფინანსური რესურსების ხარჯვასთანაა დაკავშირებული. თანამედროვე ეკონომისტები ამ ტიპის ხარჯებს „ტრანსაქციურ ხარჯებს“[2] უწოდებენ.

მეორეც, მოლაპარაკების მონაწილეებს, როგორც წესი, შეზღუდული ინფორმაცია გააჩნიათ ბაზრის მდგომარეობის შესახებ: „ინდივიდები არჩევანს აკეთებენ სუბიექტურად შემუშავებული მოდელების საფუძველზე, რომლებიც განსხვავდება სხვა ინდივიდების მიერ შემუშავებული მოდელებისაგან, ხოლო „მოთამაშეთა“ მიერ მიღებული ინფორმაცია იმდენად არასრულყოფილია, რომ უმეტეს შემთხვევაში არ ვლინდება ამ განსხვავებული მოდელების დაახლოების არავითარი ტენდენცია“ [9, 34]. მოლაპარაკებათა მონაწილეების ურთიერთ-

---

[2] ტრანსაქციური ხარჯები – ინფორმაციის მოგროვებისა და დამუშავების ხარჯები, მოლაპარაკებათა გამართვისა და გადაწყვეტილებათა მიღების ხარჯები, კონტრაქტის შესრულების და იურიდიული დაცვის ხარჯები. Коуз Р. Фирма, рынок и право. М., 1993. С.9

ქმედების შედეგები ბევრად სწორედ ამ შესლუდულობის ხარისხზეა დამოკიდებული.

ინსტიტუციონალური მიმართულების თეორიის მიმდევართა თვალსაზრისით, ტრანსაქციური ხარჯები, ინფორმაციის გაუმჭვირვალობა, ბაზრების მონოპოლიურობა ხელს უშლის რესურსების გამოყენების მაქსიმალურ ეფექტიანობას და მომხმარებელთა მაქსიმალურ კმაყოფილებას. ინსტიტუციონალისტების აზრით ეფექტიანი ბაზრის ნეოკლასიკური მოდელი მხოლოდ თეორიული დაშვებაა და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს რეალობის აღწერისათვის.

ლიტერატურაში ხშირად არის მითითებული პარტნიორის შესახებ მაქსიმალური ინფორმაციის მოძიების აუცილებლობის შესახებ „დროული, საიმედო და საკმარისად სრული ინფორმაცია პარტნიორისა და კლიენტის, შუამაკლისა და კონკურენტის, საკუთარი პერსონალის შესახებ ბევრ რამეს იძლევა სამეწარმეო სტრატეგიისა და ტაქტიკის შერჩევისა და წარმოების შესაძლო რისკების შეფასებისათვის" [5, 403]. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ინფორმაციის ფლობის დონე ბევრად განსაზღვრავს მოლაპარაკების მონაწილეთა ქცევას.

მენეჯმენტის შესახებ თანამედროვე ქართულ და უცხოურ ლიტერატურაში დიდი ყურადღება ექცევა მოლაპარაკებების პროცესს. გარიგების მრავალმხრივობა შეიძლება ნათლად დავინახოთ შემდეგ ციტატაში: „მოლაპარაკება მრავალასპექტიანი პროცესია. იგი განსხვავებული ინტერესებისა და კომუნიკაციების, სტრატეგიისა და ტაქტიკის, პრინციპებისა და მეთოდების, სტერეოტიპებისა და განწყობების, ნოვაციებისა და ცრურწმენების, კონსერვატიზმისა და შემოქმედების, ცხოვრებისეული გამოცდილებისა და ახალგაზრდული აღმაფრენის მქონე ადამიანთა შემოქმედებითი ურთიერთობაა, მათი ინდივიდუალური და სოციალური, კერძო და ოფიციალური, ისტორიული და თანამედროვე, ემოციური და მოტივაციური, ვერბალური და არავერბალური ქცევის ნორმებით." [4, 242]

თანამედროვე ლიტერატურა ფართოდ აშუქებს მოლაპარაკების პროცესს: მოლაპარაკების ორგანიზების პროცედურების აღწერა [6, 5-11], მოლაპარაკების განხორციელების სტრატეგიისა და ტაქტიკის შერჩევა [4, 391-438], მოლაპარაკების პროცესის ეფექტიანობის ამაღლება სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით [10, 70-77], მოლაპარაკების დროს წარმოშობილი რისკების მართვა [5, 403-441] და ა.შ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბევრი თანამედროვე ავტორის დამოკიდებულება მოლაპარაკების მიმდინარეობაზე ნაციონალური სპეციფიკური ფაქტორების გავლენის საკითხისადმი. ფართოდ განიხილება მართვისა და მოლაპარაკებების ეროვნული თავისებურებები (ამერიკული, იაპონური, ინგლისური, არაბული, რუსული, ჩინური და სხვა) [4, 471-539]. ყურადღება ექცევა კონკრეტულ საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ ჩვეულებებს, საქმის წარმართვის წესებს, კორპორაციულ და ოჯახურ ტრადიციებს, მოლაპარაკების მონაწილეთა აფექტებს [5, 410-411] და ა.შ.

რაც უფრო მეტი ფაქტორის გათვალისწინება გვიხდება მოლაპარაკების პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, მით უფრო გვეკარგება მხედველობიდან ძირითადი მოტივი, რომელმაც განაპირობა ამ მოლაპარაკების ორგანიზება: ნებისმიერი მოლაპარაკება (არა მარტო ბაზარზე მყიდველსა და გამყიდველს შორის, არამედ ადამიანთა ურთიერთობის ნებისმიერ სფეროში - დაწყებული ეზოს ბავშვების მიერ ფეხბურთის გუნდის შექმნიდან დამთავრებული მასშტაბური კონფლიქტების მოგვარების მცდელობით) ეფუძნება მარტივ ადამიანურ ლოგიკას და მარტივ ადამიანურ კითხვებს, რომლებსაც მოლაპარაკების ყოველი მონაწილე საკუთარ თავს უსვამს: რას მოვიგებ მე ამ მოლაპარაკების შედეგად? რას წავაგებ? და როგორი იქნება გარიგების წმინდა შედეგი ჩემთვის?

მეორეს მხრივ, მოლაპარაკების პროცესის ანალიზის დროს მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს პიროვნების ქცევის ქვეცნობიერ მოტივებს. გარიგების პროცესში წარმო-

შობილი რისკების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი მიზეზები სწორედ მასში მონაწილე პიროა ფსიქოლოგიურ განწყობაში, ტემპერამენტსა[3] და აფექტურ მოქმედებებში[4] უნდა ვეძებოთ.

ქვემოთ მოყვანილი ანალიზი არის იმის მცდელობა, რომ აღიწეროს მოლაპარაკების პროცესის მონაწილეთა ქცევა ზემოთ აღნიშნული ორი მოტივიდან გამომდინარე – ეროის მხრივ, მოლაპარაკების მონაწილენი „რაციონალურები" არიან და შემოსავლებისა და ხარჯების შედარების საფუძველზე მოქმედებენ, მეორეს მხრივ, ისინი სხვადასხვა ტიპის ადამიანები არიან და მათი ხასიათის თვისებები გაავლენას ახდენს მოლაპარაკების პროცესის მიმდინარეობასა და, შესაბამისად, შედეგებზეც.

რადგან მოლაპარაკების პროცესი დროში მიმდინარეობს, ძირითადი დასკვნები და მათი გრაფიკული ასახვა ასევე დროსთანაა კავშირში. დროის ფაქტორის შემოტანა წარმოშობს რისკების ახალ ჯგუფს გარიგების მიმდინარეობის პროცესში, რაც უფრო დაწერილებით ქვევით იქნება განხილული.

მოლაპარაკების მონაწილეთა ქცევა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი განხილვის სფერო შემოიფარგლება საქონლის (მომსახურების) ყიდვა-გაყიდვის პრო-

---

[3] ტემპერამენტი – ინდივიდის ფსიქიკის თანდაყოლილად განპირობებული თავისებურებების კომპლექსი, რაც ვლინდება მისი ფსიქიკური მოქმედების მიმდინარეობის ინტენსივობაში, სისწრაფესა და ტემპში, გარე ხემოქმედებისადმი ინდივიდის მგრძნობელობაში, მის სენზიტიურობასა და ფსიქიკურ მდგრადობაში. თეზელიშვილი ს.ბ. ფსიქოლოგიური ენციკლოპედია. თბილისი. 2007წ. გვ.608

[4] აფექტური მოქმედება – მოქმედება, რომელიც მიმართული და რეგულირებულია სუბიექტის გარკვეული ემოციური მდგომარეობით. ირაციონალური მოქმედება, რომელიც განპირობებულია წამიერი ემოციებით. თეზელიშვილი ს.ბ. ფსიქოლოგიური ენციკლოპედია. თბილისი. 2007წ. გვ.69

ცესის აღწერით, რომელშიც ორი კონტრაგენტი მონაწილეობს. ვნახოთ, როგორ დგინდება საქონლის გასაყიდი ფასი მოლაპარაკების პროცესში.

მოლაპარაკების მონაწილეთა ქცევის აღწერა მყიდველის მოქმედებების იდენტიფიკაციით დავიწყოთ.

მყიდველი ვაჭრობას იწყებს დაბალი ფასის შეთავაზებით. მოლაპარაკების მსვლელობისას კი თანდათანობით სემოთ წევს ამ ფასს. აღვნიშნოთ საქონლის ფასი P-თი, ხოლო მოლაპარაკების ხანგრძლივობა t-თი. ჩამოყალიბებული ჰიპოთეზის მისედვით დროის t_1 მომენტში მყიდველი სთავაზობს P_1 ფასს, ხოლო გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, t_2 მომენტში მის მიერ შემოთავაზებული ფასი P_2-მდე იზრდება. თუ ვივარაუდებთ, რომ მოლაპარაკების დროსა და მყიდველის მიერ შეთავაზებული საქონლის ფასს შორის პირდაპირი კავშირია, მაშინ ამ კავშირის ამსახველი მრუდი აღმავალი სახის იქნება. დავარქვათ ამ მრუდს „მყიდველის ქცევის გრაფიკი“ (ნახ.1).

მნიშვნელოვანია იმ მოტივების დაფიქსირება, რომლებიც აიძულებენ მყიდველს, გარიგების პროცესში თანდათან გაზარდონ საქონლის ფასი. ეს მოტივები მრავალგვარია და რაციონალური, ინსტიტუციონალური და ფსიქოლოგიური ხასიათი გააჩნიათ:

1. მყიდველის ბიუჯეტის სიდიდე. ყველაზე ძირეული მოტივი, რომელიც მყიდველის ქცევას განსაზღვრავს, მისი ბიუჯეტის სიდიდეა. მყიდველს შეუძლია ივაჭროს მხოლოდ თავისი მყიდველუნარიანობის ფარგლებში. ნებისმიერი ფასნამატი მოცემულ საქონელზე, რომელსაც იგი შესთავაზებს გამყიდველს, წარმოადგენს სხვა საქონლების შეძენაზე მიმართული თანხების შემცირებას, და, შესაბამისად, მყიდველის ბიუჯეტის ახალ სტრუქტურას (თუ მყიდველი მომხმარებელია, და არა ინვესტორი და მეიჯარე, რაც მოგვიანებით იქნება განხილული). ამგვარად, მყიდველს შეუძლია ფასის გადიდება, ოღონდ გარკვეულ ფარგლებში;



ნახ. 1. მყიდველის ქცევა

2. ფსიქოლოგიური მოტივი. მყიდველი დაბალი ფასიდან იწყებს ვაჭრობას. თუ „გაუკიდა“, საქონელს იაფად იყიდის, თუ არადა, საქონლის ფასს ნელ-ნელა აწევს იმ დონემდე, რა დონეზეც საქონლის ფასი მისი შეხედულებით „ნორმალურ“ დონეს აღწევს. „ნორმალური“ დონე არ არის რაღაც ერთი კონკრეტული ფასი, არამედ ფასების გარკვეული დიაპაზონი, რომლის ფარგლებშიც მყიდველი ფასსა და საქონლის სარგებლიანობას ერთმანეთის შესაბამისად თვლის;

3. არნეული სტრატეგია. მყიდველი შეიძლება გამყიდველის „ნერვებზე თამაშობდეს“ და გარკვეული ტემპით ზრდიდეს თაკის ფასს. ამის შედეგად იგი იმედოვნებს კონტრაგენტის „გატეხვას“ და მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების მიღებას საკუთარი თავისათვის;

4. ინსტიტუციონალური ფაქტორი. როგორც უკვე აღინიშნა, გარიგების მონაწილეებს არ შეიძლება ჰქონდეთ სრული

ინფორმაცია ბაზრის მდგომარეობის შესახებ. მყიდველმა შეიძლება არ იცოდეს, რომ მოცემულ გამყიდველს უამრავი კონკურენტი ჰყავს იგივე ან უკეთესი პირობებით. მყიდველი შეიძლება მოქმედებდეს ვინმეს რეკომენდაციით, რომ „ამ გამყიდველს საუკეთესო პირობები აქვს". მყიდველს შეიძლება ჰქონდეს დროითი ან სხვა ტიპის შეზღუდვა, რომლის გამოც მან უკვე დაწყებული გარიგება ბოლომდე უნდა მიიყვანოს და „სასლში საქონლით დაბრუნდეს". მყიდველი შეიძლება უფრთხოდეს კონკურენციას სხვა მყიდველების მხრიდან და ოვლიდეს, რომ თუ მან არ იყიდა ეს საქონელი, იგი სხვას მოუწევს. ამ მიზეზების ზემოქმედებით გარიგების პროცესში იგი თანდათან ზრდის ფასს;

5. ბაზარზე მდგომარეობა. თუ გამყიდველი ბაზარზე მონოპოლისტს წარმოადგენს და მყიდველმა დანამდვილებით იცის, რომ სხვაგან ასეთი პროდუქტი არ იყიდება, მაშინ უფრო მყიდველს უწევს ფასის აწევა, ვიდრე გამყიდველს ფასის დაგდება.

ეფიქრობ, სწორედ ეს ფაქტორები მოქმედებენ გარიგების პროცესში მყიდველის ქცევაზე. ამ ფაქტორების ზემოქმედების გამო დამოკიდებულება გარიგების დროსა და მყიდველის მიერ შემოთავაზებულ ფასს შორის პირდაპირია.

მეორეს მხრივ, გამყიდველი იწყებს ვაჭრობას მაღალი ფასიდან, და მოლაპარაკების მსვლელობისას ნელ-ნელა ამცირებს მას. დროის t_1 მომენტში გამყიდველი სთავაზობს P_1 ფასს, ხოლო გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, t_2 მომენტში მის მიერ შემოთავაზებული ფასი P_2-მდე კლებულობს. თუ ვივარაუდებთ, რომ მოლაპარაკების დროსა და გამყიდველის მიერ შეთავაზებული საქონლის ფასს შორის უკუკავშირია, მაშინ ამ კავშირის ამსახველი მრუდი დაღმავალი სახის იქნება. დავარქვათ ამ მრუდს „გამყიდველის ქცევის გრაფიკი" (ნახ.2).



ნახ. 2. გამყიდველის ქცევა

როგორც მყიდველის შემთხვევაში, აქაც აუცილებელია იმ მოტივების იდენტიფიცირება, რომლებიც აიძულებენ გამყიდველს, გარიგების პროცესში თანდათან შეამციროს საქონლის ფასი. ეს მოტივები იგივე ტიპისაა, რაც მყიდველის შემთხვევაში იყო:

1. დანახარჯები და „ნორმალური მოგება"[5]. ყველზე ძირეული მოტივი, რომელიც გამყიდველის ქცევას განსაზღვრავს, მისი ხარჯების სტრუქტურა და მოსალოდნელი მოგების სიდიდეა. გამყიდველს შეუძლია ივაჭროს მხოლოდ იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც იგი უზარალობის მდგომარეობაში იმყოფება. ნებისმიერი ფასდაკლება მოცემულ საქონელზე, რომელსაც იგი შესთავაზებს მყიდველს, წარმოადგენს მისი მოგების შემცირებას. ამგვარად, გამყიდველს

[5] ნორმალური მოგება – მინიმალური თანხა, რომელიც აუცილებელია, რათა პირის საშეწარმეო ნიჭი შეაკავოს მოცემულ საწარმოში. Макконнелл К.Р. Брю С.Л. Экономикс: Принципы, проблемы и политика. В 2т. – Баку, Изд. «Азербайджан», 1992. с 46.

შეუძლია დათანხმდეს ფასის შემცირებას, ოღონდ გარკვეულ ფარგლებში;

2. ფსიქოლოგიური მოტივი. გამყიდველი მაღალი ფასიდან იწყებს ვაჭრობას. თუ „გაუვიდა“, საქონელს ძვირად გაყიდის და მაღალ მოგებას მიიღებს, თუ არადა, საქონლის ფასს ნელ-ნელა დაწევს იმ დონემდე, რა დონეზე საქონლის ფასი მას „ნორმალურ მოგებას“ მოუტანს;

3. არჩეული სტრატეგია. გამყიდველი შეიძლება მყიდველის „ნერვებზე თამაშობდეს“ და გარკვეული ტემპით ამცირებდეს თავის ფასს. ამის შედეგად იგი იმედოვნებს კონტრაგენტის „გატეხვას“ და მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების მიღებას საკუთარი თავისათვის;

4. ინსტიტუციონალური ფაქტორი. მყიდველის მსგავსად, გამყიდველმა შეიძლება არ იცოდეს, რომ მოცემული მყიდველს გარდა ბაზარზე უამრავი სხვა მომსმარებელია, რომელთა მსყიდველობითი უნარი შეიძლება უფრო მაღალი იყოს. გამყიდველი შეიძლება მოქმედებდეს ვინმეს რეკომენდაციით, რომ „ამ ადგილას საქონელი კარგად იყიდება“. გამყიდველს შეიძლება ჰქონდეს დროითი ან სხვა ტიპის შეზღუდვა, რომლის გამოც მან უკვე დაწყებული გარიგება ბოლომდე უნდა მიიყვანოს და „სახლში მოგებით დაბრუნდეს“. გამყიდველი შეიძლება უფრთხოდეს კონკურენციას სხვა გამყიდველების მხრიდან და თვლიდეს, რომ თუ მან არ გაყიდა ეს საქონელი, მისი კონკურენტი უფრო დაბალ ფასს ან უკეთეს პირობებს შესთავაზებს. ამ მიზეზთა ზემოქმედების შედეგად გამყიდველი მოლაპარაკების პროცესში თანდათან ამცირებს ფასს

5. ბაზარზე მდგომარეობა. თუ მყიდველი ბაზარზე მონოფსონისტს წარმოადგენს, და გამყიდველმა დანამდვილებით იცის, რომ მეტი მყიდველი არ ჰყავს, მაშინ უფრო გამყიდველს უწევს ფასის დაწევა, ვიდრე მყიდველს ფასის გადიდება.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების ზემოქმედების გამო გარიგების დროსა და გამყიდველის მიერ შემოთავაზებულ ფასს შორის დამოკიდებულება უარყოფითია.

მოლაპარაკების შედეგი დგება, როდესაც გარკვეული დროის მომენტში მყიდველისა და გამყიდველის ფასები ერთმანეთს დაემთხვევა. აღვნიშნოთ გარიგების ეს მომენტი t_0 ხოლო მიღწეული გარიგების ფასი – P_0. გრაფიკულად ეს მომენტი მყიდველისა და გამყიდველის ქცევის გრაფიკების გადაკვეთის წერტილით აღინიშნება (ნახ.3).



ნახ. 3. გარიგების მომენტი

ეს თანაკვეთა, სხვა თანაბარ პირობებში, გვიჩვენებს, თუ რამდენ ხანს გრძელდება მოლაპარაკება და როგორი იქნება გარიგების ფასი.

მოლაპარაკების პროცესში წარმოშობილი რისკები

შემუშავებული მოდელის გამოყენებით განვახორციელოთ მოლაპარაკების პროცესში წარმოშობილი რისკების იდენტიფიკაცია.

როგორც უკვე აღინიშნა, ბაზარზე მოქმედი პირები შესაძლოა სხვადასხვა ხასიათის ადამიანებია. ვნახოთ ხასიათის ზოგიერთი თვისების გაკლენა მოლაპარაკების პროცესზე.

დავუშვათ, რომ გამყიდველს ჯიუტი ხასიათი აქვს. ვაჭრობის პროცესში იგი „ცოცხალი თავით ფასს არ აკლებს", ანდა ფასს აკლებს მაგრამ ძალიან ნელა. თუ ამავე დროს მყიდველი უფრო დამყოლი ტიპია, მაშინ მისთვის იქმნება სარისკო სიტუაცია, რომ მას საქონელს ძვირად მიჰყიდიან. ფასი, რომელსაც იგი გადაიხდის ამ საქონელში, შესაძლოა მის მიერ ნაკარაუდევი ფასთა „ნორმალური" დიაპაზონის ზედა ზღვარზე იყოს, ან, გარკვეული პირობების არსებობისას, ამ ზღვარზე ზემოთაც კი. მყიდველს შემდგომში ელოდება ასეთი ტიპის კომენტარები „ეს რა ძვირად გიყიდია!" და ა.შ.

ჯიუტი გამყიდველისა და დამყოლი მყიდველის ურთიერთობის შედეგი გრაფიკულად მოცემულია ნახაზზე 4. სახეზეა აშკარა განსხვავება ნახ.3-ზე მოცემული გარიგების შედეგისაგან.



ნახ. 4. გამყიდველის უპირატესობა

საპირისპირო შედეგს მივიღებთ, თუ ამჯერად გამყიდველი დამყოლია, ხოლო მყიდველი უფრო ჯიუტი. ამ შემთხვევაში გამყიდველი უფრო სწრაფად ამცირებს თავის ფასს, ვიდრე მყიდველი. ამის გამო, გარიგების დადების მომენტში გამყიდველი შეიძლება აღმოჩნდეს იმ პირობებში, რომ გადასდილი ფასი მას მხოლოდ „ნორმალურ“ მოგებას მოუტანს, ან უფრო ნაკლებსაც კი, მყიდველი კი საქონელს იაფად მიიღებს.

დამყოლი გამყიდველისა და ჯიუტი მყიდველის ურთიერთობის შედეგი გრაფიკულად მოცემულია ნახაზზე 5. ჩვენ შეიძლება ასევე დავინახოთ განსხვავება ნახ3-ზე მოცემული გარიგების შედეგისაგან.



ნახ. 5. მყიდველის უპირატესობა

ჩვენი ანალიზის შემდეგ ეტაპზე ჩვენ გვესაჭიროება მყიდველისა და გამყიდველის ქცევის გრაფიკების ტრანსფორმაცია მათი ქცევის ეკონომიკური მოტივების შესაბამისად.

საკარაუდოდ, გამყიდველისათვის არსებობს ფასი, რომლის ქვევითაც იგი ვაჭრობას არ გააგრძელებს. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს არის ფასი, რომელმაც მას „ნორმალური" მოგება უნდა მოუტანოს. თუ გარიგება სესხს ეხება, მაშინ კრედიტორმა მინიმუმ ის პროცენტი უნდა მიიღოს, რასაც სხვაგან დაბანდების შემთხვევაში მიიღებდა. თუ მოლაპარაკება ქონების იჯარით გაცემას ეხება, მაშინ მეიჯარეს მინიმალურად მისაღები რენტული შეფასების სიდიდე ზღუდაეს[6].

[6] მინიმალურად მისაღები რენტული შეფასება ის განაკვეთია, რომელიც აქტივის მფლობელს, მის ფლობასთან დაკავშირებული ალტერნატიული ხარჯების ანაზღაურების საშუალებას აძლევს. ფიშერი ს. დორნბუში რ. შმალენზი რ. ეკონომიკა. ოთხ ტომად. ტომი II. თბილისი 1997. გვ.360.

როცა მოლაპარაკების პროცესში გამყიდველს მოუწევს ფასის ამ მინიმალურ დონემდე ჩამოწევა, ფასის შემდგომი შემცირება მისთვის ეკონომიკურად არახელსაყრელია. ამ მომენტიდან გამყიდველის ქცევის მრუდი ჰორიზონტალური ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ფასს ქვემოთ გამყიდველი აღარ ჩამოვა (ნახ.6ა).

მსგავსი მოტივებით მოქმედებს მყიდველიც. მას ასევე გააჩნია საბიუჯეტო შეზღუდვა – მისი ჯიბის მოცულობა არ აძლევს მას საშუალებას დაუსრულებლად ზარდოს ფასი და ნებისმიერ ფასად იყიდოს მოცული საქონელი (ან აქტივი). მყიდველისათვის არსებობს ფასების დიაპაზონი, რომელსაც იგი ნორმალურად თვლის და თანახმაა ამ საქონელში და მის სარგებლიანობაში ფული სწორედ ამ დიაპაზონის ფარგლებში გადაისადოს. შესაძლოა მყიდველს გააჩნია გათვლა ინვესტიციის გარკვეულ თანხაზე და შესაბამისად რენტაბელობის გარკვეულ ნორმაზე. მოცემულ საქონელში (ამ შემთხვევაში აქტივში) მეტის გადახდა მისთვის საინვესტიციო თანხის გადიდებასა და რენტაბელობის ნორმის შემცირებას ნიშნავს. ე.ი. გარკვეულ დიაპაზონს ზევით იგი ყაჭრობას არ გააგრძელებს.

მსგავსად გამყიდველისა, როცა მოლაპარაკების პროცესში ფასი მიაღწევს მყიდველისათვის მაქსიმალურ დონეს, მისი შემდგომი ზრდა მყიდველისათვის ეკონომიკურად არახელსაყრელია. ამ მომენტიდან მყიდველის ქცევის მრუდი ჰორიზონტალური ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ფასს ზევით მყიდველი აღარ წავა (ნახ.6-ა).

ამდენად, შესაძლოა წარმოიშვას სიტუაცია, როდესაც მოლაპარაკების პროცესის შედეგი ნულოვანი იქნება – მყიდველსა და გამყიდველს შორის უბრალოდ არ არსებობს ურთიერთშეთანხმების არც ერთი წერტილი, ამდენად, ისინი ვერასოდეს მივლენ ერთიან ფასამდე (ნახ.6ბ). თუ ასეთი მოლაპარაკება რამდენიმე წუთს გრძელდება (მაგალითად ბაზრობაზე), კიდევ არაუშავს, მაგრამ როცა საქმე მსხვილ გარიგებას ეხება, რომლის მომზადებას თვეები დასჭირდა, მაშინ

მომზადებასთან დაკავშირებული ადამიანისეული, დროითი და ფინანსური რესურსები წყალში გადაყრილი აღმოჩნდება.



ნახ. ა) შემდგარი გარიგება



ნახ. ბ) არშემდგარი გარიგება

სარისკო სიტუაციების შემდეგი ჯგუფი დროით შეზღუდვებთანაა დაკავშირებული. როგორც მყიდველი, ისე გამყიდველი შეიძლება შეზღუდულები იყვნენ დროში.

მყიდველს შეიძლება „ეჩქარებოდეს" სხვადასხვა მიზეზის გამო:

შესაძლოა მან უკვე გასწია გარკვეული ხარჯები ამ გარიგების მოსამზადებლად, შეისწავლა ბაზარი, შეამოწმა საქონლის ხარისხი, გადაადგილდა ტერიტორიულად გარიგების გასაფორმებლად და ა.შ. და ამდენად, გარიგება მისთვის უკვე „ნახევრად დადებულია";

მყიდველი შეიძლება მოქმედებდეს დამტკიცებული დაფინანსების ფარგლებში და თანხების გახარჯვა დროში ჰქონდეს გაწერილი. ეს შეიძლება იყოს საგრანტო დაფინანსება, ან საბიუჯეტო სუბსიდია;

მყიდველი შესაძლოა შეძენის აუცილებლობის წინაშე დგას, მან ეს საქონელი აუცილებლად უნდა შეიძინოს დროის რაც შეიძლება მოკლე მონაკვეთში (თბილი ტანსაცმელის შეძენა ზამთრის სეზონის წინა პერიოდში, მასალებისა და ნახევარფაბრიკატების შეძენა საპასუხისმგებლო შეკვეთის

სწრაფად შესასრულებლად პროდუქციის გამოშვების მიზნით და ა.შ.);

შესაძლოა მოცემულ (დეფიციტურ) საქონელზე ბევრი მყიდველი „ნადირობს“, ამდენად მისი სწრაფად შეძენა მოცემული მყიდველისათვის აუცილებელია.

გამყიდველს ასევე გააჩნია მიზეზები, რომლის გამოც იგი შეიძლება ჩქარობდეს საქონლის გასაღებას:

მყიდველის მსგავსად, მან უკვე განახორციელა გარკვეული „ტრანსაქციური ხარჯები“ ბაზრის შესწავლაზე, მყიდველის იდენტიფიკაციაზე და გარიგების მომზადებაზე. ასე რომ მისთვის ძნელია ოითქმის მომზადებულ გარიგებაზე უარის თქმა;

გამყიდველი დგას გასაღების აუცილებლობის წინაშე საქონლის მალფუჭებადობის გამო;

გამყიდველის ფინანსური სიმყარე გასაღების მაღალ ტემპებს, საქონლის პარტიების მაღალ ბრუნვადობას ემყარება, ამდენად მან სწრაფად უნდა „მოიბრუნოს ხელი“, რათა კრედიტორული დავალიანებები გაასწოროს ან ახალი პარტია შეუკვეთოს;

რაც უფრო მეტი დრო გადის მოლაპარაკების მსვლელობისას, მით მეტი შანსია, რომ მყიდველმა საქონლის (აქტივის) შეფასებისას მასში მეტი ნაკლი აღმოაჩინოს ან გაყიდვის სხვა პირობების ანალიზისას მეტი პრეტენზიები გამოთქვას და მეტი გარანტიები მოითხოვოს;

შესაძლოა, ბაზარზე მომხმარებელთა ოდენობა დიდი არაა, კონკურენტები კი მრავლად არიან. ამ შემთხვევაში გამყიდველები „ნადირობენ“ მყიდველებზე და არც ერთი მყიდველის ხელიდან გაშვება არ შეიძლება.

თუ გარიგებისას შეიქმნა სიტუაცია, როცა მყიდველს ეჩქარება, ხოლო გამყიდველს არა, მაშინ გამყიდველს ექნება უპირატესობა მოლაპარაკების პროცესში და გარიგებაც მის სასარგებლოდ დასრულდება.

ეს სიტუაცია აღწერილია ნახაზზე 7. მყიდველი შემოზღუდულია დროში უფრო მეტად, ვიდრე გამყიდველი (ეს ასახუ-

ლია მათი ქცევის გრაფიკების მარჯვნიდან შემოზღუდვით ვერტიკალური წრფეების მეშვეობით). ამდენად გარიგების ფასი საკმაოდ მაღალია და მომგებიანია მყიდველისათვის.



ნახ. 7. გამყიდველის უპრატესობა

თუ გარიგებისას შეიქმნა სიტუაცია, როცა გამყიდველს ეჩქარება, ხოლო მყიდველს არა, მაშინ მყიდველს ექნება უპირატესობა მოლაპარაკების პროცესში და გარიგებაც მის სასარგებლოდ დასრულდება.

ეს სიტუაცია აღწერილია ნახაზზე 8. გამყიდველი შემოზღუდულია დროში უფრო მეტად, ვიდრე მყიდველი. ამდენად, გარიგების ფასი მაღალი და მომგებიანია მყიდველისათვის.



ნახ.8. მყიდველის უპირატესობა

როგორც ვნახეთ, ვაჭრობის დროს მყიდველისა და გამყიდველის ხასიათის თვისებები (და შესაბამისად მოლაპარაკების არჩეული სტრატეგია და ტაქტიკა), მათი ეკონომიკური მოტივები და დროითი შეზღუდვები წარმოშობენ სარისკო სიტუაციებს იმასთან დაკავშირებით, რომ გარიგება შეიძლება საერთოდ არ შედგეს, ანდა მისი რომელიმე მხარე დაკნინებულ სიტუაციაში აღმოჩნდეს.

დასკვნები

განხორციელებული ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. მოლაპარაკების პროცესში მყიდველი მოქმედებს ფასის ნელ-ნელა აწევის, ხოლო გამყიდველი – ფასის ნელ-ნელა დაწევის სტრატეგიით. არსებობს მათი ქცევის განმსაზღვრელი ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და ინსტიტუციონალუ-

რი ფაქტორები. მყიდველისა და გამყიდველის დროში ფასთან დაკავშირებული ქცევის გრაფიკები შესაბამისად აღმავალი და დაღმავალი მრუდებით აისახებ, ხოლო გარიგების შედეგი – ამ მრუდების თანაკვეთით;

2. მოლაპარაკების პროცესის მონაწილეთა მიერ არჩეული ვაჭრობის სტრატეგია ბევრადაა დამოკიდებული მათი ხასიათის ოვისებებზე და, ამდენად, შეიცავს რისკის წარმოშობის შესაძლებლობებს კონტრაგენტებისათვის. თუ კონტრაგენტები მოლაპარაკების პროცესში ფასებს სხვადასხვა ტემპით ცვლიან, იქმნება იმის შესაძლებლობა, რომ რომელიმე მათგანი გარიგების პროცესში უპირატესობას მოიპოვებს სხვასთან შედარებით;

3. გარიგების პროცესში მონაწილეთა უკან დგას მათი ეკონომიკური ინტერესები – გამყიდველისათვის ეს არის ხარჯებისა და მოგების ფაქტორები, ხოლო მყიდველისათვის – მისი ფულადი რესურსების ეფექტიანად დახარჯვის საკითხი. მლაპარაკების მონაწილეებს აქვთ ფასის ცვლილების რაღაც ზღვარი, რომლის იქითაც ისინი ვაჭრობას არ გააგრძელებენ. ამდენად, არის იმის რისკი, რომ ამ ორი მხარის მიერ გარიგების საგნის შეფასება სრულიად არ დაემთხვევა ერთმანეთს;

4. გარიგების პროცესში მონაწილეთათვის არსებობს გარკვეული დროითი შეზღუდვები, გამოწვეული სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით. ამ შეზღუდვების გათვალისწინებით რომელიმე კონტრაგენტი უფრო მეტად „ჩქარობს“ გარიგების დადებას და, შესაბამისად მისთვის გარიგების პირობების გაუარესების რისკი იქმნება.

5. არსებობს სარისკო სიტუაცია, როდესაც, გარიგების მონაწილეთა ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, მხარეები ვერასოდეს მივლენ ერთ ფასამდე. იმისათვის, რომ მოლაპარაკების მომზადების და განხორციელების პროცესში რესურსების ზედმეტი ხარჯვის თავიდან ასაცილებლად მოლაპარაკების მონაწილეებმა დაგეგმვის ეტაპზევე ყურადღება უნდა მიაქციონ ამ ძირითად მოტივს – მყიდველმა უნდა

გაითვალისწინოს გამყიდველის დანახარჯების და „ნორმალური“ მოგების მდგომარეობა, ხოლო გამყიდველმა მყიდველის მსყიდველობითუნარიანობა ან მისი ფასების „ნორმალური“ დიაპაზონი;

6. მყიდველისა და გამყიდველის მიერ ინფორმაციის არასაკმარისი ფლობა ბაზარზე მდგომარეობის შესახებ მათი ქცევის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. მოლაპარაკების მომზადებისას აუცილებელია, მენეჯერმა მაქსიმალური ინფორმაცია მოაგროვოს მისი კონტრაგენტისა და ბაზრის მდგომარეობის შესახებ. ამით იგი „შეიარაღებული“ მივა მოლაპარაკებაზე და ზემოთ აღნიშნულ ბევრ სარისკო სიტუაციას აიცილებს თავიდან; რაც უფრო კარგადაა მომზადებული ორივე მხარე მოლაპარაკებისათვის, მით უფრო სწრაფად შედგება მოლაპარაკება და მით უფრო დაუახლოვდება მისი შედეგი „შუალედურ“, ორივე მხარისათვის მისაღებ ვარიანტს.

7. კონტრაგენტის ფსიქოლოგიური ტიპის განსაზღვრა მოლაპარაკების სწორად წარმართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იარაღია. „ჯიუტის“ როლის თამაში შესაძლოა წარმატების მომტანი იყოს, თუმცა მოლაპარაკების სტრატეგიის და ტაქტიკური სვლების არჩევისას აუცილებელი ფაქტორების მთელი კომპლექსის გათვალისწინება, რადგან ყოველთვის არსებობს გარიგების ჩაშლის რისკი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თეზელიშვილი ს.ბ. ფსიქოლოგიური ენციკლოპედია. თბილისი. 2007წ. –854გვ.

2. პინდაიკი რ. რუბინფელდი დ. მიკროეკონომიკა. თბილისი., გამომც. „ლამპარი“. 1998. - 544 გვ;

3. ფიშერი ს. დორნბუში რ. შმალენზი რ. ეკონომიკა. ოთხ ტომად. ტომი II. თბილისი 1997. - 360 გვ;

4. ჯოლია გ. ბიზნეს-ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება. თბილისი., საგამომც. სახლი „ინოვაცია“. 2006. - 544 გვ;

5. Балдин К.В. Воробьев С.Н. Управление рисками. М., ЮНИТИ-ДАНА, 2005. - 511с.;

6. Вергилес Э.В. Ведение деловых переговоров:./Московский международный институт эконометрики, информатики, финансов и права. - М., 2003. - 26 с.;

7. Коуз Р. Фирма, рынок и право. М., «Дело ЛТД» 1993. - 192 с.;

8. Макконнелл К.Р., Брю С.Л. Экономикс: Принципы, проблемы и политика. В 2т. – Баку, Изд. «Азербайджан», 1992. – 400 с.

9. Норт Д. Институты, институциональные изменения и функционирование экономики. М., Фонд экономической книги «Начала» 1997. - 180 с.

10. Рыгченко Т.А., Татаркова Н.В. Психология деловых отношений / Московский международный институт эконометрики, информатики, финансов и права. - М., 2003. - 85 с.

Paata Chaganava

Pricing mechanism during negotiations and management of related risks

Summary

Negotiation process is the main element of business relations. There are many factors, affecting on the results of negotiations. Economic, psychological and institutional factors could be stood out.

Consideration the pricing process during negotiations it could be noted, that the buyer uses the strategy of gradually rising the price and the seller uses the strategy of lowering the price little by little. Graphically the actions of buyer and seller in the time for changing price could be reflected by the, respectively, rising and lowering curves.

There are three main groups of factors, affecting on the actions of the negotiation participants: 1. Personal characteristics of contra gents, which defines the choice of the negotiation strategy; 2. Economic grounds of participants – existence of marginal price level, beyond of which they stop the negotiation; 3. Time factor – joint affection of personal, informational and institutional factors, which stimulus the buyer or seller

to finish the negotiation in short period. Result of joint affection of above mentioned factors is an appearance of risk that the price could be unfavorable for one of the participant or the negotiation will be finished with no result at all.

During the preparation to the negotiations the contra gents should take into account these factors to be "prepared to battle". As more prepared are the participants to the moment of negotiation, the less are the chances to appearance the risky situations and the more are chances that contragents could come to the middle price, favorable to all.

Паата Чаганава

Механизм установления цены в процессе переговоров и управление связанными с ним рисками

Резюме

Процесс переговоров является одним из важнейших составляющих бизнес отношений. Существует много факторов, которые влияют на результат переговоров, среди которых можно выделить экономические, психологические и институциональные факторы.

Рассматривая процесс установления цены во время переговоров, можно заметить, что покупатель использует стратегию постепенного повышения цены, а продавец, напротив, стратегию постепенного понижения цены. Графически действия во времени покупателя и продавца по изменению цены будут выражены, соответственно, поднимающимися и снижающимися кривыми.

На действия участников переговоров влияют три основные группы факторов: 1.Личные характеристики контрагентов, которые обуславливают выбор стратегии торговли; 2. Экономические мотивы участников – наличие предельной цены, дальше которой они не продолжат торговлю; 3. Фактор времени – комплексное воздействие

личностных, информационных и других институциональных составляющих, которые толкают продавца или покупателя на скорое завершение сделки. Под действием этих факторов возникает риск получения неблагоприятной для одной из сторон цены или срыв переговоров.

При подготовке к переговорам участнику следует учесть эти факторы, чтобы быть «во всеоружии» во время переговоров. Чем подготовленнее подходят стороны к моменту переговоров, тем меньше шансов возникновения рисковых ситуаций и тем больше шансов, что участники придут к промежуточной, удовлетворяющей обе стороны, цене.

ბესიკ ბოლქვაძე

საქართველოს საბანკო ეკონომიკა საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის პირობებში

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები, რაც გლობალური ეკონომიკური კრიზისის სახელით არის ცნობილი, შეუძლებელს ხდის, გვერდი ავუაროთ საქართველოს ეკონომიკაზე მისი ნეგატიური ზეგავლენის ასპექტებს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში ქვეყნის გარკვეული ხარისხით ინტეგრაციის გამო. ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაციის შესახებ არსებობს ორი საპირისპირო შეხედულება: 1. ქვეყანა ნაკლებად არის ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყანაში ფინანსური ბაზრების სუსტად განვითარებისა და მცირე საექსპორტო პოტენციალის გამო; 2. ქვეყნის ეკონომიკა განიცდის გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში ინტეგრაციას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, საგარეო ვაჭრობის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, საბანკო სისტემის მიერ საერთაშორისო ფულადი ბაზრებიდან საბანკო რესურსების მობილიზებისა და სხვა კუთხით. აღნიშნული მოსაზრების მართებულობიდან გამომდინარე, გლობალური ეკონომიკური კრიზისი (შიგა ფაქტორებთან ერთად) ბადებს ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის პროეოცირების საფუძველს სხვადასხვა მიმართულებით: ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება, მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემა, საბიუჯეტო შემოსავლების კლება, საგადასახდელო ბალანსის მდგომა-რეობის გაუარესება, ეკონომიკის ცალკეული დარგებისა და სექტორების განვითარების შეფერხება, უცხოური ფინანსური ნაკადების შემცირება და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური კრიზისების თეორია და შესაბამისი მსოფლიო გამოცდილება იცნობს ეკონომიკური კრიზისის სხვადასხვა სახეობას, რომლებიც თავიანთი ბუნებით ჰეტეროგენულნი არიან, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ორგანულად ურთიერთდაკავშირებულნი. ამასთან, ეკონომიკური კრიზისის ნებისმიერ გამოვლენას მისი წინარე საფეხური – ეკონომიკური რეცესია უძღვის წინ, რაც ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელებასა და წარმოების ზომიერი დაცემაში ჰპოულობს ასახვას. ნიშანდობლივია, რომ ეკონომიკური რეცესიისადმი, თავის მხრივ, არსებობს ორი მიდგომა – ამერიკული და ევროპული. პირველის მიდგომის თანახმად, რეცესია ვლინდება ეკონომიკური ზრდის 2 პროცენტამდე დაცემის პირობებში, ევროპული მიდგომით კი – ქვეყნის ერთობლივი შიგა პროდუქტის ზედიზედ ორი კვარტლის განმავლობაში შემცირებით. ეკონომიკური კრიზისი კი ისეთი დისბალანსია ეკონომიკაში, რომელიც ნეგატიურად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე და, შესაბამისად, აისახება მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ხარისხზე. ამასთან, ეკონომიკური კრიზისი წარმოიშობა როგორც მაკრო-, ასევე მიკროდონეზე ეკონომიკური პროპორციების დარღვევის შედეგად, რომლის დამახასიათებელი ნიშნები შეიძლება შემდეგნაირად დავახასიათოთ: ეკონომიკური ზრდის მკვეთრი დაცემა, აქტივების ფასების შემცირება, უმუშევრობის ზრდა, კომერციული და ფინანსური სტრუქტურების გაკოტრება, საფინანსო-ეკონომიკური ურთიერთობების მოშლა, სოციალური დაძაბულობის ფონის გადიდება, ცხოვრების დონის გაუარესება, ფინანსური კრიზისის ნიშნების მკვეთრად გამოვლენა და სხვა. ეკონომიკური კრიზისი შეიძლება გამოვლინდეს ეკონომიკის ამა თუ იმ დარგსა თუ სექტორში ეკონომიკური წონასწორობის მოშლის შედეგად. შესაბამისად, შეიძლება ადგილი ჰქონდეს ქვეყანაში ფინანსურ, სოციალურ, ენერგეტიკულ, სასოფლო-სამეურნეო და სხვა კრიზისებს. ამასთანავე, ეკონომიკური კრიზისების თეორიაში და მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს მისი სხვადასხვა კლასიფიკაცია.

კერძოდ, გამოვლენის ფორმის მიხედვით ეკონომიკური კრიზისი შეიძლებს იყოს – ღია და ფარული, გავრცელების არეალის მიხედვით – გლობალური, რეგიონული და ლოკალური, გაგრძელების ვადის მიხედვით – მოკლევადიანი და გრძელვადიანი, მასშტაბების მიხედვით – ღრმა და მსუბუქი. ასევე არაერთგვაროვანია ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი მიზეზები, რომლებიც შეიძლება დაიყოს საშინაო, საგარეო და კომპლექსურ ფაქტორებად.

ნებისმიერ ეკონომიკურ კრიზისს ახასიათებს თავისი კონკრეტული თავისებურები და მახასიათებლები, რომელთაგანაც შეიძლება გამოიყოს: 1. ეკონომიკური კრიზისის საშუალო ხანგრძლივობა (დროის ის საშუალო პერიოდი, რომლის განმავლობაში ქვეყნის ერთობლივი შიგა პროდუქტის ზრდის ტემპი უბრუნდება კრიზისამდე პერიოდს. აღნიშნული პერიოდი განსხვავებულია განვითარებული, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის. ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, განვითარებულ ქვეყნებში კრიზისის დაძლევის დროის ხანგრძლივობა უფრო მეტია იქიდან გამომდინარე, რომ განვითარებული ეკონომიკისა და ჯანსაღი საფინანსო სისტემების აღდგენა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული); 2. ეკონომიკური ზრდის საშუალო დაცემა (იგი იანგარიშება, როგორც სხვაობა კრიზისის დამთავრების მომენტში წარმოების მოსალოდნელ და რეალურ დონეებს შორის. ამასთან, საესებით შესაძლოა წარმოება გაიზრდოს კიდეც ამ პერიოდში, მაგრამ უფრო ნაკლებად, ვიდრე იყო მოსალოდნელი ეკონომიკური კრიზისის არმოხდენის შემთხვევაში); 3. ეკონომიკური კრიზისის პერიოდში სახელმწიფოს სტრატეგია (ეკონომიკური კრიზისის დროს იცვლება სახელმწიფოსა და ბაზრის კრიზისამდე არსებული ურთიერთდამოკიდებულების სისტემა. კერძოდ, ნებისმიერი სახელმწიფო შეიმუშავებს ანტიკრიზისულ სტრატეგიას, რომელიც მიმართულია ზემოაღნიშნული კრიზისის ორივე მახასიათებლის მინიმუმამდე დაყვანაზე. აღნიშნულ ეტაპზე სახელწიფოს ეკონომიკაში „ჩარევა" სხვადასხვა შემთხვევაში არაერთგვაროვა-

ნია და დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის, რეგულირების ეკონომიკური და ადმინისტრაციული ბერკეტების გამოყენების პირობებზე. ამასთან, სახელმწიფო სტრატეგიას მსგავს შემთხვევებში ახასიათებს დროითი განსაზღვრულობა, კერძოდ, კრიზისის დამთავრება არის სიგნალი სახელმწიფოს „თავის ადგილზე" დაბრუნებისა, რათა არ შეიზღუდოს საბაზრო მექანიზმების მოქმედების ეფექტიანობა).

ეკონომიკური კრიზისის ყველაზე მწვავე ფორმას ფინანსური კრიზისი წარმოადგენს, რომელიც წარმოშობა მაკრო და მიკროფინანსების ფუნქციონირებაში მოქმედი ობიექტური ეკონომიკური კანონზომიერებების (ფინანსური ეკვილიბრიუმის) დარღვევის შედეგად. მისი ჩამოყალიბების ნიშნებია: ფულადი სისტემის მოშლა, ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა და კურსის მკვეთრი დაცემა, ინფლაციის მაღალი დონე, სახელმწიფო ბიუჯეტის მაღალი რეალური დეფიციტი, ბიუჯეტის მიმართ ეკონომიკური სუბიექტების მიერ საგადასახადო დავალიანებების დაფარვის შეუძლებლობა და ურთიერთშორის არგადახდების მზარდი ტემპები, შეფერხებები კომერციული საბანკო სექტორის მუშაობაში და სხვა. ფინანსური კრიზისი, თავის მხრივ, შესაძლოა სამი ძირითადი მიმართულებით გამოვლინდეს: 1. სავალუტო კრიზისი – წარმოიშობა ეროვნული ვალუტის კურსის გაუფასურების შედეგად, რაც აიძულებს სახელმწიფოს დახარჯოს მნიშვნელოვანი საერთაშორისო სავალუტო რეზერვები ეროვნული ვალუტის კურსის დასაცავად სავალუტო ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით. სავალუტო კრიზისის ერთ-ერთი მწვავე გამოვლინებაა სავალუტო კრასი, ანუ ეროვნული ვალუტის კურსის 25 პროცენტზე მეტად დაცემა და მისი მკვეთრი გაუფასურება; 2. სავალო კრიზისი – წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს არ შეუძლია მის მიერ ამა თუ იმ მიზნით აღებული როგორც შიგა, ასევე საგარეო ვალების დაფარვა და მათი შესაბამისი მომსახურება. სავალო კრიზისების შემსუბუქება ხორციელდება სავალო რესტრუქტურიზაციის სხვადასხვა ფორმებითა და მეთოდებით, ხოლო

უარეს შემთხვევაში მთავრდება ე.წ. დეფოლტით; 3. საბანკო კრიზისი, რომელსაც ადგილი აქვს საბანკო ბაზარზე საბაზრო მექანიზმების მოშლის შედეგად, როდესაც ცენტრალურ ბანკს უჭირს საბანკო სისტემის ეფექტიანი რეგულირება, ხოლო ამ 'უკანასკნელს – საშუამავლო ფუნქციის მოქნილად შესრულება. საბანკო კრიზისის გამოვლენის ყველაზე დამახასიათებელი ზოგადი ფორმებია საბანკო შენატანების მასობრივი ამოღება (ანაბრებისა და დეპოზიტების „გაქცევა") და ე.წ. „ტოქსიკური" აქტივების გაზრდა (საკრედიტო პორტფელებში უმოქმედო და ნეგატიურად კლასიფიცირებული კრედიტების გადიდება). აღსანიშნავია, რომ ფინანსური კრიზისის სამივე სახეობა შეიძლება ერთმანეთს განაპირობებდეს და არსებობდეს ერთდროულად ან ცალ-ცალკე. მაგალითად, სავალუტო, საკალო და საბანკო კრიზისები არსებობდა ერთდროულად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში 1997 წელს. საბანკო კრიზისი წინ უსწრებდა სავალუტო კრიზისს თურქეთში 1994-1995 წლებში, ხოლო სავალო კრიზისებს – არგენტინაში 1981-1982 წლებში [3, §9, 7-8].

გლობალური კრიზისის საქართველოს საბანკო სისტემაზე და, ზოგადად, ეროვნულ ეკონომიკაზე ზეგავლენა, ცხადია, მთელი სიმწვავით აყენებს დღის წესრიგში სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე კრიზისის ნეგატიური ეფექტების დეტალური ანალიზისა და მისი ზეგავლენის შემცირების შესაძლო გზების ძიებას. აღნიშნული თვალსაზრისით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური პოლიტიკა, გატარებული კრიზისული ზეგავლენის შესუსტებისა და ლიკვიდაციისაკენ, მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ეფექტიანი და ქმედითი, თუკი მის შემუშავებას წინ უძღვის მიმდინარე ეტაპზე ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საფუძვლიანი ანალიზი და, ამასთანავე, იგი აერთიანებს ფისკალური, მონეტარული, სტრუქტურული, საინვესტიციო, საგარეო ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის შესაბამისი მექანიზმების ეფექტიან და ურთიერთშეთანხმებულ გამოყენებას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნაში უკანასკნელ პერიოდში ეკონომიკური აქტიურობის დაცემა ძირითადად დაკავშირებულია გარეგნულად არა რომელიმე ერთ ფაქტორთან. არამედ მასზე, სეგნი აზრით, კომპლექსურად ზემოქმედება მოახდინა შემდეგმა ენდოგენურმა და ეგზოგენურმა ფაქტორებმა: 1. შიგა უშუალოდ ეკონომიკურმა და არაეკონომიკურმა ფაქტორებმა (ინფლაციის მაღალი დონე, ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის ხარისხის შემცირება, ეფექტიანი ანტიმონოპოლიური რეგულირების სისტემის არარსებობა, არასტაბილური საინვესტიციო-სამეწარმეო გარემო, ეკონომიკის რეალური სექტორის სუსტი განვითარება, მკვეთრად უარყოფითი საგარეო სავაჭრო დისბალანსი, საბანკო და სამშენებლო სექტორებს შორის საკრედიტო ურთიერთობების ზედმეტი ლიბერალიზაცია და სხვა); 2. გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა (უცხოური ინვესტიციების შემცირება, საგარეო სავაჭრო ურთიერთოებების გართულება, საბანკო სექტორის მხრიდან დაფინანსების უცხოური წყაროების შეზღუდვა-გაძვირება და მრავალი სხვა); 3. საომარმა სიტუაციამ ქვეყანაში, რამაც ზემოაღნიშნულ ფაქტორებთან ერთად შეასრულა კატალიზატორის ფუნქცია ეკონომიკური რეცესიის ეკონომიკურ კრიზისად ტრანსფორმაციაში. ზემოაღნიშნული ფაქტორები საკმაოდ ცხადყოფს შეხედულებას იმის შესახებ, რომ საქართველოსათვის სერიოზულ საფრთხეს, გარე ეკონომიკურ შოკებთან ერთად, სწორედ ქვეყნის შიგნით მიმდინარე კრიზისული მოვლენები წარმოადგენს [1, 322].

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქვეყნის მაკროეკონომიკური წონასწორობის აღდგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო სავალუტო ფონდის საბჭოს მიერ დამტკიცებულ პროგრამას ქვეყნისათვის 750 მლნ აშშ დოლარის საკრედიტო ხაზის გამოყოფის შესახებ, რამაც საგადასახდელო ბალანსის ადეკვატური მხარდაჭერის პირობებში ხელი უნდა შეუწყოს მაკროდონეზე ეკონომიკური პროპორციების დაცვას, ასევე კარდინალურად მნიშვნელოვანია დონორთა საერთაშორისო კონფერენციით საქართველო-

სათვის განსაზღვრული ფინანსური მხარდაჭერის (საგრანტო და საკრედიტო კომპონენტების) პროგრამების შემუშავება. ამასთან, უცხოური ფინანსური დახმარებების მიღებაზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს დანიშნულების შესაბამისად (ჰუმანიტარული დახმარება, საბიუჯეტო და საბანკო არხებით გადასანაწილებელი სახსრები) მათ მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას. ამასთანავე, უცხოურმა ფინანსურმა დახმარებებმა, ჩვენი აზრით, სწორი მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, ქვეყნის ეკონომიკაში უნდა შეასრულოს რამდენიმე ფუნქცია: 1. ეკონომიკისა და სოციალური სფეროს რეაბილიტაციის; 2. ფინანსური სექტორში სტაბილიზაციის შექმნის; 3. „სასიგნალო" ფუნქცია – უცხოელი ინვესტორებისათვის ქვეყნის საინვესტიციო კლიმატის იმიჯის აღდგენის თვალსაზრისით.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, ბუნებრივად ჩნდება კითხვები: მიმდინარე ეტაპზე რა აძლევს განსაკუთრებულ ბიძგს ეკონომიკური კრიზისის პროვოცირებას ქვეყანაში? ფინანსური კრიზისის რომელი სახეობების მკვეთრად გამოვლენაა ყველაზე მეტად შესაძლებელი? რა კონკრეტული ქმედითი ღონისძიებები უნდა გატარდეს ამა თუ იმ სახეობის საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის გადალახვის ან, საუკეთესო შემთხვევაში, მათი თავიდან აცილების მიზნით? აღნიშნულთაგან პირველ კითხვაზე ზემოთ ნაწილობრივ იქნა პასუხი გაცემული. მეორე შეკითხვის კონტექსტში დიდ მნიშვნელობას იძენს ფინანსური კრიზისის ცალკეული სახეობების წარმოშობისა თუ გაღრმავების რეალური საფრთხეები. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ქვეყნის ეკონომიკისათვის სავალუტო და საგალო კრიზისები შედარებით ნაკლებსავარაუდოა, ერთი მხრივ, ქვეყანაში ზემოაღნიშნული ფინანსური ნაკადების შემოდინების გამო, ხოლო მეორე მხრივ, საგარეო ვალის დიდი ნაწილის სამომავლო დატვირთვის ფაქტორის მხედველობაში მიღებით, განსხვავებით საბანკო კრიზისის რეალური საფრთხისაგან – საბანკო სისტემის გარე ბაზრებზე ფინანსური დამოკიდებულების მზარდი ტენდენციის გათვალისწინებით.

სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება აყენებს დღის წესრიგ'ში ეკონომიკის აღნიშნ'ულ სექტორში ეფექტიანი ანტიკრიზისუ-ლი ღონისძიებების შემ'უშავებისა და მათი ქმედითად გადაწყ-ვეტის ა'უცილებლობის აქტუალობას, რასაც წინ უნდა უძღო-დეს ქვეყნის საბანკო ეკონომიკის მაკროპარამეტრებისა და მიკროეკონომიკური ტენდენციების საფუძვლიანი ანალიზი.

შეეინიშნავ'თ, რომ საბანკო სისტემის მ'უშაობის ეფექტია-ნობის შემცირებაზე უკანასკნელ პერიოდში, სხვა ფაქტორებ-თან ერთად, ძირითადად ორი ფაქტორის ზეგავლენაა მნიშვ-ნელოვანი: 1. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისმა პრაქტიკუ-ლად გაართ'ულა დასავლეთის ფინანსური ბაზრებიდან შედა-რებით იაფი საკრედიტო რესურსების მოზიდვა, რამაც ინ-ფლაცი'ური ზეწოლის ფონზე ხელი შეუწყო საბანკო კრე-დიტებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდას; 2. რ'უსეთთან ომის შედეგად ქვეყნაში ეკონომიკ'ური აქტი'ურობის შესუს-ტება პირდაპირ აისახა კომერციული ბანკების საქმიანობაზე საკრედიტო, სადეპოზიტო, ლიკვიდობის და სხვა საბანკო რისკების ზრდის მიმართ'ულებით, რამაც, თავის მხრივ, ასახვა ჰპოვა საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობა-სტაბილ'ურობის ინდიკატორებზე, რომელთაგან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი: 1. 2008 წლის დასაწყისიდან 2009 წლის დასაწყისამდე გაორმაგდა საბანკო სისტემის ვადაგადაცილე-ბული სესხები, ხოლო საკრედიტო პორტფელის მიმართ აღ-ნიშნული ტიპის სესხები გაიზარდა 1,6 პროცენტიდან 2,7 პროცენტამდე; 2. სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა 164,6 მლნ ლარიდან 538,1 მლნ ლარამდე, ანუ 3,3-ჯერ, საკრედიტო პორტფელთან თანა-ფარდობის მიხედვით კი – 3,6 პროცენტიდან 9,0 პროცენტამ-დე; 3. ნიშანდობლივია ამასთან, რომ ნეგატიურად კლასიფი-ცირებ'ული აქტივები (საყ'ურადღებო, არასტანდარტული, საეჭ-ვო და უიმედო სესხები) აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა 6,4-ჯერ და 2009 წლის დასაწყისისათვის შეადგინა მთლიანი საბანკო აქტივების 8,6 პროცენტი; 4. 2008 წლის საბანკო სექტორის საერთო ზარალმა შეადგინა 215,7 მლნ ლარი, რაც

შეიძლება აიხსნას როგორც ეკონომიკური აქტიურობის შემცირების საბანკო სექტორზე ზემოქმედებით, ასევე ფინანსური კრიზისის გამო კომერციული ბანკების მიერ გაცემულ კრედიტებზე გაზრდილი სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირებით; 5. შედეგად, აქტივების უკუგების მაჩვენებელი (ROA) შემცირდა 1,9 პროცენტიდან -2,6 პროცენტამდე, ხოლო კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი (ROE) – 9,7 პროცენტიდან -12,6 პროცენტამდე; 6. წმინდა რაოდენობრივი შეფასების თვალსაზრისით 2008 წლის დასაწყისიდან 2009 წლის დასაწყისამდე 3,5-ჯერ (32 ათასიდან 112 ათასამდე) გაიზარდა საკრედიტო-საინფორმაციო ბიუროს ვადაგადაცილებული კრედიტების მქონე მსესხებელთა ამსახველი ნეგატიური ჩანაწერების რიცხვი.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მიერ განსაზღვრულ საბანკო კრიზისის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკლასიფიკაციო ნიშანს წარმოადგენს პრობლემური აქტივების ერთობლივი შიგა პროდუქტის მიმართ 2-პროცენტიანი ზღვარი. მართალია, ქვეყანაში მიმდინარე ეტაპზე აღნიშნული მაჩვენებელი 1 პროცენტის ფარგლებშია, თუმცა პრობლემური სესხების ზრდის მაღალი ტემპებისა და ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული შიგა პროდუქტის დაცემის მაღალი ალბათობის გათვალისწინებით, საბანკო სისტემაში შექმნილი კონიუნქტურა შეიძლება შეფასდეს, როგორც წინაკრიზისული, რაც წინა პლანზე აყენებს ფინანსური სექტორის აღნიშნულ სეგმენტში რელევანტური ანტიკრიზისული ღონისძიებების ოპერატიულად შემუშავებისა და ეფექტიანად განხორციელების აუცილებლობას.

ამდენად, დაბეჯითებით შეიძლება იმის ხაზგასმა, რომ საბანკო სისტემის ფუნქციონირებაში შექმნილმა პრობლემებმა სავსებით ნათელყო მაკროსაბანკო დონეზე დეპოზიტების დაზღვევის მექანიზმის დანერგვის დაჩქარების და ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის და რეგულირების სისტემის

არსებობის აუცილებლობა, ხოლო მიკროსაბანკო დონეზე – კომერციული ბანკების მიერ საკრედიტო პოლიტიკის და შესაბამისი რისკების შეფასების მექანიზმების გადახედვის გარდაუვალობა, ვინაიდან საქართველოს პოსტკომუნისტურ გარდამავალ პერიოდში სწორედ ქვეყნის საბანკო სისტემა ეანიხილებოდა ეკონომიკის ყველაზე მსარდი განვითარების სეგმენტად. ხოლო ფინანსური სისტემის მონეტარული სეგმენტის დინამიკურ განვითარებას და ზრდის მაღალ ტემპებს, თავის მხრივ, შეეძლო ეკონომიკური ზრდის კატალიზატორის ფუნქციის შესრულება.

როგორც ცნობილია, საბანკო სისტემის ფინანსურ მდგრადობას არსებითად განსაზღვრავს სამი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი: 1. ქვეყანაში მოქნილი ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირება; 2. ადეკვატური საბანკო ზედამხედველობის განხორციელება; 3. დეპოზიტების დაზღვევის ეფექტიანი სისტემის არსებობა [6, 22-24], რაც ქვეყანაში მაღალი საბანკო რისკების წარმოშობის პირობებში მეანაბრეთა და დეპოზიტორთა მაქსიმალურად შესაძლო გარანტირების უზრუნველყოფას გულისხმობს. ამასთან, აღნიშნული ფაქტორები მჭიდრო ურთიერთგანმაპირობებელ კორელაციაში იმყოფებიან. კერძოდ, საბანკო სისტემაში აკუმულირებული დეპოზიტების დაზღვევის ეფექტიანობის ხარისხს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის საბანკო ზედამხედველობის ინსტიტუციონალიზაცია და განხორციელების ფორმები და მეთოდები, ხოლო თავის მხრივ, დეპოზიტების დაზღვევის მოქნილი სისტემა ხელს უწყობს ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემის მოქნილ და ეფექტიან ფუნქციონირებას, რაც, საბოლოო ჯამში, საბანკო სისტემის მდგრადობის ფუნდამენტური პირობაა.

ქვეყანაში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის არარსებობის პირობებში სწორედ რაციონალურ საბანკო ზედამხედველობის სისტემას უნდა ეყრდნობოდეს ფულად-საკრედიტო სისტემის ნორმალური ფუნქციონირება. ამ კონტექსტში, ინსტიტუციური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს საბანკო ზედამხედველობის განხორციელებისადმი განსხვავებულ

მიდგომებს. როგორც წესი, პრუდენციული ზედამხედველობის ფუნქცია ცენტრალური ბანკების კომპეტენციაა, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში (თურქეთი, ინგლისი, გერმანია და სხვა) ბანკების ზედამხედველობა სცილდება ცენტრალური ბანკის ფუნქციონალურ დატვიროვას [4, 153]. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" ორგანულ კანონში 2008 წელს განხორციელებული ცვლილება, რომლის მიხედვითაც საბანკო სისტემის ზედამხედველობის პრუდენციული ფუნქცია გადაეცა საქართველოს საფინანსო სექტორის ზედამხედველობის სააგენტოს (ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიისა და დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურების გაუქმებისა და, შესაბამისად, საფონდო-სადაზღვევო კონტროლის საბანკო ზედამხედველობასთან შერწყმის შედეგად), რაც, ჩვენი აზრით, ფულად-საკრედიტო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების თვალსაზრისით ნეგატიური მუხტის შემცველია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორის გამო: 1. აღნიშნული ცვლილება ეწინააღმდეგება ინსტიტუციურად ძლიერი და დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკის პრინციპს. გარდამავალი ეკონომიკის მიმდინარე ეტაპზე კი, როდესაც ხდება ინფლაციის თარგეთირების მოდელზე გადასვლა, ეროვნული ბანკის საიმედოობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს; 2. წარმოშობს და ართულებს, ერთი მხრივ, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების და მეორე მხრივ, საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ხელთ არსებული რეგულირების მექანიზმების (ნორმატივებისა და ლიმიტების) კოორდინირებული და სინქრონული გამოყენების აუცილებლობას ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური (მათ შორის, საბანკო) კონიუნქტურის შესაბამისად; 3. იწვევს ფუნქციების ასიმეტრიულ განაწილებას. კერძოდ, არაეფექტიანმა საბანკო ზედამხედველობამ დიდი ალბათობით შესაძლებელია ხელი ხეუწყოს ქვეყანაში ინფლაციური ფონის გაძლიერებას, მაშინ, როდესაც ეროვნულ ბანკს არანაირი ბერკეტი არ გააჩნია სააგენტოს საქმიანობის კონტროლისა, ვინაიდან ეს უკანასკნელი

პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე; 4. საბანკო სისტემაში არსებული ფინანსური რისკებიდან და მასში მიმდინარე მოვლენების ქვეყნის მაკროეკონომიკური პარამეტრების ცვლილებისადმი მაღალი ელასტიურობიდან გამომდინარე, ართულებს საკუთრივ საბანკო ზედამხედველობის პროცესს საფონდო და სადაზღვევო ზედამხედველობასთან მისი შეერთების შედეგად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დიდ მნიშვნელობას იძენს ეროვნული ბანკის მიერ, ეკონომიკის ფულად-საკრედიტო რეგულირებისა და საინფორმაციო-ანალიტიკურ ფუნქციებთან ერთად, პრუდენციული ზედამხედველობის ფუნქციის წარმატებით შესრულება საბანკო სისტემის ეფექტიანი და სიცოცხლისუნარიანი ფუნქციონირების უსრუნველსაყოფად.

ეფექტიანი პრუდენციული ზედამხედველობის განხორციელების თვალსაზრისით არასწორად მიგვაჩნია საბანკო სექტორის ლიკვიდობის მაჩვენებლების რაოდენობრივი შეზღუდვა და მათი დაყვანა მხოლოდ საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტზე (მყისიერი და მიმდინარე ლიკვიდობის ნორმებისა და შესაბამისი ნორმატივების ანულირება) გამომდინარე იქედან, რომ ლიკვიდობის რეგულირების მექანიზმი (კაპიტალის ადეკვატურობის შენარჩუნების, საკრედიტო და საინვესტიციო საქმიანობის რეგულირების და სხვა მაჩვენებლებთან ერთად) წარმოადგენს კომერციული ბანკების გადახდისუნარიანობის სისტემურ-კომპლექსური შეფასების მეთოდოლოგიურ საფუძველს, რაც ეხმარება ეროვნულ ბანკს კერძო საბანკო სეგმენტის ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელებაში, ხოლო კომერციულ ბანკებს – საკუთარი ლიკვიდობის მართვისა და შეფასების სწორ და ობიექტურ განსაზღვრაში.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო პრაქტიკა იცნობს საბანკო კრიზისების დაძლევის გზებს, რომლებიც მათი გამოყენების ფორმებისა და საბანკო სისტემის ფუნქციონირების შედეგების მიხედვით, პირობითად შეიძლება დავყოთ ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ მეთოდებად. ღონისძიებათა პირველ ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნოს: კომერციული ბანკების გარ-

კეკული ნაწილის ნაციონალიზაცია, ხოლო კრიზისიდან გამოსვლის შემდეგ კერძო სექტორზე მიყიდვა; სახელმწიფოს მიერ კომერციული ბანკების ე.წ. „ტოქსიკური" აქტივების გამოსყიდვა; კომერციული ბანკების საგარეო ვალდებულებების გარანტად სახელმწიფოს გამოსვლა; ე.წ. „სისტემაშემქმნელი" ბანკების დაკრედიტების, ხოლო მცირე სიდიდის ბანკების შერწყმის მაქსიმალური ხელშეწყობა და სხვა. ღონისძიებათა მეორე ჯგუფი კი აერთიანებს: კომერციული ბანკებისათვის დროებითი საგადასახადო შეღავათების შემოღებას; საბანკო ზედამხედველობის წესების ზომიერ შერბილებას; დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემოღებას (ან კრიზისის პერიოდში მთლიანად საკუთარ თავზე აღებას); ბანკებისათვის ხელშეწყობას უცხოურ საფინანსო ინსტიტუტებზე აქციების გადაცემის თაობაზე; ბანკების რეორგანიზაციის წესების გამარტივებას და სხვა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში საბანკო კრიზისს ადგილი ჰქონდა მსოფლიოს თითქმის 70 ქვეყანაში. ამასთან, სხვადსხვა იყო საბანკო კრიზისიდან გამოსვლის „ფასი" (აშშ-ში – ერთობლიური შიგა პროდუქტის 5 პროცენტი, უნგრეთში – 10 პროცენტი, არგენტინაში – 55 პროცენტი) [2, 538-539]. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ საბანკო კრიზისიდან გამოსვლის (ან თავიდან აცილების) კონკრეტული სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება, ჩვენი აზრით, დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე: 1. განვითარებული, განვითარებადი თუ გარდამავალი ეკონომიკის სისტემას მიეკუთვნება მოცემული ქვეყანა; 2. როგორია ეკონომიკაში სახელმწიფოს „ჩარევის" მასშტაბები; 3. რა დონეზეა ქვეყანაში ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის ხარისხი; 4. რამდენადაა დამოკიდებული საბანკო სისტემა საგარეო საბანკო რესურსებზე; 5. როგორი თანაფარდობაა საბანკო სისტემაში ბანკთაშორის და არასაბანკო დეპოზიტებს შორის; 6. როგორია საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა, როგორც ხარისხის, ასევე სახეობითი შემადგენლობის მიხედვით; 7. როგორია

საბანკო ბაზარზე კონკურენციისა და კაპიტალიზაციის დონე და სხვა.

ქვეყნის საბაზრო პრინციპებზე ორიენტირებული საბანკო სისტემის პირობებში კრიზისის თავიდან აცილების თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, ეკონომიკურად მიზანშეუწონელია სახელმწიფოს მხრიდან რაიმე ტიპის ფინანსური რეპრესიის პოლიტიკის გატარება რამდენიმე ფაქტორის გამო: 1. აღნიშნული დაარღვევს საბანკო სისტემის მუშაობაში „საბაზრო მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობას და შეასუსტებს საბანკო სისტემისადმი ეკონომიკური სუბიექტების ნდობას და საიმედოობას იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფომ გამოყოფილი უცხოური ფინანსური დახმარებები უნდა მიმართოს უშუალოდ მიზნობრივად (ინფრასტრუქტურის აღდგენა, სოციალური ხარჯების აღდგენა და სხვა); 2. ვინაიდან საქართველოს საბანკო სისტემაში სჭარბობს უცხოური კაპიტალის მონაწილეობით ფუნქციონირებული კომერციული ბანკების რიცხვი, რომელთაგანაც უმეტესობა მიეკუთვნება მსხვილი და საშუალო სიდიდის ბანკების ჯგუფს, ჩვენი აზრით, უმჯობესია, სახელმწიფომ მაქსიმალურად მიზნობრივად და ეფექტიანად გამოიყენოს დონორთა ფინანსური დახმარებები და ამით ირიბად ხელი შეუწყოს საბანკო სექტორის ინსტიტუტებს უცხოელი კრედიტორებისაგან ფინანსური პაკეტების მოზიდვის კუთხით, რითვისაც უნდა გაძლიერდეს ასეთი ბანკების მუშაობა კრედიტორებისათვის ფინანსური ვალდებულებების შესაძლო შეუსრულებლობის შემთხვევაში მათთვის კაპიტალის გარკვეული წილის დათმობის მიმართულებით, რაც შეარბილებს კრიზისით წარმოქმნილი საბანკო ლიკვიდობის აბსორბციის მასშტაბებს. რაც შეეხება მცირე სიდიდის ბანკებს, მათთვის სასურველია ან დაწესდეს შეღავათიანი საზედამხედველო ნორმები (რეზერვების, ლიკვიდობის, კაპიტალის ადეკვატურობის და სხვა), მათი ლიკვიდობის მცირე მასშტაბებიდან გამომდინარე, ან საბანკო ბაზარი ავტომატურად მოამზადებს ასეთი ბანკების შერწყმის წინაპი-

რობებს, რაც გაზრდის კომერციული ბანკების კაპიტალიზაციას.

მიგვაჩნია, რომ საბანკო სისტემაში კრიზისის თავიდან აცილების მიზნით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან არა პირდაპირი, ადმინისტრაციული „ჩარევა" და შესაბამისი მხარდაჭერა (არასაბაზრო მეთოდებით ინიექციების გაზრდა, კაპიტალის წილების გამოსყიდვა, პირდაპირი სუბსიდირება კრედიტების დაფარვაზე და სხვა), რაც არაპროგნოზირებადს და არასაბაზროს გახდის საბანკო ინსტიტუტებისა და საბანკო პროდუქტების მომხმარებელთა ქცევის წესებს, არამედ, ერთი მხრივ, წმინდა ინსტიტუციური და ფინანსური ბერკეტების გამოყენება (ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის რეალურად აღდგენა, მონეტარული ბერკეტების, განსაკუთრებით კი რეფინანსირებისა და მუდმივმოქმედი მექანიზმების ადეკვატური გამოყენება, მცირე სიდიდის ბანკების შერწყმის სტიმულირება და სხვა), მეორე მხრივ კი – კომერციული ბანკების შიგა რეზერვების გამოელენისათვის ხელის შეწყობა. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ გააქტიურდეს უცხოური კაპიტალის მონაწილეობით ფუნქციონირებადი საბანკო ინსტიტუტების მხრიდან მაქსიმალური შესაძლო მხარდაჭერის მოპოვება უცხოური საფინანსო-საბანკო ორგანიზაციებიდან ფინანსური პაკეტების მიღების კუთხით, ასევე საკრედიტო პოლიტიკის გადახედვის, სესხების რესტრუქტურიზების მოქნილი მექანიზმების გამოყენების, ცალკეული საბანკო ოპერაციების დივერსიფიცირების ზრდის, საბანკო რისკების დაზღვევის და სხვა თვალსაზრისით, რაც, გარკვეულწილად, შეამსუბუქებს საბანკო სექტორში, ერთი მხრივ, საბანკო რესურსების მოპოვების გართულებითა და მეორე მხრივ, საკრედიტო პორტფელში ვადაგადაცილებული კრედიტებისა და, შესაბამისად, ნეგატიურად კლასიფიცირებული აქტივების მზარდი ტენდენციით განპირობებულ „ორმაგი ლიკვიდობის" პრობლემას.

ზემოაღნიშნულთან ერთად პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფოს მხრიდან არამონეტარული ბერკეტების

კომპლექსური გამოყენება. კერძოდ, ამ თვალსაზრისის მნიშვნელოვანია უცხოური ფინანსური დახმარებებით შევსებული ქვეყნის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების ეფექტიანი გამოყენებით შესაბამისი სავალუტო პოლიტიკის გატარება იმ პირობით, რომ აცილებულ იქნეს ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი, „ნასტომისებური" დევალვაციის ნეგატიური ეფექტები, რაშიც განმსაზღვრელი უნდა იყოს ეროვნული ბანკის როლი. ამასთანავე, გლობალური კრიზისის ზემოქმედებით ქვეყნაში ეკონომიკური აქტიურობის შემცირება სხვადასხვა დონის ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლების შემცირების მაპროვოცირებელი ფაქტორია, რაც დღის წესრიგში აყენებს საბიუჯეტო პოლიტიკის ორიენტაციის გაძლიერებას საბიუჯეტო ხარჯების ტრანსპარენტობის სარისხის გაზრდისა და სხვადასხვა არამწარმოებლური სარჯების დაფინანსების მიმართულებით.

მნიშვნელოვანია იმის კონსტატირებაც, რომ გლობალური ეკონომიკური კრიზისისაგან თავის დაღწევის მიზნით სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა არ წარიმართოს იმ კუთხით, რომ დაუსაბუთებლად გაიზარდოს სახელმწიფოს ეკონომიკაში მონაწილეობის მასშტაბები და, შესაბამისად, შემცირდეს გარდამავალ პერიოდში ნაწილობრივ მიღწეული საბაზრო მექანიზმების და სტიმულების ფუნქციონირება. მხედველობაში გვაქვს საფინანსო სექტორის ცალკეულ სეგმენტებში არსებული კონკურენციის განსაზღვრული დონე და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში უკანასკნელ წლებში შემუშავებული თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების განხორციელება. აღნიშნულის პარალელურად, მნიშვნელოვანია კონკურენტული გარემოს ხელშეწყობის მიზნით ეკონომიკის არასექტორული ანტიმონოპოლიური რეგულირების შესაბამისი კანონმდებლობით განხორციელების სრულყოფა და ამისათვის შესაბამისი უფლებამოსილებებითა და პასუხისმგებლობით აღჭურვილი სტრუქტურის (სამსახურის) ფორმირება, რაც მინიმუმამდე დაიყვანს მონოპოლიების ნეგატიური

ზეგავლენის რისკებს ეკონომიკურ სუბიექტებსა და სოციალურ გარემოზე.

ამრიგად, გლობალური ეკონომიკური კრიზისის პირობებში საქართველოს საბანკო სისტემაში შექმნილი მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს, როგორც წინაკრიზისული საბანკო კონიუნქტურა და, შესაბამისად, საბანკო კრიზისის თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს, ერთი მხრივ, რეალური დამოუკიდებლობის მქონე ეროვნული ბანკის მიერ მის ხელთ არსებული მონეტარული ბერკეტების მოქნილ გამოყენებაზე, ხოლო მეორე მხრივ, ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების განხორციელებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაპავა ვ. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა (თეორია და პოლიტიკა). თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა", 2005. 326 გვ.

2. ქოქიანური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები /საბანკო საქმე/. ტომი I. (მეორე გამოცემა). თბილისი, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი", 2007. 1018 გვ.

3. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის გამოკვლევები. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. თბილისი, „ეტრატი", 1999. 2-47 გვ.

4. სილაგაძე ა., თოქმაზიშვილი მ., საბანკო სისტემის განვითარების ასპექტები საქართველოში. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები №6, თბილისი, 2008. 143-156 გვ.

5. Вешкин Ю.Г., Авагян Г.Л. Банковские системы зарубежных стран. Москва, „Экономист", 2006. 399 с.

6. Максютов А.А. Банковский менеджмент. Москва, „Альфа-Пресс", 2007. 443 с.

Besik Bolkvadze

The Banking Economy of Georgia in Conditions of The Global Financial-Economic Crises

Summary

One of the most actual and difficult problem of Georgian economic functioning at the moment is study and analysis of negative influence of ongoing global economic crises on economy of state and especially on banking system in the modern world. Banking system functioning available problems have discovered a need of effective bank regulation system on macro banking level and necessity of revision of credit policy and appropriate risks evaluation by banks on micro banking level. In order to avoid crises in banking system it is important to use institutional and financial levers on one hand and on the other hand to assist to reveal internal reserves of commercial banks; to reconsider credit policy; to use flexible mechanisms of loan restructuring, to diversify the growth of separate bank operations, which in some way will facilitate the existing problem of liquidity in banking sector.

Бесик Болквадзе

Банковская экономика Грузии в условиях глобального финансово-экономического кризиса

Резюме

На современном этапе функционирования экономики Грузии одним из актуальных и проблемных вопросов является изучение-анализ аспектов негативного влияния на банковскую систему и воздействие текущего в современном мире глобального экономического кризиса на экономику страны. Создавшие проблемы в функ-

ционирование банковской системы выявили необходимость существования эффективного регулирования на макро банковском уровне, а на микро банковском уровне – необходимость обязательного пересмотра механизмов оценки соответствующих рисков. С целью предотвращения кризиса банковской системы необходимо, с одной стороны, использование чисто институциональных и финансовых инструментов, с другой стороны, способствование выявлению собственных резервов коммерческих банков, а именно - пересмотр кредитной политики, использование гибких механизмов реструктуризации долгов, повышение диверсификации отдельных банковских операций, страхование банковских рисков и другое.

ლამარა მიქელაიშვილი

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები

საქართველოს აგრარულ სექტორს ქვეყნის ეკონომიკაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ისტორიულად იგი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის დონის განმსაზღვრელია. ბუნებრივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოებისა და გამოყენების მდიდარი ტრადიციები ყველა ეპოქაში ქართველი ხალხის საკუთარი თვითმყოფადობის, ეკონომიკური დამოუკიდებლობის, მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის, სასაქონლო ნაკადების მოძრაობის საშუალებას იძლეოდა.

ქვეყანაში მიმდინარე სოციალ–ეკონომიკურმა გარდაქმნებმა თვალნათლივ დაგვანახა რომ დარგი, რომელსაც შეუძლია შეასრულოს წამყვანი როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში არის აგროსამრეწველო კომპლექსი, უპირველეს ყოვლისა, მისი ძირითადი რგოლი, სოფლის მეურნეობა. აგრარული რეფორმის არასწორი კურსით გატარების მიუხედავად, სოფლის მეურნეობა გადაურჩა წარმოების ისეთ საშინელ ვარდნას, როგორიც მოსდა ეკონომიკის სხვა სექტორებში. სოფელი იყო, არის და იქნება ეკონომიკის სიცოცხლის უნარიანი დარგი, სწორედ ამ დარგში წყდება ძირითადად სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემა, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის არის ნომერ პირველი ამოცანა და არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის, იგი მსოფლიოს პრობლემას წარმოადგენს. ცნობილია, რომ მსოფლიოში დაახლოებით 1 მილიონამდე ადამიანი არ იღებს საკვებს იმ ოდენობით, რომელიც საკმარისი იქნება ნორმალური ცხოვრებისა და მუშაობისათვის. ეროვნული მთავრობები, სახელმწიფოთაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციები, განუხრელად იბრძვიან სიღარიბის, შიმშილის

წინააღმდეგ, სიღარიბის ზღვრის დაძლევისა და მისი გამოთანაბრებისათვის.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, ქვეყნის მოსახლეობის დღეღამური კვების რაციონის ენერგეტიკული ფასეულობა და საკმარისობის კოეფიციენტის სიდიდე (ნატურალური გამოხატულებით) უდრის 0,95, მოსახლეობის საერთო შემოსავლების დაბალი დონის გამო კვების ფაქტიური (თვიური) რაციონის ღირებულება (42 ლარი) საგრძნობლად ჩამორჩება კვების პროდუქტების მოხმარების რაციონალური ნორმით გათვალისწინებულს (125 ლარი). ეს თანაფარდობა ნათლად მეტყველებს იმ გარემოებებზე, რომ დღეისათვის ქვეყნის მოსახლეობა გადახდისუუნარობა და ვერ ახერხებს საკმარისი ოდენობით მიიღოს ყველა აუცილებელი კვების პროდუქტი და ორგანიზმისათვის აუცილებელი საკვები ნივთიერებები, რადგანაც პროდუქტები ძვირადღირებული და მოსახლეობისათვის ნაკლებ ხელმისაწვდომია.

საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის სურათზე ხელმისაწვდომობის კოეფიციენტი 0,42 ფარგლებშია, ხოლო კალორიულობის მიხედვით იგი არ აღემატება 1350 კკალ–ას, რაც ფაოს მიერ მოცემული კლასიფიკაციით სიცოცხლისუნარიანობის ზღვარს უახლოვდება.

ქვეყნის სასურსათო თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2004 წლისათვის 0,45–ის ტოლია. ანალიზით დასტურდება, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების ყველა მაჩვენებელი პრაქტიკულად გადახრილია ზღვრული მაჩვენებლებისაგან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჯერჯერობით ეროვნულ ეკონომიკას დაკარგული აქვს გაფართოებული კვლავწარმოების და თვითგანვითარების და თვითუზრუნველყოფის უნარი [2. 59].

ეროვნულ დონეზე "სასურსათო უსაფრთხოების პირველი რიგის საკითხებია "საკმარისობა" და "ხელიმისაწვდომობა." ამ შემთხვევაში "საკმარისობა" გულისხმობს მუდმივ მზადყოფნას ექსტრემალურ პირობებში შეინარჩუნოს საკუთარი მო-

სახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მინიმალური დონე. "სასურსათო უსაფრთხოების" საკითხის განხილვის ადრეულ ეტაპზე, პრივალირებდა კონცეფცია, რომლის მიხედვითაც "სასურსათო უსაფრთხოების" მიღწევის ოპტიმალური საშუალება იყო სასურსათო დახმარება და იმპორტი. ამ ხანებში "თვითუზრუნველყოფა არ იყო აქტუალური თემა. რადგან მსოფლიო სასურსათო ბაზარზე სურსათის მიწოდება შედარებით მრავალფეროვანი არხებით ხდებოდა. მაგრამ მსოფლიო მოსახლეობის ზრდამ, არათანაბარმა ეკონომიკურმა განვითარებამ გამოიწვია სასურსათო ბაზრის მონოპოლიზება. ამავე დროს სურსათის ძირითად ექსპორტიორებსაც გაუჩნდათ პრობლემები საკუთარი მოსახლეობის გამოკვებაში, რამაც მიწოდების არასტაბილური ტენდენცია წარმოშვა. მსოფლიოს სასურსათო ბაზრის მონოპოლიზებაზე მონაცემებიც ნათლად მეტყველებს: ამჟამად სურსათით საკუთარ მოთხოვნილებას სრულად იკმაყოფილებს 30–მდე ქვეყანა და მხოლოდ 8 მათგანს გააქვს იგი საექსპორტოდ. აქ ეგულისხმობთ ნეტოექსპორტს. ყველაზე უფრო სტრატეგიული სურსათის, მარცვლეულის მსოფლიო მარაგის უდიდესი ნაწილი რამდენიმე ქვეყანაშია მობილიზებული (აშშ, ევროპის ქვეყნები და კანადა) მარტო აშშ, რომლის მოსახლეობა მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 5% შეადგენს, ფლობს მსოფლიოს მარცვლეულის მთლიანი მარაგის დაახლოებით ნახევარს [9, 48].

მარცვლეულის ექსპორტის მხრივაც ანალოგიური ვითარებაა შექმნილი. მისი მთლიანი მოცულობიდან ლომის წილი მოდის სამ ქვეყანაზე: ამერიკის შეერთებულ შტატებზე, ავსტრალიაზე, კანადაზე და ეს იმ დროს როდესაც მარცვლეულის იმპორტორი თანამედროვე მსოფლიოში 120 ქვეყანაა [8. 48]. ასეთ ვითარებაში მოთხოვნისა და მიწოდების ბალანსის დარღვევამ საერთაშორისო სასურსათო ბაზარზე შესაძლებელია პანიკა გამოიწვიოს, რასაც ერთვის თან ფასების ზრდაც. ცხადია სურსათის იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნები საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან მოვლენების ამგვარი

განვითარებისას. ანალოგიურ მდგომარეობას რამდენჯერმე უკვე ჰქონდა ადგილი მსოფლიოს სასურსათო ბაზარზე, რამაც უბიძგა ქვეყნებს აქტიურად შეექმნათ და განეხორციელებინათ "თვითუზრუნველყოფის" ეროვნული კონცეფციები, რაც ძირითადად აგრარული სექტორისადმი სახელმწიფოს აგრესიული მხარდაჭერის პოლიტიკაში გამოიხატება.

სასურსათო უსაფრთხოების "თვითუზრუნველყოფის" კონცეფცია გულისხმობს მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ადგილობრივი წარმოების ხარჯზე. ამ შემთხვევაში ზუსტად არ არის განსაზღვრული სამამულო წარმოების ის მინიმუმი, რომელიც საკმარისია სასურსათო უსაფრთხოების შესანარჩუნებლად. სხვადასხვა მოსაზრებით ეს მონაცემები 80 პროცენტის ფარგლებში მერყეობს, ანუ ცალკეული ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება დარღვეულად ითვლება, თუ აქ მოხმარებული მთელი სურსათის 20 პროცენტზე მეტი იმპორტულია [3. 52]. აღნიშნული მაჩვენებელი არის პირობითი ორიენტირი, თორემ თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე, მდგომარეობას ყველაზე მეტად ასახავს დეკისი "დამოუკიდებელმა სახელმწიფომ უნდა აწარმოოს იმდენი სურსათი, რამდენის საშუალებასაც მისი ბიოგეოკლიმატური პოტენციალი იძლევა".

ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფაზე მსჯელობისას მხედველობაშია მისაღები მთელი რიგი ფაქტორები. ქვეყნის მიერ სურსათით უზრუნველყოფის მიღწეული დონე პირობითად სამ საფეხურად შეიძლება დავანაწევროთ: პირველი, ყველაზე საუკეთესო შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო საკუთარ მოთხოვნილებას სურსათზე სრულად უზრუნველყოფს სამამულო წარმოების ხარჯზე. ასეთი ვითარება გულისხმობს როგორც ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს, ასევე ტერიტორიის მაღალ ბიოპოტენციალს, მეორე შემთხვევაში, როცა ქვეყანა სურსათზე მოთხოვნილებას ვერ იკმაყოფილებს, მაგრამ ამას აღწევს იმპორტის მეშვეობით. ამ დროს საქმე გვაქვს განვითარებულ ეკონომიკასთან, მაგრამ მწირ ბიოპოტენციალთან. მესამე ყველაზე უარესი შემთხვევის

დროს, სახელმწიფო ვერც საკუთარი წარმოების და ვერც იმპორტის ხარჯზე ვერ ახერხებს სურსათით საკუთარი მოსახლეობის სათანადო უზრუნველყოფას. ასეთი სიტუაცია მიუთითებს ეკონომიკური განვითარების დაბალ დონეზე მაღალი ან დაბალი ბიოპოტენციალის ფლობის პირობებში.

პირველი ჯგუფის ქვეყნებს მიეკუთვნება აშშ, ავსტრალია, კანადა, ახალი ზელანდია, ევროკავშირის ზოგიერთი სახელმწიფო და ა.შ. ზოგიერთ მათგანში არა მარტო "ნეტო უზრუნველყოფაა" მიღწეული, არამედ სურსათი საექსპორტოდაც წარიმართება.

მეორე საფეხურზე ყველაზე თვალსაჩინოა იაპონია, ხოლო მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობა მესამე კატეგორიას განეკუთვნება. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ხშირად გამოიყენება ტერმინები "სასურსათო უსაფრთხოების "ქრონიკული" და "დროებითი დარღვევა". ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების "ქრონიკული" დარღვევა არის ის მდგომარეობა, როდესაც მას არ შეუძლია სათანადო რაოდენობის სურსათის წარმოება და იმპორტირება დაბალი საკალუტო შემოსავლის გამო. სასურსათო უსაფრთხოების "დროებით" დარღვევას კი მაშინ აქვს ადგილი, როდესაც სახელმწიფოსათვის მიუწვდომელია მსოფლიო სასურსათო რესურსები, მასზე ფასების სპეციფიკური ზრდის ან საკალუტო შემოსავლების კონიუქტურული კლების გამო.

ქვეყნის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პროცესში შეიძლება სხვადასხვა პრიორიტეტი გამოიყოს. ეს დამოკიდებულია ეკონომიკური განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების მიღწეულ დონეზე [5. 51]. მაგალითად, დაბალი ეკონომიკური დონისა და სურსათის დეფიციტის შემთხვევაში სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანაა სურსათზე გადახდისუნარიანი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რის შედეგადაც განიხილება კვების ფიზიოლოგიური მოთხოვნილების შესაბამისი უზრუნველყოფა. ასეთ ვითარებაში ჯერ არ არის საუბარი "თვითუზრუნველყოფის" შესახებ, ხოლო როცა პირველი და მეორე ეტაპი მიღწეული იქნება, რაც

გულისხმობს საერთო ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს და სურსათზე კვების ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამის მოთხოვნას, მხოლოდ ამის შემდეგ წამოიწევს წინა პლანზე "თვითუზრუნველყოფის" რაც შეიძლება მაღალი დონის მიღწევა. ეს კი ეკონომიკური განვითარების მაღალი დონის პირობებში თითქმის მთლიანად უკავშირდება ქვეყნის ბიოკლიმატურ და ნიადაგობრივ რესურსებს. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეული სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას და პრიორიტეტებს, ანუ რამდენად მიმართავს იგი თავის ეკონომიკურ პოტენციალს აგრარული სექტორისადმი, რადგან სოფლის მეურნეობის არასათანადო მხარდაჭერის შემთხვევაში შეიძლება სრულად ვერ იქნას აოვისებული ქვეყნის ბიოპოტენციალი. მსოფლიოში არსებობს ქვეყნები რომელთაც გადაჭრეს სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა "უკმარისობის", "ხელმისაწვდომობის" და "თვითუზრუნველყოფის" თვალსაზრისით. ზოგიერთ მაოგანში სურსათის ჭარბწარმოების ტენდენციებიც წარმოიშვა, რამაც გაამწვაცა ეკოლოგიური ვითარება, სურსათის რაოდენობის ზრდამ აღნიშნულ სახელმწიფოში აქტუალობა დაკარგა. ასეთ ვითარებაში გაჩნდა ხარისხის, რაოდენობის ხარჯზე ზრდის ტენდენცია და "ეკოსასურსათო უსაფრთხოების" კონცეფცია წარმოიშვა, რომელიც სასურსათო უსაფრთხოების უმაღლესი ეტაპია.

სახელმწიფო (ეროვნული) სასურსათო უსაფრთხოების შეფასების მთავარი კრიტერიუმია ქვეყანაში მოხმარებული და წარმოებული სასურსათო პროდუქციის მოცულობების თანაფარდობა. კიდევ უფრო ზუსტ შეფასებას იძლევა მოხმარებული სურსათის მთლიან მოცულობაში ადგილობრივი წარმოების ხვედრიწილის მაჩვენებელი.

დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმა, რომლის შინაარსი საბაზრო უსაფრთხოებაზე გადასვლაში მდგომარეობს წარმოშობს ამ პრობლემისადმი განსაკუთრებულ მიდგომას. ეკონომიკურ უსაფრთხოებათა გარდაქმნის თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ქვეყანაში ჯერ

კიდევ არ ამოქმედებულა საბაზრო სისტემის ძირითადი ეკონომიკური მექანიზმი, ხოლო ადმინისტრაციული მბრძანებლური მართვის ბერკეტები დანგრეულია, მეცნიერულ–ტექნიკური ზემოქმედება ეკონომიკაზე უფრო სუსტია.

აგროსასურსათო კრიზისი დიდი რისკფაქტორია ეროვნული უშიშროებისათვის. მისი დაძლევა სახელმწიფო მარეგულირებელი პოლიტიკის და ეკონომიკური ჩარევის სიღრმეს უკავშირდება. საქართველოსათვის არსებითია სასურსათო თვითუზრუნველყოფის მიღწევა. ხელისუფლების და ეკონომიკის ყველა რგოლი მოვალეა განუხრელად იცავდეს ამ პრინციპს. არადა ქვეყანას ჯერ კიდევ შემოაქვს საჭირო სურსათის 50%–ზე მეტი, ამიტომ სავაჭრო ბალანსის გაწონასწორებისათვის, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა შევამციროთ სურსათის იმპორტი და მხარი დაუჭიროთ სამამულო აგროსასურსათო წარმოება–აღორძინებას, რომლის პოტენციალი სრულიად საკმარისია ამ ამოცანის გადასაწყვეტად. საქართველოს სასურსათო პოტენციალი ექსპერტული შეფასებით, სრულიად საკმარისია 8–10 მილიონი ადამიანის გამოსაკვებად, მაგრამ დღეისათვის ეკონომიკური რეფორმის არასწორი კურსით წარმართვის, აგროსასურსათო სექტორის პროდუქციის შეზღუდული წარმოებისა და მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითუნარიანობის გამო ძირითადი კვების პროდუქტების ფაქტიური მოხმარება მნიშვნელოვნად ჩამორჩება კვების ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებულ მოცულობებს.

მსოფლიო სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (ფაო) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სიეტლის სამიტზე მკვეთრად უარყოფითი შეფასება მისცა განვითარებადი ქვეყნების მხრივ სურსათის იმპორტის წახალისებას. ამასთან ფაო–ს გენერალური დირექტორის მოადგილემ დე ჰეინმა აღნიშნა, რომ "ფერმერთა სუბსიდირება სურსათის ექსპორტიორ განვითარებულ ქვეყნებში მართლა დაეხმარება ღარიბ იმპორტიორ ქვეყნებს იმპორტის გაიაფებაში, მაგრამ დაბალი ფასები სურსათზე აიძულებს ბევრ ნაკლებ განვი-

თარებ'ულ ქვეყანას 'უგ'ულველყოს საკუთარი აგრეწარმოება. ლიბერალიზაციის შედეგად თითქმის გარდაუვალი იქნება ფასების ზრდა, რაც ამ ქვეყნებს დატოვებს გაუსაძლის მდგომარეობა'ში. ნეინ მტკიცედ 'ენდა ვიდგეთ იმ აზრ'ზე, რომ შემცირდეს იმპორტ'ზე დამოკიდებ'ულება" [16.140].

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონ'ზე, რომელიც გაღატაკებითა და გაკოტრებით ემ'უქრება არა მხოლოდ კერძო სტრუქტურებს, არამედ მთელ სახელმწიფოებსაც, როცა იხურება და კოტრდება დიდი კომპანიები და კორპორაციები, როცა მნიშვნელოვნად მცირდება ინვესტიციები და შედეგად — გამოშვებული პროდუქცია და მომსახურება, იზრდება 'უმ'უშევართა არმია და სიღატაკე, კრიზისის რეალური მასშტაბები და ხანგრძლივობა ჯერ კიდევ გა'ურკვეველია, ფინანს'ურმა კრიზისმა მოიცვა მთელი მსოფლიოს საფინანსო სისტემა და მთელი ეკონომიკა, სადაც კრიზისში მყოფი, გადახდისუუნარო ქვეყნების მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება და უარესდება. საქართველოში ეკონომიკური ზრდის ტემპი აგვისტოს ომისა და ეკონომიკური კრიზისის შედეგად 14%–დან 2%–მდე დაეცა. საქართველოს სახელმწიფო ვალი ერთ წელიწდში 59%–ით გაიზარდა და მარტის მდგომარეობით 2 მლრდ 812 მლნ 743 ათასი აშშ დოლარს შეადგენს. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით მრავალმხრივი კრედიტორების მიმართ ქვეყნის ვალი 1 მლრდ 784 მლნ 114 აშშ დოლარია. აქედან მსოფლიო ბანკის 968 მლნ 335 ათასი აშშ დოლარი, ევროგაერთიანების 75 მლნ 866 ათასი აშშ დოლარი, საერთა'შორისო სავალუტო ფონდის კი 624 მლნ 524 ათასი აშ'შ დოლარი. საერთაშორისო სავალ'უტო ფონდის კი 624 მლნ 524 ათასი აშ'შ დოლარი. საგარეო ვალი სავარა'უდოდ კიდევ გაიზრდება, რადგან კრედიტები კიდევ მისაღებია. საგარეო ვალი მშპ–სთან თანაფარდობის ზღვარს 'უახლოვდება (21–25%) და ეს მაჩვენებელი ისეთი ეკონომიკისათვის როგორიც საქართველოს ეკონომიკაა–კრიტიკულია. გამოსავალი შესაძლოა იყოს მხოლოდ ეკონომიკური განვითარება, რაც შექმნილი კრიზისიდან გამომდინარე 2–3 წლის განმაჯ-

ლობაში პრობლემურია. ქვეყნის ვალის მდგომარეობას ამძიმებს ბოლო დროს აღებული ვალის მაღალი საპროცენტო განაკვეთი. მინიმალური განაკვეთი შეადგენდა 4%–ს. ბოლო დროს აღებული კრედიტის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 7,5%, რაც საკმაოდ მაღალია. კრიზისისას შესაძლოა მმპ შემცირდეს, საგადასახადო ვალი კი გაიზარდოს [1. 27].

საგარეო ვალს აქვს თავისი დატვირთვა და მნიშვნელობა, ფული გვჭირდება ქვეყნის განვითარებისათვის, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია თუ რა მიმართულებით გამოვიყენებთ, როგორია ქვეყნის სტრატეგიული არჩევანი, მისი ეკონომიკური განვითარების კონცეფცია, რითაც დღეს ნამდვილად ვერ ვიამაყებთ.

დღეს საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგია, ისეთია, რომ სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგად უნდა დარჩეს, რადგან ქვეყანაში, პირველ რიგში, აგრარულ სექტორს აქვს საკმარისი პოტენციალი გაფართოებული კვლავწარმოებისათვის. სწორედ მან შეიძლება უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი პროდუქციის საჭირო მოცულობის წარმოება და მოგების სწრაფი მიღება, მნიშვნელოვანი სამუშაო ადგილების შექმნა (50%) და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალექსიშვილი ლ., საქართველოს ვალი იზრდება, გაზ. "კვირის პალიტრა", 2009, 20–26 აპრილი.
2. ბერკაძე ვ., ვაშაკიძე ო., აგროსამრეწველო კომპლექსის დაჩქარებული განვითარების მიმართულებები, თბ., 2005, გვ. 144.
3. გიგაური გ., ვინ და რატომ მოაწყო გლობალური ფინანსური კრიზისი, გაზ. "კვირის პალიტრა", 2009, 13–19 აპრილი.
4. მალაშხია გ. საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2002, გვ. 240.
5. ნოზაძე გ. საგარეო ვაჭრობის უარყოფითი ბალანსი განუხრელად იზრდება, გაზ. "კვირის პალიტრა", 2009, 19–25 იანვარი.

6. კოღუაშვილი პ., ბენია შ. ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების შეფასების ძირითადი კრიტერიუმები, ჟურნ. "ეკონომიკა", 2002, № 8–9. გვ. 50–59.

7. კოღუაშვილი პ., ბენია შ., აგრარული ბაზის სახელმწიფო რეგულირების ასპექტები საქართველოში, ჟურნ. "ეკონომიკა", 2002, №5, გვ. 140–147.

8. პაპუნიძე გ., კომახიძე მ., ამერიკული გამოცდილება, ბათუმი, 2004, გვ. 27.

9. ყამარაული ს. წარმოების ორგანიზაცია და მართვა ფერმერულ მეურნეობებში, თბ., 2000, თბ., "მეცნიერება", გვ. 644.

10. Шершенев Е. Продовольственная ситуация в мире и перспективы её изменения США ЭПИ, 1996. № 8, стр. 48.

11. ჭითანავა ი., სოფლის მეურნეობის როლი და ამოცანები ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, ჟურნ. "ეკონომიკა", 2002, № 8–9, გვ. 79–84.

12. ჯალაბაძე ლ., ეკოლოგიური აგროწესების საფუძვლები, თბ., გამ. "მწიგნობარი", 2007, გვ. 391.

Lamara Mikelaishvili

Worldwide Economic Crisis and Problems of Food Security

Summary

Transition of the country to market economy has brushed against all spheres of our life-both economy and politics. In agriculture to the moment of beginning of the reforms created the critical position, which powerfully influenced upon the level of living of the populations. For great part of the population the ratio level of food accessibility constitutes 0,42 calorie content, which does not exceed 1350 kk, the ratio of self-providing country constitutes 0,45, the import of the food products in 4 times exceed than export out of the country.

The Analysis proves that all factors of economic security practically extremely low and do not be up to quality of the country.

On background of the world financial and economic crisis,the condition of the economy of the country is more and more aggravated,

grow the state debts, unemployment, falls the level of living oh the populations. The crisis of the agricultural production is a great risk-factor for national security of the country.

It is necessary to realize the importance, enormous role and potential of this branches and direct all power for adjusting of its extended reproduction.

Ламара Микеланшвили

Всемирный экономический кризис и проблемы продовольственной безопасности

Резюме

Переход страны на рыночную экономику задел все сферы нашей жизни-как экономику так и политику. В сельском хозяйстве к моменту начала реформы создалось кризисное положение, которое сильно повлияло на уровень жизни населения. Для значительной части населения уровень коэффициента продовольственной доступности составляет 0,42 калорийности, которая не превышает 1350 кк, коэффициент самообеспечения страны составляет 0,45, импорт продовольственных продуктов в 4 раза больше чем экспорт из страны.

Анализ доказывает, что все показатели экономической безопасности практически крайне низкие и не соответствуют требованиям страны.

На фоне мирового финансового и экономического кризиса, состояние экономики страны всё более усугубляется, растут государственные долгы, безработица, снижается уровень жизни населения. Агропродовольственный кризис является большим риск-фактором для национальной безопасности страны.

Созрела необходимость осознать значение, огромную роль и потенциал этой отрасли и направить все силы для урегулирования его расширенного воспроизводства.

ვაჟა ანანიძე

ეკონომიკის სტრუქტურის გარდაქმნა – არსი, მიზეზები, ტერმინოლოგიური აპარატი

ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურის გარდაქმნის საკითხი განსაკუთრებით აქტიური იყო გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა იმპერიის რღვევის შედეგად წარმოქმნილ ახალ, დამოუკიდებელ სახელმწიფოებში (აღმოსავლეთ ევროპა, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები), რომლებმაც მემკვიდრეობით მიიღეს დეფორმირებული ეკონომიკური სტრუქტურები – სამხედრო-სამრეწველო დარგების უპირატესი წილით, რომლებიც ემსახურებოდნენ ამ იმპერიის სამხედრო ძლიერებას; წარმოება, რომელიც ორიენტირებული იყო თვით წარმოების და არა საბოლოო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებლად; ქვეყნის ეკონომიკური გაძღოლის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა და ა.შ. ბეურმა მათგანმა მნიშვნელოვნად განაახლა საკუთარი ეკონომიკის სტრუქტურა (აღმოსავლეთ ევროპა), თუმცა სხვებს ეს ჯერ კიდევ ვერ მოუსერხებია (საბჭოთა რესპუბლიკები), ზოგი კი (საქართველო) თავიდანვე ნათრეული აღმოჩნდა მწვავე შიდაპოლიტიკურ (სამოქალაქო დაპირისპირება) და რეგიონულ კონფლიქტებში, რამაც გარკვეულწილად გადააყადა ახალ ეკონომიკურ სტრუქტურაზე გადასვლა, თუმცა გამოიწვია ძველი სტრუქტურის მნიშვნელოვანი ელემენტების (დარგების, წარმოებების) მოშლა, გაჩერება. ქართული ეკონომიკის შემთხვევაში, მართებული იქნებოდა გვესაუბრა არა გარდაქმნაზე, არამედ აღდგენაზე, ეკონომიკის სტრუქტურის ხელახალ შექმნაზე.

ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურა მთლიანი სისტემის სტრუქტურაა, რაც მისი ნორმალური ფუნქციონირების აუცი-

ლებელი პირობაა. სისტემის მთლიანობა კი მიიღწევა შემდეგი სტრუქტურული ელემენტების(1) ერთობლიობით:

მატერიალურ-ნივთობრივი სტრუქტურა,სადაც თავის მსრივ გამოიყოფა: კვლავწარმოებითი სტრუქტურა (სამომხმარებლო პროდუქტის წარმოება; სახელმწიფო მოხმარება; საწყისი პროდუქტის წარმოება; შუალედური პროდუქტის წარმოება და რეალიზაცია; ინტელექტუალური პროდუქტის წარმოება; საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის პროდუქტები); ტექნოლოგიური სტრუქტურა; დარგობრივი სტრუქტურა; ტერიტორიული სტრუქტურა; სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა.(2) ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურის აღნიშნული ელემენტი, სახელწოდებიდან გამომდინარე, გვიხასიათებს სტრუქტურას ფიზიკური ფორმით.

საფინანსო-ღირებულებითი სტრუქტურა წარმოადგენს მატერიალურ-ნივთობრივი სტრუქტურის, როგორც ფიზიკური სხეულის მოძრაობის ფინანსურ-ღირებულებით (ფასები, გადასახადები, ამორტიზაცია და ა.შ.) ასახვას.

მოთხოვნის სტრუქტურა გვიჩვენებს საწარმოო და არასაწარმოო მოთხოვნას, შიგა და გარე ბაზრების მოთხოვნას და სხვ.

მარეგის და სახელმწიფო რეგულირების სტრუქტურა გვიხასიათებს ეკონომიკის სხვა სტრუქტურულ ელემენტებზე ეფექტური ზემოქმედების ხარისხს.

საბჭოთა ეკონომიკის კრახის ერთ-ერთი მიზეზი (სხვა მიზეზებთან ერთად) ისიც იყო, რომ ადგილი ჰქონდა რესურსების გადანაწილებას დარგებს შორის (ეკონომიკის სტრუქტურის დარგობრივ სტრუქტურაზე დაყვანა) პრიორიტეტულობის პრინციპიდან გამომდინარე ისე, რომ მართვის და სახელმწიფო რეგულირების მაშინდელი სისტემა (საბჭოთა იდეოლოგიის გამო) უცვლელი რჩებოდა. შესაბამისად, ეკონომიკის სტრუქტურის გარდაქმნა ნიშნავს მისი, როგორც მთლიანი სისტემის ხარისხობრივ, ძირეულ შეცვლას, როცა ადგილი აქვს არა მხოლოდ მატერიალურ-ნივთობრივი

სტრუქტურის ელემენტების განახლებას, არამედ ყველა სხვა ზემოაღნიშნული ელემენტებისა. დინამიური და პროგრესული სტრუქტურის ჩამოყალიბება, ფორმირება მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი. ეკონომიკის ახალი სტრუქტურის შექმნა-ჩამოყალიბების მაგალითად გამოდგება ის გარდაქმნები, რომლებიც დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში დაიწყო და განხორციელდა გასული საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებიდან 90-იანი წლების დასაწყისამდე. ცნობილია, რომ აღნიშნულ პერიოდში ძირეული ცვლილება განიცადა ეკონომიკის სტრუქტურის არა მხოლოდ მატერიალურ-ნივთობრივმა ელემენტმა (წარმოების ტექნოლოგიური, ინფორმაციული და ა.შ. განახლება), არამედ მართვის (ახალი ფორმების გაჩენა) და სახელმწიფო რეგულირების (ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფო ჩარევის მკვეთრი შესუსტება) ელემენტმაც, ძირფესვიანად გარდაიქმნა საფინანსო-ღირებულებითი სტრუქტურა (საგადასახადო, საამორტიზაციო პოლიტიკა და სხვ.), მოთხოვნის სტრუქტურა და ა.შ.

შეგვიძლია შევიმეცნოთ ამ სტრუქტურის მოძრაობა, მისი შიგა ბუნებიდან გამომდინარე. ჩვენ მას განვსაზღვრავთ, როგორც პროცესს (მოძრაობას) ერთი მთლიანი სისტემის სტრუქტურიდან მეორეზე გადასვლისა, როცა ადგილი აქვს მოცემული სტრუქტურის ცალკეულ ელემენტებზე უარის თქმას, სხვათა გაჯანსაღებას (სანაცია) და ახალი ელემენტების წარმოქმნას (ერთდროულად), რომელთა წილი ბევრად მეტია და რომლებიც ახალ პირობებში ეკონომიკის ახალ სტრუქტურას განასახიერებენ. სტრუქტურული გარდაქმნა არის ეკონომიკის გაჯანსაღების გზა, რომლის მეშვეობითაც ხდება ძველი სტრუქტურის განახლება, მისი სტრუქტურის შესაბამისობაში მოყვანა შეცვლილ მოთხოვნებთან – შიგა და გარე ბაზრებისა. სტრუქტურული გარდაქმნის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ამაში მდგომარეობს.

ეკონომიკურ ლიტერატურაში სტრუქტურის ტრანსფორმაციის პროცესის აღსანიშნავად სხვადასხვა ცნება გამოიყენება: „სტრუქტურული გარდაქმნა," „სტრუქტურული განახლე-

ბა," „სტრუქტურული ძვრები," „სტრუქტურული ცვლილებები," „გადასტრუქტურირება," „რესტრუქტურირება" და სხვ. მათი გამოყენების პრაქტიკა ისეთია, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ისინი ერთსა და იმავე მოვლენას გამოსახავდნენ, რომ თითქოს მათ შორის არ არსებობდეს მეტნაკლები სხვაობაც კი. ამასთან, საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ ეს ცნებები (ბოლო ორის გამოკლებით) ეკონომიკურ ლიტერატურაში შემთხვევითი არაა. პირიქით, მათ არსებობის კანონიერი უფლება გააჩნიათ, თუმცა სხვადასხვა მოვლენის ამსახველებად გვევლინებიან. სანამ მათ უშუალოდ შევეხებოდეთ, შევჩერდებით ცნებებზე „გადასტრუქტურირება" და „რესტრუქტურირება". პირველი ნათლად გვინვენებს ტერმინოლოგიით გატაცებას, ხოლო მეორეს არ ძალუძს გადმოგვცეს ხარისხობრივად ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესი, ვინაიდან თავსართი „რე," როგორც წესი, გადმოგვცემს მოქმედებათა განმეორებადობას.(3) თავისთავად ცხადია, რომ ეკონომიკის ახალი სტრუქტურის ფორმირების პროცესს (თავისი ბუნებიდან გამომდინარე იგი გვევლინება, როგორც უნიკალური, განუმეორებელი მოვლენა) არაფერი აქვს საერთო მოქმედებების (პროცესების) განმეორებასთან, რომელთაც ადრე ჰქონდათ ადგილი.

რაში მდგომარეობს დანარჩენი ცნებების არსი? ტერმინები „სტრუქტურული გარდაქმნა" და „სტრუქტურული განახლება" გვიხასიათებენ ეკონომიკის, როგორც მთლიანი სისტემის ძირეულ, კარდინალურ ცვლილებებს, რომლის დროსაც ადგილი აქვს ძველი სტრუქტურის არსებით რღვევას და ახლის — ეკონომიკის პროგრესული სტრუქტურის წარმოქმნას, ჩამოყალიბებას, მაშინ როცა ცნებები „სტრუქტურული ცვლილებები," და „სტრუქტურული ძვრები," არ შეიცავენ მსგავს აზრობრივ დატვირთვას და გადმოგვცემენ ისეთი ცვლილებების არსს, რომლებიც თავიანთი ხასიათით არ არიან რევოლუციური, არამედ ხორციელდებიან თანდათანობით. შესაბამისად, როგორც პირველ ორ, ასევე ბოლო ორ ცნებას შორის ტოლობის ნიშანი ზის.

სტრუქტურული გარდაქმნა (განახლება) და სტრუქტურული ცვლილებები (ძვრები) ორგანულად ახასიათებთ ყოველი ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურას, როგორც ცოცხალ ორგანიზმს. სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედების შედეგად (როგორც შიგა, ისე გარე) ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურა განიცდის ცვლილებას ყოველდღიურად, ყოველთვიურად, ყოველწლიურად. მსგავს ცვლილებებს მივაკავართ გარკვეული პროცესების დასრულებასთან, რომლის შემდეგაც დღის წესრიგში დგება ეკონომიკის სტრუქტურის ძირეული (და ხარისხობრივი) შეცვლის საკითხი, ანუ მისი გარდაქმნა.

აღნიშნული მსჯელობიდან ლოგიკურად გამომდინარეობს ის, რომ სტრუქტურულ ცვლილებებს (ძვრებს) ადგილი აქვთ სტრუქტურული გარდაქმნების (განახლების) დროს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარდაქმნა ხორციელდება თანდათანობით, სტრუქტურული ცვლილებების (ძვრების) გზით, რათა დასრულდეს ძველი სტრუქტურიდან ახლის წარმოქმნა-ჩამოყალიბების პროცესი. ამ პროცესის დასრულების შემდეგ, სტრუქტურული ცვლილებები (ძვრები) აგრძელებენ თავიანთ „მოძრაობას," მაგრამ უკვე ხარისხობრივად სხვა პირობებში და უკვე ემსახურებიან სხვა მიზანს – ახალი, აწ უკვე ჩამოყალიბებული სტრუქტურის განვითარებას, სრულყოფას, რაც თავის მხრივ, გარკვეული დროის შემდეგ გამოიწვევს ამ სტრუქტურის შეცვლას, სხვა, შემდგომი ეტაპის სტრუქტურით და ა.შ.

ზემოთაღნიშნული ცნებების ამდაგვარი დაყოფა არ წარმოადგენს წმინდა ლინგვისტურ გარჯას. საუბარია ორ სხვადასხვა მოელენაზე და შესაბამისად იმ ცნებებზე, რომლებიც გარკვეულწილად გვეხმარებიან მათი არსის შეცნობასა და ასახვაში. დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ზემოთმოყვანილი მაგალითი, სადაც საუბარი იყო მათი ეკონომიკების სტრუქტურის საფუძვლიან, ძირეულ გარდაქმნაზე, შეიცავდნენ მნიშვნელოვან ღონისძიებებს როგორც მატერიალურ-ნივთობრივი ელემენტის (კვლავწარმოებითი, ტექნოლოგიური, ტერიტორიული, დარგობრივი და ა.შ.) დონეზე, ისე საფი-

ნანსო-ღირებულებითი ელემენტის (მსხვილი რეფორმები გადასახადების, ამორტიზაციის და სხვ. სფეროებში) დონეზე, მართვისა და სახელმწიფო რეგულირების სტრუქტურის, მოთხოვნის სტრუქტურის დონეზე. ამ პროცესების რუსი მკვლევარი ლ. ნოჩეკინა შენიშნავს, რომ აღნიშნული სტრუქტურული გარდაქმნები საჭიროა განვიხილოთ, როგორც მორიგი გადანაწილება ძირითადი რესურსებისა ეკონომიკური საქმიანობის ტრადიციულ სფეროებს შორის ან საბაზო ტექნოლოგიების მსხვილ დარგობრივ ბლოკებს შორის. სტრუქტურულმა გარდაქმნამ, რომელიც დაკავშირებული იყო ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე გადასვლასთან, გამსჭვალა ყველა არსებული სტრუქტურა, შეცვალა სამეურნეო კავშირების სისტემა და ასახა ახალი მოთხოვნები საწარმოო კულტურის დონესთან მიმართებაში დაქირავებული შრომის პირთა მხრიდან და მართვის კულტურა – მეწარმეების და მენეჯერების მხრიდან. (4) ცნობილია, რომ სტრუქტურული გარდაქმნის პროცესი, რომელიც აღნიშნულ ქვეყნებში მიმდინარეობდა ძირითადად დასრულდა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისისთვის. თუ ამ პროცესებს განვიხილავთ ჩვენი პოზიციიდან, შეიძლება ითქვას, რომ სტრუქტურული ცვლილებები (ძვრები), რომელთაც ადგილი ჰქონდათ დროის აღნიშნულ მონაკვეთში, ემსახურებოდნენ იმ ახალი სტრუქტურის შექმნას, რომელიც 80-იანი წლების ბოლოსთვის ჩამოყალიბდა. შესაბამისად, სტრუქტურულ გარდაქმნად შეიძლება იწოდოს დაახლოებით ის 15-წლიანი პერიოდი რეფორმებისა, რომელთაც დასახელებულ ქვეყნებში ჰქონდა ადგილი, მაშინ როცა სტრუქტურულ ცვლილებებს (ძვრებს) არ ძალუძთ ჰქონდეთ ამდაგვარი პრეტენზია.

სტრუქტურული გარდაქმნის გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური. პოლიტიკურ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს საომარი მოქმედებები (სამოქალაქო ან სამამულო) ან ხანგრძლივი მზადება ასეთი მოქმედებებისათვის (თავდაცვითი დარგების უპირატესი გან-

ვითარება, ან სახელმწიფო შემოსავლების დიდი ნაწილის შეიარაღებაზე ხარჯვა სოციალური და სხვა სფეროების საზიანოდ) და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნების სამხედრო მიზნებით ჩანაცვლება. საომარი მოქმედებების დასრულების ან საზოგადოების მიერ მცდარ სამხედრო-პოლიტიკურ მიზნებზე უარის თქმის შემდეგ დღის წესრიგში დგება ეკონომიკის სამოქალაქო რელსებზე გადაყვანის, მისი სტრუქტურის გარდაქმნის, მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში ჩართვის საკითხი.

პოლიტიკურ მისეზად ასევე შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოების განვითარების მცდარი გეზი. აღნიშნულის დამადასტურებელ მაგალითს წარმოადგენს ყოფილი საბჭოთა კავშირის და მისი სატელიტი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მიზნები. ამ ქვეყნების მთავრობათა მცდარმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა განზრახვებმა ხელი შეუწყო მათი ეკონომიკური სტრუქტურების დეფორმაციას, რამაც ისინი ობიექტურად მიიყვანა კრიზისულ მოვლენებამდე ჯერ თავად ეკონომიკაში, შემდეგ კი საზოგადოებაში მოლიანად, რასაც მოჰყვა არსებული მიზნების შეცვლა და ეკონომიკის დეფორმირებული სტრუქტურის გარდაქმნის საკითხის დაყენება.

სტრუქტურის გარდაქმნის საჭიროება ჩნდება ასევე ისეთი ეკონომიკური მოვლენების მოქმედებების შედეგად, როგორიცაა სტრუქტურული კრიზისი და ახალი ბაზრების ათვისება (ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის შექმნა).

დიდი ციკლების თეორიაში სტრუქტურული კრიზისი განიხილება როგორც გრძელტალღური რყევების შემადგენელი ნაწილი. ამ თეორიის მომხრეთა მტკიცებით, დაახლოებით ყოველ ნახევარ საუკუნეში (ითვლება, რომ აღნიშნული ვადა მერყეობს 45-დან 60 წლამდე) ეკონომიკა განიცდის ძირეულ ცვლილებას და რომ ამგვარი ცვლილება დაკავშირებულია პერიოდულ ტექნიკურ რევოლუციებთან და სტრუქტურულ კრიზისთან. აღნიშნულ 50-წლიან ციკლში გამოყოფენ რამდე-

ნიმე ფაზას: აღმაველობის, კლების, კრიზისული და აღდგენით ფაზას.

აღნიშნული ფაზების განხილვა გვარწმუნებს იმაში, რომ სტრუქტურული გარდაქმნის საკითხი დგება მხოლოდ კრიზისული ფაზის შემდეგ. მართლაც, ეკონომიკური აღმაველობის დროს არ არსებობს არავითარი აუცილებლობა განვახორციელოთ ღრმა, ძირეული სტრუქტურული გარდაქმნები, ვინაიდან, უპირველეს ყოვლისა, მოგების მაღალი ნორმა, რომელიც დამახასიათებელია ამ პერიოდისათვის, ანულებს ყოველგვარ საჭიროებას ეკონომიკური სუბიექტების (მათ შორის სახელმწიფოს) მხრიდან – ეძიონ ტექნიკის (ტექნოლოგიის) და ორგანიზაციული ფორმების რევოლუციური გარდაქმნის გზები. მეორე, აღმაველობის ფაზის დროს უკვე განხორციელებულია მსხვილი კაპიტალდაბანდებები, ამიტომ საჭიროა გარკვეული დრო ინვესტირებული კაპიტალის ამოსაგებად. კაპიტალი განსხვეულებულია ფიზიკურად, მიბმულია მოცემულ ტექნიკურ მიმართულებაზე, მოცემულ ორგანიზაციულ ფორმებზე და სანამ არ მოხდება მისი ბუნებრივი გზით გამოსყიდვა, ამოგება, მისი შეცვლა ან ამოღება ეკონომიკურად შეუძლებელია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არსებობს მისი ფიზიკური ამოღების შესაძლებლობა. (5)

კლების ფაზის დროს ეკონომიკური აქტივობა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესუსტებული და გარკვეულწილად ადგილი აქვს ინერციას განვითარებაში, რაც ბუნებრივია, ასევე არ მოითხოვს ეკონომიკის სტრუქტურის გარდაქმნის აუცილებლობას. რაც შეეხება აღდგენით ფაზას, ამ დროს უკვე აქვს ადგილი ეკონომიკის ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბებას და იგი გარკვეულწილად ემთხვევა დროში სტრუქტურული გარდაქმნის პერიოდს.

სტრუქტურულ კრიზისს განვსაზღვრავთ, როგორც შედეგს ადრე შექმნილი ეკონომიკის სტრუქტურის თვითცვეთისა, თვითამოწურვისა, მისი ბუნებრივი მოძრაობის გზით,

გარკვეული დროის მონაკვეთში თვითშენახვისა და თვითმომსახურების უსრულველსაყოფად.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სტრუქტურის გარდაქმნა გვეკლინება სტრუქტურული კრიზისის გადალახვის, მისი დაძლევის ხერხად, რომელსაც ადგილი აქვს ერთი გრძელი ციკლიდან მეორეზე გადასვლისას. იგი უსრულველყოფს საზოგადოების ეკონომიკური განვითარებაში ახალ, გრძელვადიან აღმავლობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანანიძე ვ. ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურის რაობისათვის. ჟ. „რეგიონული ეკონომიკა." 2008 წ. №1, გვ. 4-6.
2. Яковец Ю.В. К новой структуре экономики России. – М. 1993. с. 6.
3. Словарь иностранных слов. М. 1989. – с.428.
4. НТП в рыночной экономике 90-х годов. Под ред. Ночевкиной Л.П. – М.1992.- с.121.
5. Меньшиков С. М. Клименко Л.А. Длинные волны в экономике. Когда общество меняет кожу. – М. 1989. с.91.

Vazha Ananidze

The Conversion in Economy – its Essence, Reasons, Terminological Apparatus

Summary

The structure of national economy is the structure of the whole system, which is the condition of its normal functioning. The integrity of the system can be reached by the unity of the following structural elements: material-substantial (reproductive, technological, branch, territorial, social-economic); financial- valuable (prices, taxes, amortization,

etc); structure of demand (manufacturing and nonmanufacturing, internal and external market, etc); the management and state regulating structure.

Structural conversion in economy can be defined as a process (movement) of moving from one structure to another, refusing the separate parts of the given structure, improving others and creating the rest (either simultaneously or consecutively), with the most part of the latter, which would create the face of the new structure of economy.

The reasons of the structural conversion are political (military or the necessity of structural conversion deformed with false aims of development etc) and economical (structural crisis, the necessity of opening new markets etc).

The concepts "structural conversion" and "structural renovation" stand for the essence of deep, cardinal changes, when the fundamental breaking of the old and the new, structural formation take place, when the concepts "structural conversion" and "structural renovation" do not bear such conceptual meanings and tell us the essence of such changes that are not revolutionary by their characteristics, but gradual. Consequently, first two and last two concepts are identical.

Важа Ананидзе

Перестройка структуры экономики – сущность, причины, терминологический аппарат

Резюме

Структура национальной экономики это структура целостной системы, что является условием ее нормалъного функционирования. Целостность системы достигается совокупностью следующих структурных элементов: материально-вещественная структура (воспроизводственная, технологическая, отраслевая, территориальная, социально-экономическая структура); финансово-стоимостная струк-

тура (цены, налоги, амортизация и т.д.); структура спроса (производственный и непроизводственный, внутреннего и внешних рынков и т.д.); структура управления и государственного регулирования.

Структурную перестройку определяем как процесс перехода (движения) от одной структуры к другой путем избавления отдельных частей данной структуры, оздоровления других и зарождения третьих (как одновременно так и поэтапно) с преимущественной долей последнего, которая будет „олицетворять" новую структуру экономики.

Стуктурную перестройку вызывают как политические (военные действия и подчинение социально-экономических целей военным, ложные цели развития общества и др.) так и экономические (структурный кризис, открытие новых рынков и т.д.) причины.

Термины „структурная перестройка" и „структурные преобразования" передают суть глубоких, кардинальных изменений, при которых имеет место коренная ломка старой и зарождение новой, прогрессивной структуры экономики, в то время как понятия „структурные изменения" и „структурные сдвиги" не несут в себе такой смысловой нагрузки и передают суть таких изменений, которые по своему характеру являются не революционными, а происходят постепенно. Соответственно, как первые два, так и последние два термина являются идентичными.

ნოდარ ვერულიძე

აგრარული სექტორის განვითარების პრობლემები

უახლეს წარსულში სოფლის მეურნეობა რეგიონის ეროვნული მეურნეობის წამყვანი ეფექტურად ფუნქციონირებდა ერთ-ერთი ძირითად დარგს წარმოადგენდა იგი ჭამოირჩეოდა მიწად მოქმედების მაღალი კულტურით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების, რეალიზაციის, სამრეწველო გადამუშავებისა და აგროსერვისის კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურით.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შედეგად მთლიანად აგრარულ-სამრეწველო კომპლექსში თანდათანობით განვითარდა ურთულესი უარყოფითი პროცესები.

დაიწყო დასაქმებისა და თვით დასაქმების, სოფლის მოსახლეობის შემოსავლების შემცირების პროცესი, გართულდა გლეხის საბაზრო ეკონომიკის პირობებისადმი ადაპტირების ისედაც რთული პროცესი.

აგრარულ სექტორში განვითარებული უარყოფითი ტენდენციების შედეგების დაძლევის, საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის პრინციპებზე დამყარებული კონკურენტუნარიანი აგროსასურსათო კომპლექსის განვითარების დაჩქარებას და მის საფუძველზე რეგიონის საექსპორტო პოტენციალის გადიდებას განსაკუთრებული სოციალურ ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს.

შესაბამისად, აუცილებელია ერთიანი სამოქმედო პროგრამის აგრარული სექტორის განვითარების ძირითადი მიმართულებების კონცეფციის დამუშავება და მიღება გარკვეული პერიოდისათვის და ერთობლივი მიზანმიმართულ საქმიანობა მისი განხორციელების სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერისათვის, მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამებით

და ინვესტირებისათვის ხელსაყრელი გარემოს ფორმირების საფუძველზე ინვესტიციების მოზიდვით კონკრეტული მიზნების მიღწევისათვის.

აგრარული კონცეფციის ძირითადი მიზნები

➢ აგროსასურსათო სექტორის არსებული საწარმოო პოტენციალის სრულყოფილად გამოყენების საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის შესაბამისი კონკურენტუნარიანი აგრარულ სამრეწველო კომპლექსის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაღიდების მხარდაჭერის საფუძველზე სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;

➢ აგრარულ სამრეწველო კომპლექსში რეორგანიზაციისა და პრივატიზების პროცესის დაჩქარების, მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების, მიწის პრივატიზების პროცესის დასრულების დაჩქარების და მიწის ბაზრის ფორმირების ხელშეწყობით, დარგში მცირე ბიზნესის განვითარების და ინვესტირებისათვის ხელსაყრელი გარემოს ფორმირების საფუძველზე აგრარულ სამრეწველო კომპლექსში საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის დამკვიდრებაა;

➢ დარგში მიწათმოქმედების ეროვნული ტრადიციების, მსოფლიო საერთაშორისო გამოცდილებისა და უახლესი მიღწევების დანერგვის ხელშეწყობის საფუძველზე, კონკურენტუნარიანი აგროსასურსათო სექტორის განვითარება, საექსპორტო პოტენციალის გაღიდებაა, ექსპორტის წახალისების სახელმწიფო ეფექტური სისტემის ფორმირების ხელშეწყობა;

➢ სურსათზე მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის აღდგენა და შენარჩუნება, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების და სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნათა კონიუნქტურის გათვალისწინებით სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების ახალი საწარმოო მიმართულებებისა და კულტურების დანერგვის სახელმწიფო ხელშეწყობის ეკონომიკური მექანიზმის დამუშავება-ამოქმედებაა;

➢ საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის პრინციპებზე დაფუძნებული თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, შესყიდვის, სარეალიზაციოდ მომზადების, რეალიზაციის, სამრეწველო გადამუშავების მცირე საწარმოების ჩამოყალიბება-ამოქმედების ხელშეწყობა, ამ მხრივ ინვესტირებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის ეფექტური მექანიზმების დამუშავება-ამოქმედება;

➢ ფერმერულ-გლეხური მეურნეობების კომპლექსური აგრარული მომსახურების (აგროსერვისის) ცენტრების ჩამოყალიბება-ამოქმედების ინვესტიციების ხელშეწყობა. ამ მხრივ კოოპერირებისა და ინტეგრირების პროცესების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის ეფექტური მექანიზმების დამუშავება-ამოქმედება;

➢ სოფლად დასაქმების და თვით დასაქმების პრობლემის გადაწყვეტაა, მოსახლეობის შემოსავლების გადიდებას იმ კულტურების უპირატესი განვითარების ხელშეწყობით, რომელთა წარმოებისათვის არსებობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სამიწათმოქმედო ტრადიციები, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები;

➢ ადგილობრივი აგრარული სასურსათო სამომხმარებლო ბაზრის დაცვა უცხოური უხარისხო ფალსიფიცირებული პროდუქციისაგან საყოველთაოდ აპრობირებული ეკონომიკური მექანიზმების გამოყენებით;

➢ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ფიტოსანიტარული და ეპიზოოტიური კეთილსაიმედობის, საკარანტინო უსაფრთხოებისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა, მწარმოებელთა და მომხმარებელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვა;

➢ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებასა და გადასამუშავებელ მრეწველობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგ-

რესის მიღწევების ბიოლოგიური აგროწარმოების, ენერგო და რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვის, წარმოების გაფართოების, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების მისი რეალიზაციისა გადიდების ხელშემწყობი პირობების შექმნისათვის სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის ეფექტური ეკონომიკური მექანიზმების დამუშავება-ამოქმედება;

➢ ეკოლოგიური უსაფრთხოების, გარემოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობის, ნიადაგის დაცვის მისი ნაყოფიერების ამაღლების და გარემოს დაცვის გაძლიერების, ბუნებრივი რესურსების მდგრადი რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა;

➢ დარგში ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის მხარდაჭერა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვისათვის კონკურენტუნარიანი საექსპორტო სასაქონლო პროდუქციის წარმოების გადიდების მიზნით;

➢ სადაზღვევო კომპანიების მიერ პრიორიტეტული დარგების პროდუქციის დაზღვევის ეფექტური სისტემის ფორმირების ხელშეწყობა;

➢ აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის განვითარების ანალიზი და პროგნოზირება-სრულყოფა. ფერმერთა დარგობრივი ეკონომიკურ-სტატისტიკური ინფორმაციით უზრუნველყოფა;

➢ სოფლის სოციალური გარდაქმნა და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის პირობების შექმნა, სოფლად აგრარულ სამრეწველო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ეკოლოგიური და აგროტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;

➢ სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღდგენასა და განვითარებაში თვითმართველობის ადგილობრივი ორგანოების როლის ამაღლების და პასუხისმგებლობის გაძლიერების მხარდაჭერა;

აღნიშნულის გათვალისწინებით, აგრარულ სამრეწველო კომპლექსის განვითარებისათვის განსახორციელებელ ღონის-

ძიებათა ძირითად მიმართულებებად შესაძლებელია განხილული იქნას:

➢ აგრარულ სამრეწველო კომპლექსის სისტემაში სამეურნეო-ორგანიზაციული და სტრუქტურული რეფორმის დასრულების დაჩქარება;

➢ სააღგილმამულო ურთიერთობების სრულყოფის, მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების, მიწის პრივატიზების პროცესის დაჩქარების და მიწის ბაზრის ფორმირების ხელშეწყობა;

➢ სოფლად საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების საყოველთაოდ აღიარებული ორგანიზაციული ფორმების ფერმერულ-გლეხური მეურნეობების განვითარების მხარდაჭერა;

➢ სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოება რეალიზაციასთან და აგროსერვისულ მომსახურებასთან დაკავშირებული და სხვა პრობლემების ერთობლივი გადაწყვეტის მიზნით ფერმერულ-გლეხური მეურნეობების ამხანაგებობის, გაერთიანებების, კავშირების, დარგობრივი ასოციაციების ჩამოყალიბების წახალისება, სამართლებრივი და სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერა;

➢ ფერმერული-გლეხური მეურნეობების კომპლექსური აგრარული მომსახურების ცენტრების (აგროსერვისის) კერძო სექტორის განვითარების ორგანიზაციული და ფინანსური მხარდაჭერა; (აგროსერვისის) მცირე საწარმოებმა ურთიერთხელსაყრელი ხელშეკრულების საფუძველზე ფერმერმერულ-გლეხური მეურნეობები უნდა უზრუნველყონ: მაღალ ეფექტური სასუქებისა და შხამქიმიკატების შეუფერხებელი მიწოდება, ავტოსატრანსპორტო, ტრაქტორითა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, აგროქიმიური, ფიტოპათოლოგიური, ფიტოსანიტარული მომსახურებითა და მონიტორინგით, ვეტერინარული, ზოოტექნიკური და ეპიზოტოლოგიური მომსახურებით, სწავლება კონსულტირებით, წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის, მარკეტინგის და იურიდიულ, ფერმერულ

მეურნეობებში უახლოესი მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის საკითხებსე);

➢ კონკურენტუნარიანი აგროსასურსათო კომპლექსის ფორმირების პროცესის დაჩქარებისა, დარგში ინვესტირებისათვის ხელშემწყობი გარემოს ფორმირებისათვის. ამ მხრივ კონკრეტული მიზნების მიღწევისათვის მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების დამუშავება, მათი დაფინანსების გაზრდა, კრედიტების ეფექტური სისტემის ფორმირება, თანა დაფინანსების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების შესაძლებლობების მიზნობრივად გამოყენების კორდინაციის გაუმჯობესება;

➢ ინვესტიციების მოზიდვის მხარდაჭერის მიზნით საინვესტიციო ბიზნესწინადადებების და ბიზნესპროგრამების მომზადება და მათი განხორციელებაში პოტენციურ ინვესტორების, მათ შორის: ფერმერულ-გლეხური მეურნეობების ამხანაგებობების, გაერთიანებების, კავშირების, დარგობრივი ასოციაციების მონაწილეობის უზრუნველყოფა. .მათ შორის:

✓ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის, სარეალიზაციოდ მომზადების (დახარისხება, დამწიფება, შენახვა, სარეალიზაციო ტარით უზრუნველყოფა) და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადასამუშავებელი თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი საწარმოების განვითარებისათვის;

✓ სურსათსე მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის აღდგენის და შენარჩუნების, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების და სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნათა კონიუქტურის გათვალისწინებით სოფლის მეურნეობაში ახალი საწარმოო მიმართულებების, ახალი კულტურების, ბიოლოგიური აგროწარმოების დანერგვის მხარდაჭერისათვის.

✓ დარგში მიწათმოქმედების ეროვნული ტრადიციების, მსოფლიო საერთაშორისო გამოცდილებისა და უახლესი მიღწევების დანერგვისა საფუძველზე იმ კულტურების უპირატესი განვითარებისათვის, რომელთა წარმოებისათვის არსებობს

შესაბამისი საწარმოო პოტენციალი, სამიწათმოქმედო ტრადიციები, ინფრასტრუქტურა, ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიკური პირობები მათ შორის:

✓ მეციტრუსეობა, მეჩაიეობა, სუბტროპიკული მეხილეობა, მეხილეობა, მეცხოველეობა, მეფრინველეობა, მებოსტნეობა, მეფუტკრეობა, სასაობურე მეურნეობა, მარცვლეულისა და საკვები კულტურების წარმოება, სამკურნალო მცენარეების წარმოება, თევზის მეურნეობის (აკვაკულტურა) განვითარება და სხვა;

✓სატყეო მეურნეობა, ხე-ტყის გადამუშაკება, ტყის არამერქნითი რესურსების მოპოვება, სამონადირო მეურნეობა განვითარება, სასოფლო-სამეურნეო და დეკორატიულ მცენარეთა ნერგების წარმოება, მინერალური და მტკნარი წყლების ჩამოსხმა და სხვა;

✓მელიორაცია და ირიგაცია, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მექანიზაციის დონის, ნიადაგის ნაყოფიერების, სათიბ-საძოვრების პროდუქტიულობის ამაღლება, ჯიშთა განახლება, სანაშენე საქმის გაუმჯობესება და სხვა;

✓ კონკურენტუნარიანი მაღალხარისხოვანი სასაქონლო საექსპორტო პროდუქციის, მათ შორის ბიოპროდუქციის წარმოების გადიდებისათვის;

✓სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებასა და გადასამუშავებელ მრეწველობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების, ენერგო და რესურს დამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვისათვის;

✓საგარეო-ეკონომიკური და სავაჭრო კავშირების განვითარება სრულყოფის მხარდაჭერა, ექსპორტის წახალისების და პროდუქციის რეკლამირების სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის ეფექტური სისტემის ფორმირება;

➢ადგილობრივი აგრარული სასურსათო სამომხმარებლო ბაზრის დაცვა უცხოური უხარისხო ფალსიფიცირებული პროდუქციისაგან სახელმწიფო ეკონომიკური და ხარისხის

კონტროლის ეფექტური თანამედროვე მექანიზმების გამოყენებით;

➢ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფიტოსანიტარული და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის, საკარანტინო უსაფრთხოებისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა. ამ მხრივ კონტროლის გაძლიერების საფუძველზე;

➢ მწარმოებელთა და მომხმარებელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვა;

➢ ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და გარემოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, ნიადაგის დაცვის გაძლიერების და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების განვითარების უზრუნველყოფა;

➢ მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნების პირობებში ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის ფორმირებისადმი მხარდაჭერა;

➢ იმპორტული იმ პროდუქციაზე ლიბერალური გადასახადების დაწესების მხარდაჭერა, რომლებიც გამოყენებული იქნება დარგში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვისათვის;

➢ სადაზღვევო კომპანიების მიერ პრიორიტეტული დარგების პროდუქციის დაზღვევის ეფექტური სისტემის ფორმირების ხელშეწყობა და მხარდაჭერა;

➢ აგრარული სექტორის განვითარების ანალიზი და პროგნოზირების სრულყოფა, ფერმერული და გლეხური მეურნეობების აგრარულ მეწარმეთა ინფორმაციული და მარკეტინგული მომსახურების გაუმჯობესება;

➢ სოფლის სოციალური გარდაქმნის და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის პირობების შექმნა აგრო და ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა;

➢ სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღდგენასა და განვითარებაში თვითმართველობის ადგილობრივი ორგანოების როლის ამაღლების და პასუხისმგებლობის გაძლიერების მხარდაჭერა.

Nodar Verulidze

Problems of Agriculture Sector

Summary

The objective of this paper is to define the main aspects of agriculture products, define priorities and the main direction of the agriculture sector and the achievements.It is very important the structural organization and streamlined privatization process, formation of land market, small business development and profitable agricultural investments by farmers, formation of an effective export system, national tradition of agriculture.

Нодар Верулидзе

Проблемы развития аграрного сектора

Резюме

Преодоление негативных тенденций, формировавших в аграрном секторе и успешное развитие конкурентоспособного аграрного сектора на основе рыночных отношений и повышение экспортного потенциала особое значение имеет для социально-экономического развития региона. Для успешного развития аграрного сектора важное значение имеет разработка концепции основных направлений отрасли, определение приоритетов, конкретных мероприятий для успешного достижения намеченные целей.

ბათუმ-ყარსის რკინიგზის პროექტი

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება 1916 წელს ინჟინერ დ. სეიშევსკის მიერ გამოქვეყნებულ ბათუმ-ყარსის რკინიგზის პროექტს, რომელიც შემუშავდა ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის ინიციატივით.

ეს პროექტი არის გამოძახილი მე-18 ს. დამლევს ევროპაში და მე-19 ს. მეორე ნახევარში რუსეთში განხორციელებული სამრეწველო გადატრიალებისა, როცა ფაბრიკულ-ქარხნული წარმოების და ვაჭრობის მკვეთრად გადიდებულმა მასშტაბებმა მოითხოვა გაზრდილი ტვირთბრუნვა ნედლეულის წყაროებს, საწარმოებსა და გასაღების ბაზრებს შორის, რასაც მანიფაქტურული პერიოდის სატრანსპორტო საშუალებები ვეღარ აკმაყოფილებდა. სწორედ ამ გარემოებებმა გამოიწვია სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარება. ამიტომ, ვიდრე უშუალოდ საკვლევ პრობლემაზე გადავიდოდე, მიზანშეწონილად მიმაჩნია მოკლედ მიმოვიხილო ამიერკავკასიაში სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარება.

სარკინიგზო ტრანსპორტის წარმოშობის და განვითარების ისტორია თითქმის ორ საუკუნეს ითვლის. მსოფლიოში პირველი ორთქლმავალი ამოძრავდა 1825 წელს ინგლისში, როცა ჯ. სტეფენსონმა 21 კმ. სიგრძის რკინის გზით ერთმანეთთან დააკავშირა ორი ქალაქი (სტოკტონი და დარლინგტონი). ამ გზაზე ორთქლმავალს გადაჰყავდა მგზავრები და გადაჰქონდა ტვირთი.

მალე რკინიგზა ააგეს სხვა ქვეყნებშიც: აშშ–1830 წელს, საფრანგეთში–1832 წელს, გერმანიაში–1835 წელს და ა.შ. რუსეთში რკინიგზა პირველად 1837 წელს გაიყვანეს პეტერბურგსა და ცარსკოე სელოს შორის, 1850-იან წლებში კი პეტერბურგსა და მოსკოვს შორის. მისი სიგრძე 644 კმ უდრიდა.

ამიერკავკასიაში რკინიგზის გაყვანის აზრი გამოითქვა 1856 წელს, როცა სამხედრო ინჟინერმა ბ. სტატკოვსკიმ

კავკასიის ჯარების მთავარი შტაბის უფროსს დ. მილიუტინს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი თბილისთან ბაქოს რკინიგზით დაკავშირების მიზანშეწონილობის შესახებ. ამას სტატკოვსკი სამხედრო-სტრატეგიული საჭიროებით ასაბუთებდა („k.k.",1913:196).

მომდევნო 1857 წელს წამოიჭრა ფოთსა და თბილისს შორის რკინიგზის მშენებლობის საკითხიც, რასაც ამ პროექტის ავტორები (ვ.ზგურსკი და პ.ჩერევინი) ხსნიდნენ ეკონომიკის განვითარების ინტერესებით. მალე ეს ორი იდეა გაერთიანდა და დაისაა ბაქო-თბილისი-ფოთის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობის საკითხი. მაგრამ, რადგან ხაზინას საამისო სახსრები არ გააჩნდა, გადაწყდა, აქციონერული საზოგადოების ჩამოყალიბება და ამ საქმის მისთვის მინდობა.

1861 წ. იმპერატორ ალექსანდრე II-საც მოეწონა სამხრეთ კავკასიაში რკინიგზის მშენებლობის აზრი. კონცესიონერთა მოსაზიდად საზღვარგარეთ მიაკლინეს კავკასიის სამეფისნაცვლოს საფინანსო ნაწილის მმართველი ს. ხარიტონოვი, მაგრამ უშედეგოდ. ევროპელმა კაპიტალისტებმა ამ საქმის კონცესიით აღებაზე უარი თქვეს, რადგან სამხრეთ კავკასიაში რკინიგზის მშენებლობის აზრი მიიჩნიეს „რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის იარაღად და არა კომერციულ წამოწყებად" (გოშაძე, 1959:37).

აღსანიშნავია, რომ ფოთსა და თბილისს შორის რკინიგზის მშენებლობისთვის სააქციო საზოგადოების შექმნის სურვილი გამოთქვეს რუსული კაპიტალის წარმომადგენლებმა, მაგრამ მათ ამ საქმეს თავი ვერ მოაბეს.

1864 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა იმპერატორის წინაშე კვლავ დასვა ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობის საკითხი. სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობასთან ერთად მეფისნაცვალი ხაზს უსვამდა იმ არგუმენტს, რომ რკინიგზა მოიზიდავდა უცხოელ კომერსანტებს და საკაჭრო-სატრანზიტო გზა ოსმალეთიდან სამხრეთ საქართველოში გადმოინაცვლებდა.

რუსეთის უმაღლესმა მთავრობამ ამჯერად დააკმაყოფილა კავკასიის ხელისუფლის ეს შუამდგომლობა. 1865 წ. სახელმწიფო ხაზინიდან გამოიყო 3,2 მილიონი რუბლი რკინიგზის გატარების ზოლში მიწების შესაძენად, ლიანდაგის დასაგებად ნიადაგის მოსამზადებლად და ხიდების ასაგებად. ეს სამუშაოები ხაზინის სარჯით უნდა დასრულებულიყო 1870 წ. 1 იანვრისათვის, რის შემდეგაც საქმეს კონცესიონერები გააგრძელებდნენ.

ეს პირობები წინასწარ გამოცხადდა. რამდენიმე უცხოელ კაპიტალისტთან წარუმატებელი მოლაპარაკების შემდეგ, 1867 წ. 20 ივლისს, ხელშეკრულება დაიდო ინგლისელ კონცესიონერებთან — პარკინსთან და პაუკერთან. მათ მიერ შექმნილი სააქციო საზოგადოება კისრულობდა დაესრულებინა რკინიგზის დარჩენილი სამუშაოები. სააქციო საზოგადოება მუშაობას შეუდგა 1870 წ 30 ივნისს ქ. ქუთაისში (გოშაძე, 1959:38-40).

ინგლისელმა კონცესიონერებმა 13 თვის შემდეგ უკვე დაამთავრეს ამიერკავკასიის რკინიგზის პირველი უბნის მშენებლობა და 1871 წ. 14 აგვისტოს ფოთსა და სადგურ ყვირილას შორის ამოქმედდა 125 კმ. სიგრძის რკინიგზის ხაზი. ეს იყო პირველი მონაკვეთი ამიერკავკასიის რკინიგზის ისტორიაში.

1872 წ. 10 ოქტომბერს მატარებლის მოძრაობა გაიხსნა ფოთსა და თბილისს შორის. ინგლისელი კონცესიონერების მიერ აგრეთვე აიგო ამიერკავკასიის რკინიგზის რამდენიმე განშტოება: 1). 8 კმ. სიგრძის რიონ-ქუთაისის (1877წ.), 2). ბაქო-სურხანის ნავთობის რაიონის (1880წ.) და 3). 44 კმ. სიგრძის ქუთაისი-ტყიბულის (1887წ.). 1883 წ. მაისში ამოქმედდა ბაქო-თბილისის და ბათუმ-სამტრედიის რკინიგზა. ბაქო-ბათუმს შორის გაჩაღდა ყოველდღიურად მზარდი ტვირთბრუნვა.

ამიერკავკასიის რკინიგზაზე მოძრავი მატარებლების შეკეთებისათვის 1883 წ. მაისში თბილისში გაიხსნა რკინიგზის მთავარი სახელოსნოები. ეს საწარმო ფაქტობრივად იყო პირ-

ველი მანქანათსაშენი ქარხანა საქართველოში, სადაც ორთქლმაველებისა და ვაგონების შეკეთებასთან ერთად ამზადებდნენ ახალ სათადარიგო ნაწილებს (ტოტოხავა, 1973 : 28).

1889 წლიდან ამიერკავკასიის რკინიგზა გადავიდა სახელმწიფო ხაზინის გამგებლობაში. ამის შემდეგ ხაზინა ზრუნავდა ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეში არსებული ნედლეულის (წიაღისეული სიმდიდრის, ხე-ტყის, კვების პროდუქტების და სხვ.) წარმოების გაჯრდისა და მათი საექსპორტოდ გატანისათვის. ამიტომ, ხაზინის მიერ სხვადასხვა დროს მოეწყო ამიერკავკასიის რკინიგზის რამდენიმე განშტოება: 1894 წელს ბორჯომ-ხაშურის (31 კმ.), 1893 წ. შორაპან-ჭიათურის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა (40 კმ.), შემდეგ ეს ხაზი გაგრძელდა საჩხერემდე (13 კმ.); 1902 წ. ამოქმედდა ბორჯომ-ბაკურიანის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა (37 კმ.). 1910-1915 წლებში გაიყვანეს კახეთის რკინიგზის შტო (ვაუბედაშვილი, 2001). 1913 წ. საქართველოში რკინიგზების საერთო სიგრძემ 723 კმ. შეადგინა (ტოტოხავა, 1973 26). რკინიგზამ ერთმანეთთან დაუკავშირა საქართველოს სხვადასხვა კუთხე და ხელი შეუწყო მათ სამეურნეო განვითარებას.

სტრატეგიული მოსაზრებით 1895 წელს დაიწყო თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა, რაც დამთავრდა 1899 წ. 1 დეკემბერს. აღსანიშნავია, რომ ამ გზაზე გაყვანილი იქნა 13 გვირაბი, რისთვისაც გამოიყენეს ელექტროსაბურღი მანქანები (გოშაძე, 1959 43-45). მალე გაიყვანეს რკინიგზა ალექსანდროპოლამდე, ხოლო 1902 წ. ამოქმედდა ალექსანდროპოლ-ერევნის განშტოება. 1908 წ. რკინიგზა გავიდა ჯულფამდე. თბილის-ჯულფას რკინიგზის სიგრძემ 517 ვერსტი* შეადგინა. („K.K. ", 1913 196-197).

1911 წ. ამიერკავკასიის რკინიგზების საერთო სიგრძემ 1710 ვერსტი შეადგინა (აქედან ფოთი-ბაქოს მაგისტრალის სიგრძე 805 ვერსტი იყო). მგზავრების გადაყვანა და ტვირთბრუნვა ყოველწლიურად იზრდებოდა. მაგალითად, 1907 წ. ამიერკავკასიის რკინიგზით გადაყვანილი იქნა 8,8 მილიონი მგზავრი,

1911 წელს კი 9,2 მილიონზე მეტი. შესაბამის სურათს გვაძლევს რკინიგზით ტვირთბრუნვაც. 1907 წ. გადაზიდეს 263 მილიონამდე ფუთი სხვადასხვა სახის ტვირთი, 1911 წელს კი 294 მილიონ ფუთზე მეტი („К.К.", 1913 : 198-204).

* * *

ზემოაღნიშნული მიმოხილვის შემდეგ დროა დავუბრუნდეთ განსახილველ თემას და უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ ბათუმ-ყარსის რკინიგზასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ჭოროხის ხეობაში-ართვინამდე რკინიგზის გაყვანის იდეა გაჩნდა XIX-XX სს. მიჯნაზე, როცა სერიოზული საძიებო-გეოლოგიური სამუშაოების შედეგად აქ აღმოჩნდა მრავალგვარი სასარგებლო წიაღისეული: გოგირდი, რკინა, თუთია, გრაფიტი, მანგანუმი (მარგანეცი), ტყვია და ვერცხლი. განსაკუთრებით ბევრი იყო სპილენძის საბადოები, ამიტომ ართვინის მხარემ მიიღო ამ დარგში სპეციალიზირებული რეგიონის სახე, სადაც ეროიმეორის მიყოლებით ამოქმედდა მაღაროები და სპილენძსადნობი ქარხნები: ერგეს, ძანსულის (იგივე მურღულის), სოდის და კვარცხანის (სიორიძე, 1987:138-150)

ართვინის სამრეწველო რაიონში რკინიგზის გადაყვანის სურვილი ჰქონდა 1900 წ. ლონდონში დაარსებულ "კავკასიის სპილენძის სამრეწველო საზოგადოებას", რომელსაც მერღულის ხეობაში კარგად გამართული საბადოები და სპილენძსადნობი ქარხანა ჰქონდა. 1901-1903 წლებში იგიეს ცდილობდაფირმა კრეზო, რომელიც გეგმაედა ართვინის მხარის რკინის საბადოების ექსპლოატაციას. მაგრამ ეს იდეები არ განხორციელდა, რადგან სამხედრო უწყებამ "სტრატეგიული მოსაზრებიდან" გამომდინარე ნება არ დართო ამ რეგიონში რკინიგზის გაყვანაზე (Проект.., 1916 : 4,7).

1900-იანი წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და მის შემდეგ განვითარებული დეპრესია, უარყოფითად აისახა ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვაზეც. ამიტომ, 1910 წლიდან ბათუმის საქალაქო თვითმმართველობაში სერიოზულად

დაიწყეს ფიქრი შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებაზე. ამის თაობაზე ბათუმის მთავარი საბაჟოს მმართველის ივ. ლოპატოს მიერ 1911 წ. 17 იანვარს შედგენილ საანგარიშო მოხსენებაში ეკითხულობთ: "ბათუმის პორტში ტვირთების მისაზიდად ქალაქის თვითმმართველობა ამუშავებს პროექტს ბათუმიდან-ყარსამდე რკინიგზის გასაყვანად. ის უნდა გავიდეს ჭოროხისა და მისი შენაკადების ხეობებით, შემდეგ ულელტეხილით გადავა არტაანის პლატოზე და შეუერთდება ამიერკავკასიის რკინიგზას ჯულფას მიმართულებით სპარსეთზე გასასვლელად. ეს რკინიგზა ბათუმიდან ჯულფამდე გზას შეამცირებს 200 ვერსტით და იქნება უმოკლესი ბათუმსა და სპარსეთის ბაზრებს შორის. ბუნებრივია, — დაასკვნის საბაჟოს მმართველი,—რომ ბათუმის პორტი პირველ ადგილს დაიკავებს სპარსეთსა და დასავლეთ ევროპას შორის სატრანზიტო ვაჭრობაში" (აცსა, ფ. 48, აღ. 1, ს. 1385, ფურც. 56).

1911 წ. იანვარში სამხედრო უწყებამ ბათუმ-ყარსის რკინიგზის მომავალი მარშრუტის გამოკვლევის და სათანადო პროექტის შედგენის ნება დართო ინჟინერ დ. სვიშჩევსკის. 1914 წ. ზაფხულში მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული კვლევა-ძიებით ბათუმ-ყარსის რკინიგზის მთლიანი სიგრძე განისაზღვრა 348,4 ვერსტით. ბათუმიდან 303-ე ვერსტზე რკინიგზას უნდა გადაეკვეთა თბილის-ყარსის რკინიგზის ხაზი პუნქტ იაგნისთან (ყარსის ჩრდილოეთით), ხოლო ბოლო წერტილი უნდა შეერთებოდა ალექსანდროპოლ-ჯულფას რკინიგზას პუნქტ ბუგდაშენთან (ალექსანდროპოლის სამხრეთით).

რკინიგზის პროექტირებისას გათვალისწინებული იქნა ბათუმის ოლქის წიაღისეული სიმდიდრეების ექსპლოატაციის ინტერესები. ამით გამორჩეული იყო მდ. ჭოროხი და მისი შენაკადები. ამიტომ გადაწყდა რკინიგზის გატარება მდ. ჭოროხის დინების გასწვრივ, რადგანაც საჭიროებისას შესაძლებელი იქნებოდა გვერდითი შტოების გაყვანა შენაკად ხეობებშიც. ამასთან, აღსანიშნავია, რომ რკინიგზის პროექტირებისას არჩეული იქნა ჯულფა-ბათუმს შორის ყველაზე მოკლე

სატრანზიტო ხაზი, რის საშუალებასაც კი იძლეოდა აღგილობრივი გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიული პირობები.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ შეაფერხა პროექტის დასრულება. თუმცა 1915 წ. კავკასიის ფრონტზე რუსეთის არმიამ სერიოზული წარმატებები მოიპოვა. დ. სვიშჩევსკიმაც იმავე წელს დაასრულა და წარადგინა პროექტი, რაც 1916 წელს დაისტამბა თბილისში ქართული საგამომცემლო ამხანაგობის მიერ. ეს არის 154 ნაბეჭდი გვერდის მოცულობის წიგნი და შედგება ოთხი თავისაგან. მასში დასაბუთებულია ბათუმ-ყარსის რკინიგზის გაყვანის აუცილებელი საჭიროება და მისი ეკონომიკური ეფექტიანობა, მოცემულია პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი ხარჯები და ტექნიკური მახასიათებლები.

შესავალ წერილში დ. სვიშჩევსკი აღნიშნავს, რომ 30 წელზე მეტი გავიდა ბათუმისა და მისი ოლქის შემოერთებიდან, მაგრამ ზღვის სანაპირო ზოლის გარდა, ოლქის დანარჩენ ნაწილში ცხოვრების ის ძველი პირობებია, რაც აქ დატოვა თურქთა ბატონობამ.

ბათუმ-სამტრედიის რკინიგზის გაყვანამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქ. ბათუმის ზრდა-განვითარებაში, მაგრამ დანარჩენი ოლქი უგზოობას მოუცავს. თვით საუბნო-ადმინისტრაციული ცენტრებიც კი არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული ბორბლიანი ტრანსპორტისთვის ვარგისი გზებით. ოლქის შიგნით გადაადგილება ხდება ფეხით, ცხენით ან საჭაპანე ტრანსპორტითო.

მთელი ეს მხარე მოფენილია ეკლესია-მონასტრების და ციხესიმაგრეთა მრავალრიცხოვანი ნანგრევებით. ეს მოწმობს, რომ ძველად აქ სიცოცხლე ჩქეფდა, რაც მხოლოდ კარგი სამიმოსვლო გზების პირობებში იყო შესაძლებელი, რასაც დღემდე შემორჩენილი და მოქმედი ქვის თაღიანი ხიდებიც ადასტურებსო.

რეგიონის ამ მდგომარეობიდან გამოყვანის ერთ-ერთ მთავარ პირობად დ. სვიშჩევსკის მიაჩნდა ჭოროხის ველზე რკინიგზის გაყვანა. ეს გახდებოდა აგრეთვე ტრანსპორტირე-

ბისთვის ყარსისი შიგა სამიმოსვლო გზების მოწყობის საფუძველი. გაიოლდებოდა ტვირთების, ადგილზე ნაწარმი პროდუქტების გადატანა და მგზავრობა, რაც დადებითად იმოქმედებდა ადგილობრივ მცხოვრებლებზე და გამოიწვევდა მათ კეთილგანწყობას ხელისუფლებისადმი.

სვიშჩევსკი ბათუმ-ყარსის რკინიგზას უკავშირებდა სხვა ხელსაყრელ გარემოებებსაც: 1) დიდი ტვირთამწყობის საოკეანო გემები ჩატვირთვა-გადმოტვირთვისას ზედმეტად რომ არ მოცდენილიყვნენ პორტში ახალ-ახალი საწყობების გახსნა იყო საჭირო. სარკინიგზო გადაზიდვები კი ხელს შეუწყობდა სწრაფ ტვირთბრუნვას. 2) ოლთისის რაიონში არის ქვანახშირის და კოქსის უხვი საბადოები. იქამდე რკინიგზის შტოს გაყვანის შემდეგ ამ იაფი საწვავით შეიძლება უზრუნველყოთ ჭოროხის აუზის სპილენძის მწარმოებელი ფირმებიო. 3) ბათუმ-ყარსის რკინიგზას თუ საზღვრისკენაც დაემატება გვერდითი განშტოებები, მას შეუძლია მოემსახუროს თურქეთის აღმოსავლეთ პროვინციებს. ეს შეაფერხებს ბათუმის კონკურენტი ტრაპიზონის პორტის გაფართოებას და ის ვეღარ მოიზიდავს სპარსეთის ტრანზიტს. მით უმეტეს, რომ ტრაპიზონ-თავრიზის ტრასის გასწვრივ დაგეგმილია ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანაო (Проект.., 1916:3-6).

წინასწარი გამოთვლით ბათუმ-ყარსის რკინიგზის (348,4 ვერსტი) მშენებლობა დაჯდებოდა 62,2 მლნ. რუბლი. ანუ 1 ვერსტზე საშუალოდ დაიხარჯებოდა 178 ათასი რუბლი. შემდეგ სვიშჩევსკის მოჰყავს რკინიგზით ტვირთბრუნვის და მგზავრთა გადაყვანის სავარაუდო ციფრობრივი მონაცემები და წერს, რომ მაღალი დანახარჯების მიუხედავად რკინიგზის აქციონერთა წლიური სუფთა მოგება დასაწყისშივე 143 ათასი რუბლი იქნებაო (იქვე:11-14).

პროექტში დაწვრილებითაა განხილული რკინიგზის მარშრუტი. ის უნდა შეერთებოდა ბათუმის საბარგო სადგურს, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა შეუფერხებელი სატვირთო ოპერაციები ბათუმის პორტში. თუმცა უმაღლესი ხელისუფლების მიერ უკვე დამტკიცებული იყო გეგმა ბათუმის

ნაეთობის ქალაქის გადაკეთების თაობაზე. ის ითვალისწინებდა რკინიგზის სამგზავრო და საბარგო სადგურების ქალაქიდან კახაბრის უკაცრიელ ველზე გადატანას. სვიშჩევსკის აზრით ეს ადგილი მოსახერხებელი იქნებოდა ბათუმ-ყარსის რკინიგზის სადგურის მოსაწყობადაც. აქედან რკინიგზა ჭოროხის ხეობით გამოემართებოდა ყარსისკენ.

ბათუმიდან მე-40 ვერსტზე გათვალისწინებული იყო პირველი სადგურის მოწყობა დაბა ბღრნიხაში. აქედან ახლოს იყო მურღულის სპილენძსადნობი ქარხანა და მარგანეცის საბადოები. რკინიგზის მეორე სადგური გათვალისწინებული იყო კვარცხანის სპილენძსადნობი ქარხანისათვის. შემდეგი უნდა ყოფილიყო ქ. ართვინის რკინიგზის სადგური (61-ე ვერსტზე) შემდეგ გზა კვლავ აღმა მიუყვებოდა ჭოროხის კლდოვან ხეობას და 70-ე ვერსტზე უხვევს მარცხნივ და მიყვება ჭოროხის შენაკად მდ. იმერხევს, შემდეგ ამ უკანასკნელის შენაკად შავშეთის წყალს. ამის შემდეგ რკინიგზა უხვევდა სამხრეთისკენ, გარს შემოუვლიდა ბილ-ბელანის მთიან მასივს და იალანუს-ჩამსკის უღელტეხილში გაჭრილი გვირაბებით დაეშვებოდა არტაანის მხარეში, მდ. მტკვრის ველზე, საიდანაც გადაკვეთდა თბილის-ყარსის რკინიგზას და რკ. სადგურ ბუგდაშენთან შეუერთდებოდა ალექსანდროპოლ-ჯულფას ხაზს.

პროექტის ავტორთა ვარაუდით ბათუმ-ყარსის რკინიგზა ტექნიკურად იძლეოდა ერთდროულად 8 წყვილი მატარებლის (ე.ი. 16 სარ-კინიგზო შემადგენლობის) მოძრაობის საშუალებას. ხოლო ომიანობის ვითარებაში, ასაქცევი ლიანდაგების გამოყენებით შესაძლებელი იქნებოდა 15 წყვილი სამხედრო და 1 წყვილი სამოქალაქო მატარებლის მოძრაობა.

მთაგორიან ადგილებში ბათუმიდან სოფ. დოლისყანამდე მატარებლის შემადგენლობის მოძრაობისთვის საჭირო იქნებოდა ორი ორთქლმავალი. ინჟინერი სვიშჩევსკი აქვე სვამდა საკითხს, რომ რკინიგზის ძნელად გადასალახავ უბნებზე გამოეყენებინათ ელექტროწევა (ანუ ელმავლები). მათთვის სა-

ჭირო ენერგია მთის მდინარეებზე მოწყობილი სტაციონარული ელექტროსადგურებიდან უნდა მიეღოთ.

სვიშჩევსკი აგრეთვე აყენებდა წინადადებას, რომ ბათუმ-ყარსის რკინიგზისთვის გამოეყოთ მონაკვეთი გემმისადგომთან და მის მახლობლად რკინიგზის პლატფორმის მოსაწყობად საჭირო ტერიტორია (Проект.., 1916:24-39).

დასასრულს უნდა ითქვას, რომ ბათუმ-ყარსის რკინიგზის პროექტი არ განხორციელებულა. მის ნაცვლად რუსეთის უმაღლესი მთავრობა 1916 წ. ზაფხულში შეუდგა სამხედრო დანიშნულების ბათუმ-ტრაპიზონის რკინიგზის მშენებლობას. თუმცა ვერც მისი დასრულება მოასწრო რუსეთში მომხდარი რევოლუციებისა და მათ შემდეგ განვითარებული მოვლენების გამო (სიორიძე, 2005 80-85).

საბჭოთა პერიოდში საქართველოს რკინიგზა სსრკ ერთიან სარკინიგზო ქსელში ჩართეს და მას რომელიმე უცხოურ სახელმწიფოსთან დამოუკიდებელი სარკინიგზო კავშირი აღარ ჰქონია.

საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ, განსაკუთრებით უკანასკნელ ათწლეულში, აქტიური გახდა თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზით თურქეთის რესპუბლიკებთან საქართველოს დაკავშირების საკითხი. ეს იქნება მნიშვნელოვანი მონაკვეთი იმ სარკინიგზო მაგისტრალში, რომელიც ევროპას დააკავშირებს ამიერკავკასიის, შუა აზიის და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან.

თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის მშენებლობით დაინტერესებულია ევროკავშირი. წინასწარი გათვლებით ამ პროექტის განხორციელება 400 მილიონი დოლარი დაჯდება. ყარსი-ახალქალაქის მონაკვეთის მშენებლობა საქართველოს ტერიტორიაზე დაახლოებით 30 კილომეტრსე განხორციელდება, თურქეთის მხარეს კი — 90 კილომეტრსე. პროექტი ორ ეტაპს მოიცავს. დასაწყისში გაკეთდება ერთი ლიანდაგი, ხოლო შემდეგ ეტაპზე იგეგმება მეორე ლიანდაგის დამატებაც. პირველ ეტაპზე წელიწადში 10 მილიონი ტვირთის გადაზიდვა განხორციელდება, მეორე ეტაპზე კი ეს მონაცემები

50 მილიონ ტონამდე გაიზრდება (ხარაზიშვილი, "რეზონანსი", №314, 2004:5).

ექსპერტთა შეფასებით თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის გაყვანა მოგებიანი იქნება ამ საერთაშორისო პროექტის ყველა მონაწილისათვის. ევროპის შიგა ქვეყნები ამ უმოკლესი სახმელეთო გზით შეძლებენ აღმოსავლეთის ქვეყნებთან იაფი და ოპერატიული ტვირთბრუნვის განხორციელებას. თურქეთიც აისრულებს დიდი ხნის ოცნებას და რუსეთის ბაზარს დაუკავშირდება უმოკლესი და მოგებიანი სახმელეთო მარშრუტით. ამავე გზით თურქეთი განახორციელებს აქტიურ კონტაქტს შუა აზიასთან.

საერთაშორისო სარკინიგზო მაგისტრალში ჩართვა სასარგებლო იქნება საქართველოსთვისაც, როგორც ეკონომიკურად ისე პოლიტიკურად. ახალი ფინანსური შემოსავლების გაჩენასთან ერთად, უფრო სტაბილური გახდება ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა და მისი უშიშ-როება უფრო დაცული იქნება.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემოკლ. აცსა), ფონდი 48, აღწ. 1, საქმე №1385.

2. გოშაძე გ. ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის, ელექტროფიკაციისა და ექსპლოატაციის საკითხისათვის, თბ., 1959.

3. ვაუბედაშვილი რ., კახეთის რკინიგზის მშენებლობის ისტორია, თბ., 2001.

4. სიორიძე მ. სამთო-მეტალურგიული მრეწველობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და უცხოური კაპიტალი (1878-1921 წწ.) – "აჭარის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები", VIII, ბათ., 1987. (გვ. 135-153)

5. სიორიძე მ. რკინიგზის მშენებლობა ლაზეთში 1916-1917 წლებში. – ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, IV, ბათ., 2005 (გვ.80,86).

6. გაზ. „რეზონანსი", №314, 2004 წ. 17 ნოემბერი, გვ.5 – მაკა ხაზარაშვილის წერილი – „საქართველოს შეუძლია სარკინიგზო ზესახელმწიფოს ფუნქციები შეასრულოს"

7. ტოტოჩავა კ., საქართველოს სსრ ტრანსპორტის ისტორია თბ., 1973.

8. **Аргутинский-Долгоруков А.**, История сооружения и эксплоатации Закавказской железной дороги, Тифл., 1896.

9. **Беничевъ К.** Сурамский Тонель „" Кавказский Календарь" на 1891 г., (Приложение I-го отдела), с. 8-14, Тифл., 1890.

10. Комерческая деятельность Закавказских железных дорог за 1907-1911* гг. – „Кавказский Календарь" (ტექსტში იხ. შემოკლ. К.К.) На 1914 г. (отд. Статистю), Тифл., 1913. с. 196-204.

11. **Сагратян А.** История железных дорог закавказья (1856-1921), изд-во „Анастан" Ереван 1970 (264 с.).

12. **Хундадзе Г.**, Очерки по истории строительства Закавказьских железных дорог (1865-1915), Тб., 1937.

* ვერსტი (ვერსი) – სიგრძის საზომი ერთეული ძველ რუსეთში. 1 ვერსტი = 500 საჟენს, ანუ 1,0668 კილომეტრს.

Malhaz Sioridze

Project of Batum-Karss Railway

Summary

In article is considered project of Batum-Karss railway, which was designed on the initiative of Batum town self-government. The engineer D. Svischevski typed the project in 1916.

Thereafter according the project the length of Batum-Karss railway branch constituted 348 verst.The railway got through rocky and mountainous terrain along the gorges of the rivers CHorohi, Imerhevi and SHavshetisckali.It was designed by means of subways to lead out the road on Ardagan plateau and join this railway with Tiflis-Dzhulifia branch of Transcaucaucian railway leaving on to Percy.

Batum-Karss railway on 200 verst shortened the distance to Persian border. This road also serviced to local necessities of Batum and Karss areas. However this project was not realized.

Малхаз Сноридзе

Проект Батум-Карсской Железной дороги

Резюме

В труде рассмотрен проект Батум-Карсской железной дороги, который был разработан по инициативе Батумского городского самоуправления. В 1916 г. проект был напечатан инженером Д. Свищевским.

Согласно этому проекту, длина Батум-Карсской железнодорожной ветвы составляла 348 верст. Она проходила через скалистую и гористую местность по ушельям рек Чорохи, Имерхеви и Шавшетисцкали. Планировалось посредством тоннелей выведение дороги на Ардаганское плато и соединение с Тифлис-Джульфинской ветвью Закавказской ж.д. для выхода на Персию.

Батум-Карсская железная дорога на 200 верст сокращала расстояние до Персидской границы. Эта дорога также обслуживало бы местные нужды Батумской и Карсской областей. Однако вишеупомянутый проект не осуществился.

ოთარ თურმანიძე

აჭარის ინდუსტრიის კადრების ტექნიკური შემოქმედება (XX საუკუნის 30-იანი წლები)

ინდუსტრიის განხორციელების შედეგად აჭარაში ჩამოყალიბდა მრავალდარგოვანი და მრავალეროვანი საწარმოო პერსონალი – პროფესიული მუშათა კლასი და ინჟინერ-ტექნიკური კადრები. 1939 წლის დასაწყისში მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოო პერსონალი 21.8 ათას კაცს ითვლიდა, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა XX საუკუნის 20-იანი წლების მაჩვენებლებს (1).

ინდუსტრიის კადრებმა მნიშვნელოვანი ტექნიკური შემოქმედებით მუშაობა გასწიეს XX საუკუნის 30-იან წლებში, მაგრამ მაშინ იგი მასობრივი არ გამხდარა. საწარმოებში გამოგონებები და რაციონალი'ატორული წინადადებები ნაკარნახევი იყო მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის პირადი ენთუზიაზმით. XX საუკუნის 20-30-იან წლებში მათ საწარმოთა ხელმძღვანელობა ნაკლებად ეხმარებოდა. არ არსებობდა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და საკანონმდებლო ბაზა. მართალია, სსრ კავშირის ცენტრალურმა ხელისუფლებამ 1924 წელს მიიღო დადგენილება "გამოგონებაზე პატენტის შესახებ". მაგრამ იგი ითვალისწინებდა გამომგონებლის მხოლოდ საპატენტო უფლების დაცვას.

XX საუკუნის 20-30-ანი წლების მიჯნაზე ინდუსტრიული კადრების ტექნიკური შემოქმედებითი საქმიანობის გაფართოების, ამ სფეროს საკანონმდებლო ბაზის შექმნისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ 1929 წლის 14 ივლისს და საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1930 წლის 25 ოქტომბერს მიიღეს დადგენილებები "გამომგონებლობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ" და "მასობ-

რიული გამომგონებლობის მდგომარეობის შესახებ წარმოების რაციონალიზაციაზე მისი გავლენის თვალსაზრისით". მათში ხაზგასმულია ტექნიკურ-შემოქმედებით საქმიანობაში ინდუსტრიული კადრების ფართოდ ჩაბმის და მათდამი საჭირო დახმარების აღმოჩენის შესახებ (2).

ცხადია, აღნიშნულ ღონისძიებათა არეალში აჭარაც შედიოდა. მაგრამ აქ ტექნიკური შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობანი უფრო ნაკლების იყო, ვიდრე სსრ კავშირის მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრებში. ამასთან საზოგადოების გარკვეულ ნაწილში შეიმჩნეოდა გამომგონებლობისადმი გულგრილი დამოკიდებულება, მისი მნიშვნელობის შეუფასებლობა. ამის გამო აჭარის გამომგონებელთა I ყრილობაზე (1932 წლის 28 აგვისტო) გულისტკივილით აღინიშნა, რომ გამომგონებლები ვერ პოულობენ მხარდაჭერას, ხშირად მათ უპატივცემულოთ ეპყრობიან. ბევრმა გამომგონებელმა განიცადა დევნა, დაცინვა, უსულგულო, ბიუროკრატიული მოპყრობა (3,2-3; 14).

ამ სიძნელეების მიუხედავად, აუტონომიური რესპუბლიკის საწარმოებში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში მნიშვნელოვანი მუშაობა მიმდინარეობდა. XX საუკუნის 30-იანი წლებიდან მოკიდებული საგრძნობლად გაფართოვდა ნოვატორთა რიგები. მსხვილ საწარმოებში დაიწყო გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა პირველადი ორგანიზაციების ჩამოყალიბება. 1932 წლის აგვისტოსათვის ასეთი ორგანიზაციები შექმნილი იყო ბათუმის 3 საწარმოში (ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, ნავთობპროდუქტების გასაღების მთავარი ბაზა და რკინიგზის დეპო) (7,2).

რაციონალიზატორთა საქმიანობის გაუმჯობესებისა და კოორდინაციაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აჭარის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა I ყრილობამ (1932 წლის 28 აგვისტო), სადაც აირჩიეს საზოგადოების საბჭო და პრეზიდიუმი. 1933 წლის ბოლოს აჭარაში აღირიცხა გამომგონებელთა საზოგადოების 14 პირველადი ორგანიზაცია და

32 საამქროს უჯრედი, სადაც 1730 კაცი ირიცხებოდა (3,2-53; 8,2).

მაგრამ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების ჩამოსაყალიბებლად და მასში წევრების მოსიდვაში შესამჩნევი იყო ფორმალიზმი. XX საუკუნის 30-იან წლების მეორე ნახევარში გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოება განთავისუფლდა უმოქმედო და შემოხვევითი პირებისაგან. ზოგიერთი ნაჩქარევად გახსნილი ორგანიზაცია დაიხურა. 1937 წლის დასაწყისში აჭარაში ითვლებოდა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების 15 პირველადი ორგანიზაცია და 42 საამქროს უჯრედი. საგულისხმოა, რომ ამ 15, საწარმოში მუშაობდა 8477 კაცი (მათ შორის 648 – ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი). გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოებაში გაერთიანებული იყო 464 ინდივიდუალური პირი, მათ შორის 265 –მუშა, 181 – ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და სხვა (12,6).

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების წევრების თითქმის ნახევარი (222 კაცი) ორ საწარმოზე – ბათუმის ნავღობგადამამუშავებელ ქარხანასა და ნავთობ-პროდუქტების გასაღების მთავარ ბაზაზე მოდიოდა. პირველ მათგანში ირიცხებოდა 148 კაცი, ხოლო მეორეში – 74. შემდეგ აღსანიშნაეია თამბაქოს ფაბრიკა, სადაც საზოგადოების წევრი იყო 44 პირი. 1937-1938 წლებში არსებული 16 პირველადი ორგანიზაციიდან ქმედუნარიანი იყო 9 მათგანი (12,6,9). 1939 წელს გაუქმდა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების აჭარის საოლქო საბჭო. მისი ფუნქციები გადაეცა პროფკავშირულ ორგანიზაციებს.

ცხადია, ამის შემდეგ ნოვატორთა საქმიანობის კოორდინაცია მოიშალა, მაგრამ საწარმოებში გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მუშაობა არ შეჩერებულია. ინდუსტრილიუ კადრები, მაშინდელ რთულ პირობებში, საოცარ ენთუზიაზმს იჩენდნენ და მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევდნენ წარმოების ტექნიკური განახლებისა და ახალი ტექნო-

ლოგიების შემუშაებაში. გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა პირველი თაობიდან ყურადღებას იმსახურებენ გ. ბარკალაია, ი. ბარამიძე, ნ. დოლიძე, ხ. კონცელიძე, ა. ჯიჯავაძე, პ. ვასილიევი, ა. სახარენკო, ე. ლიხაჩევი და სხვები.

ნოვატორმა გ. ბარკალაიამ 1932 წელს ჩაქვის ჩაის ფაბრიკაში შეიმუშავა ქართული მწვანე აგურა ჩაის დაბრიკეტების ახალი ტექნოლოგია, რითაც აამაღლა პროდუქციის ხარისხი და შემცირდა დანახარჯები. ამას მაშინ აღიქვამდნენ მსოფლიო მნიშვნელობის მიღწევად (4,1-8). ბათუმის რკინიგზის სადგურის მუშამ ილია ბარამიძემ გამოიგონა თვითამწონავი. მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდა მშრალი ტვირთის დიდი პარტიების მექანიკურად გადაწონვა მიმღებგამგზავნ პუნქტებში. ილია ბარამიძის მიერ გამოყენებული მექანიკური თვითამწონავი მატარებლების ვაგონების მოცდენას ამცირებდა 70%-ით, ხოლო მუშის შრომას – 80%-ით (6,7,99).

ბათუმელმა ნოვატორმა მუშამ ნიკიფორე დოლიძემ გამოიგონა ფურნის ღუმელის გასათბობი "ფარსუნკები". იგი ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე შუხოვის ტიპისა, რომელსაც მანმადე იყენებდნენ. გარდა პურის საცხობი საწარმოებისა, ნიკიფორე დოლიძის მიერ გამოგონებული "ფარსუნკები" გამოიყენებოდა აბანოებში და სხვა. მისი დანერგვის შედეგად, ბათუმის №1 ფურნეში წლიურად დაიზოგა 200 ტონა მაზუთი, საგრძნობლად გაუმჯობესდა პურის ხარისხი (6,43).

მაშინდელ პირობებში მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ სიახლედ ჩაითვლება ინჟინერ ხასან კონცელიძის რაციონალიზატორული წინადადება ცემენტ-პემზის ნარევი ბეტონისაგან სპეციალური ფილების დამზადების შესახებ.

იგი გამოიყენებოდა შენობათა შიდა სართულების გადახურვისა და კედლების გადატიხრისათვის. საგრძნობი ტექნიკური სიახლე იყო მანდარინის ნაყოფის დამყალიბებელი მანქანის „ექსტრა" გამოგონება, რომლის ავტორია ინჟინერი ტიტოვი. იგი იგი მოიწონეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სპეციალის-

ტებმა (5,1,15:9,1-35) სამცეხაროდ, ეს გამოგონება აღარ დაინერგა და დავიწყებას მიეცა.

XX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებისათვის საგრძნობლად გაიზარდა რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობა და მისი ეკონომიკური ეფექტიანობა. 1935 წელს აჭარის ინდუსტრიულმა კადრებმა შეიმუშავეს 874 რაციონალიზატორული წინადადება და გამოგონება, რომელთაგან 345 იმავე წელს დაინერგა. წლიურმა ეკონომიკურმა ეფექტმა მაშინდელი ფულის კურსით 1863 ათასი მანეთი შეადგინა (10,10).

ტექნიკურ პროგრესში ყველაზე დიდი წვლილი შეჰქონდა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას, სადღაც 2000-2100 კაცი მუშაობდა. 1931-1935 წლებში დასახლებული საწარმოს ნოვატორთა შემოქმედებითი საქმიანობის შედეგებმა ფულადი გამოსახულებით 3 მილიონ 900 მანეთი შეადგინა. აქედან 1933 წელს – 9519 ათასი. 1935 წელს – 566 ათასი მანეთი. 1936 წელს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ნოვატორების მიერ შემუშავებული 191 რაციონალიზატორული წინადადებიდან დაინერგა 101. 1937 წელს 233-დან -98. შესაბამისად ეკონომიკური ეფექტიანობა 493370 და 556450 მანეთს აჭარბებდა (5.1; 11, 22; 12; 15; 13,3; 14). (8,1; 10,22; 11,15; 13,3; 15).

ამ ციფრების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ ერთ ქარხნის ნოვატორებზე მოდიოდა აჭარის მასშტაბით რაციონალიზატორული წინადადების შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტიანობის თითქმის ნახევარი. XX საუკუნის 30-იან წლებში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ნოვატორებმა ა. ზახარენკომ და პ. ვასილიევმა შეიმუშავეს მუავე გუდრონის უტილიზაციის ახალი წესები და ხერხები. ვ. ლიხაჩევმა განახორციელა შუქშენიღბვისა და მილსადენი ღუმელების მოწყობილობის რეკონსტრუქცია, რასაც მნიშვნელოვანი ტექნიკური და ეკონომიკური შედეგები ჰქონდა.

მანვე ქირიასთან, გაიდაროვთან და სხვებთან ერთად გამოიგონა ნავთობში ანთებადი პროდუქტების განსაზღვრის ახალი ხერხები. ამ ტექნიკური სიახლის წლიური ეკონომი-

კური ეფექტი 4700 მანეთს შეადგენდა. ძალზე მნიშვნელოვანი იყო ნოვატორების რუსიას, კიბალჩიჩის, გუბერის 1935 წელს შემუშავებული რაციონალიზატორული წინადადება ნავთობისაგან ავტოლის მიღების ტექნოლოგიის შესახებ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ალი ჯიჯავაძის ტექნიკური შემოქმედებითი საქმიანობა. მან 1933 წელს 12-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება შეიტანა. აქედან მიღებული პირობითი ეკონომია 35000 მანეთს შეადგენდა (7,22 – 258)

საყურადღებო რაციონალიზატორული წინადადებების ავტორები არიან ნავთობპროდუქტების გასაღები მთავარი ბაზის, ფეხსაცმლის ფაბრიკის ფანერის ქარხნის ნოვატორები. ამ უკანასკნელ საწარმოში, მაგალითად, 1937 წელს 55 რაციონალიზატორული წინადადება შეიმუშავეს, რომელთა ნაწილი დაინერგა. ამის შედეგად გაუმჯობესდა წარმოების ტექნოლოგიური პროცესები, ხოლო ფულადი შემოსავალი 238 ათას მანეთამდე აღწევდა. ფეხსაცმლის ფაბრიკაში რაციონალიზატორული წინადადებათა დანერგვის შედეგად მიღებული შემოსავალი 253 ათას მანეთს აჭარბებდა. ნავთობგასაღების მთავარ ბაზაში 216 ათას მანეთს ითელიდა. მეტნაკლებად ასე იყო სხვა დროსაც.

სამამულო ომის წლებში (1941-1945) აჭარაში ინდუსტრიული კადრების ტექნიკური შემოქმედებითი საქმიანობა შეფერხდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ პროფესიული კადრების ნაწილი ფრონტზე გაიწვიეს. მრავალი მათგანი საწარმოებს ეეღარ დაუბრუნდა. მიუხედავად ამისა, ბათუმის მსხვილი საწარმოებში (ნავთობგადამამუშავებელი, მანქანათსაშენი, კოფეინის და სხვა) ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა მიმდინარეობდა.

ომისშემდგომ აღდგენით წლებში (1946-1950) ინდუსტრიული კადრების ტექნიკური შემოქმედებითი საქმიანობა მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა. 1946-1950 წლებში მხოლოდ ერთ საწარმოში ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში შეიმუშავეს 95 რაციონალიზატორული წინადადება, რომელ-

თავან დაინერგა 675 წლიური ეკონომიკური ეფექტიანობა ერთ მილიონ 395 ათასს მანეთს აჭარბებდა.

ამრიგად, XX საუკუნის 30-იან წლებში დაწყებული ინდუსტრიული კადრების ტექნიკური შემოქმედებითი საქმიანობა მომდევნო ხანაში ახალ წარმატებათა მიღწევის მყარი საფუძველი გახდა. მართლაც 50-80-იან წლებში ამ სფეროში მოპოვებულია მნიშვნელოვანი მიღწევები.

გამოყენებული წყაროები

1. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ბიბლიოთეკის სპეცფონდი.

2. Решения партии и правительство по хозяйственным вопросам. сборник документов, I. М. 19.

3. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-116, ან 1, საქმე 2.

4. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-116, ან 1, საქმე 9.

5. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-116, ან საქმე 12.

6. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-116, ან საქმე 1,14

7. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-116, ან 1, საქმე 15.

8. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-116, ან 1, საქმე 19.

7. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-116, ან 1, საქმე 22.

10. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-116, ან 1, საქმე 57.

11. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-116, ან 1, საქმე 58.

12. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-116, ან 1, საქმე 79.

13. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-116, ან 1, საქმე 104.

14. საბჭოთა აჭარა, 1932, 30 აგვისტო
15. Батумский рабочий . 1935. 22 октября.

Otar Turmanidze

industrial staff and technical progress in adjara (xx c. 30years)

Resume

As a resualt of industrialization an adjara the qualified workers and technical engeneering personel have been formed. they have taken an important part in the development of technical progress. utilization of their rationalization proposals and inventions provided the rearmament of factories and the state got an inormius economic profit.

Отар Турманидзе

Техническое творчество индустриальных кадров Аджарии

Резюме

В результате осуществления индустриализации в Аджарии сформировались профессиональные рабочие и инженеротехнический персонал. Они внесли значительные вклад в развитие технического прогресса. Использование их рационализаторских предложений и изобрутуний способствовало перевооружению предприятий и страна получала значительный экономический эффект.

ჯონსტანტინე ღლონტი

საზოგადოებრივი და შრომითი აქტივობის სოციალური მომენტები

მეცნიერებაში, სოციალური აქტიურობის სხვა მრავალ ფორმასთან ერთად, აღიარებულია პიროვნებათა ან გარკვეულ სოციალურ ჯგუფთა თანამშრომლობა და ურთიერთზემოქმედება. ცხადია, ურთიერთზემოქმედების ფორმა შეიძლება მრავალგვარი იყოს, მაგრამ ცალკეული ჯგუფის (ან ჯგუფების) წევრთა (უმრავლესობის) ურთიერთზემოქმედებას ყოველთვის განიხილავენ არსებული სიტუაციის შეფასების შესაბამისად.

როგორც ცნობილია, ურთიერთზემოქმედების ვითარებაში სიტუაცია შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ძირითადი მომენტების მიხედვით: ა) მოცემული პოზიციისადმი თანხმობა და რეალური თანაგრძნობა სხვა ჯგუფების მიერ; ბ) თითოეული მხარის გამოკვეთილი პოზიცია და ადგილი ურთიერთზემოქმედების მოცემულ სისტემაში; გ) გარკვეული მოლოდინი და დამოკიდებულება სხვათა მხრივ; დ) სხვათა მოქმედების ინტერპრეტაცია მათი დაკვირვების საფუძველზე; ე) საკუთარი მოქმედების სტრატეგიის გამომუშავება ყველა სიტუაციის გათვალისწინებით (Величко А., Подмарков М. 1976, 128).

აქ საუბარია იმ ძირითად მომენტებზე, რომლებიც კარგადაა ცნობილი თეორიაში და შემოწმებულია პრაქტიკით, მაგრამ ჩამოთვლილი პუნქტები, თავიანთი განმსაზღვრელი მნიშვნელობის მიუხედავად, არ შეიძლება დოგმად იქნას აღიარებული, იმის გამო, რომ, კონკრეტულმა ვითარებამ შეიძლება გამოიწვიოს ყურადღების გადატანა სხვა არანაკლები მნიშვნელობის მომენტებზე. გამორიცხული არაა, პირი-

ქით, საესებით შესაძლებელია, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცეს არა რომელიმე ერთი, არამედ მრავალი მნიშვნელოვანი სფერო–პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ა.შ. ყველა ასეთ შემთხვევაში, საჭიროა მსადეოფნა და მნიშვნელოვანი მომენტების კვლევითი ინტერესის სფეროში უყოყმანოდ შემოტანა (იგულისხმება სოციოლოგიური და კონკრეტულ–სოციოლოგიური კვლევა). რაც შეეხება ზემოთ მოცემულ კლასიფიკაციას, მისი აღიარება მდგომარეობს იმაში, რომ იგი ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრაციას ურთიერთზემოქმედების უმნიშვნელოვანეს სოციალურ საკითხებზე.

როგორც აღინიშნა, სოციალური აქტივობა სხვადასხვა ფორმით ვლინდება. ზოგჯერ იგი გამოირჩევა წარმოებისა და შიგაწარმოების ეფექტიანობის საკითხების უაღრესად პრინციპულად დაყენებით და მოითხოვს არსებული ხარვეზების ლიკვიდაციას პროფესიულ დონეზე გააზრებული წინადადება–რეკომენდაციების საფუძველზე, რომელთა უკან დგას მთელი კოლექტივი ან გარკვეული სოციალური ჯგუფი. ეს მხოლოდ მაღალი ზნეობრივი ოვისებების გამომუშავების, კოლექტივის წევრთა ინდივიდუალურ ნიშნებთან ერთად ყველა საჭირო ნიშნისათვის, მათი გამოვლენისა და განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნასთანაა დაკავშირებული (იქვე).

საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ადამიანები უფრო შეგნებულად და პროფესიულად აცნობიერებენ საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ პრობლემებს, დგანან სოციალური აქტივობის მოწინავე და მყარ პოზიციებზე, ხელს უწყობენ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების ერთ მთლიანობაში შერწყმას (კ.მეგრელიძე, 1990, 430; 475).

სოციალური აქტივობის მაღალი სტატუსი მინიმუმამდე ამცირებს კონფლიქტურ სიტუაციებს, აქტიურად ზემოქმედებს შიდაკოლექტიურ კავშირებზე, სრულყოფს პიროვნულ, ჯგუფურ და კოლექტიურ ურთიერთობებს, ამაღლებს მათი

მონაწილეობის შანსს აქტუალური საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტაში, და რაც მთავარია, ხელს უწყობს პიროვნების დამოუკიდებელ კონსტიტუციის გამომუშავებას.

სოციოლოგიური გამოკვლევებით დასტურდება, რომ საზოგადოებრივი აქტივობის დონესა და შიდაკოლექტიური აქტივობის დონეს შორის, არსებობს მჭიდრო ფუნქციონალური კავშირი, რომელიც, ამავე დროს, საზოგადოების სოციალური განვითარების შესაბამის დონეზეც მიანიშნებს (ბ. ლუტიძე, 2004, 3).

სოციალური აქტივობის ამაღლების ამოცანები (რომელ სფეროსაც არ უნდა ეხებოდნენ ისინი) მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კოლექტივისა და მისი შემადგენელი ნაწილების აქტიური მობილიზაციის დონეზე. ამიტომ, ყველგან და ყოველთვის, სოციალური ცხოვრების ცენტრში დგას კოლექტივი, სოციალური ჯგუფი, გარკვეული კლასი და ა.შ. აღნიშნული სოციალური ერთეულების სახისა და მოქმედების ფუნქციების ანალიზი გულისხმობს ამ პროცესებისათვის შესაფერისი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხების (ამოცანების) სათანადო დონეზე განხილვას. თვით ეს განხილვა იმ კომპლექსთა სფეროში, რასაც გულისხმობს სოციალური აქტივობის ცნება, არის ცნობიერებისა და აზროვნების მოდიფიკაციასთან მჭიდრო კავშირში მყოფი დიდი სოციალური მნიშვნელობის აქტი.

ცნობილი ფსიქოლოგი მ. ბასოვი, ჯერ კიდევ 1931 წელს წერდა: ადამიანის შრომის უსარმაზარ სფეროში და მისი პროფესიული მოღვაწეობის მრავალფეროვნების სხვადასხვაობაში უნდა ვეძიოთ საყრდენი წერტილი ადამიანის განვითარების ანალიზისათვის, როგორც ბუნებაში მისი საქმიანობის კრიტერიუმი, როცა ეს საქმიანობა ყველაზე რელიეფურად შეიძლება მჟღავნდებოდეს არა მხოლოდ მის პროფესიულ მოღვაწეობაში, არამედ მის სოციალურ აქტივობაში საერთოდ (Величко А. Подмарков М., 1976, 129).

სხვადასხვა სამეურნეო და სოციალური ფუნქციის განხილვისას, როგორც სოციოლოგები ისე ფსიქოლოგები, გან-

საკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მოტივაციას. ბუნებრივია, ანალოგიურ სიტუაციაში, მოტივაციაში ისინი გულისხმობენ სოციალური აქტივობის ხელშემწყობ ფაქტორს და მოვლენას, რომლის ახსნა ხელს უწყობს პროცესსე სრული წარმოდგენის შექმნას.

ცნობილი განმარტების მიხედვით, მოტივაცია არის ადამიანის სუბიექტური დამოკიდებულება საკუთარი მოქმედებისადმი, შეგნებულად დასმული ამოცანა, რომელიც განმარტავს და ხსნის მოქმედების ქცევას (Кон И.С. 1967, 24).

სოციალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით საზოგადოებრივ შრომითი მოღვაწეობის პროცესში (რომელ სფეროსაც არ უნდა ეხებოდეს იგი) მოტივაციას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ, უფრო მეტიც, ეს პროცესი ესმით როგორც სამი მოვლენის – მოტივაციის, შრომითი მონაწილეობის და კმაყოფილების აუცილებელ ურთიერთკავშირი. მოტივაცია და კმაყოფილება ანიჭებენ მოცემულ პროცესს (შრომით პროცესს) სუბიექტურ ხასიათს, რამდენადაც მათში მჟღავნდება შრომით მოღვაწეობაში ადამიანის ცნობიერების აქტიური მონაწილეობის ფაქტი (Величко А., Подмарков М. 1976, 129).

დადასტურებულია, რომ მოტივაცია ელინდება მოქმედების შინაგან წაქეხებაში და მაშინვე შეიცავს ტენდენციას, ე.ი. მისწრაფებას, რომელიც მიმართული უნდა იყოს მომდევნო ეტაპისაკენ–ჩანაფიქრის განხორციელებისაკენ, ამ კონტექსტში, იგი ყოველთვის წარმოადგენს, გონებრიეი მოქმედების შედეგად სხვადასხვა ხარისხის სიძნელეთა გაცნობიერების შედეგს.

მოტივი ყოველთვის განიხილება როგორც ურთიერთობა მოქმედებასა და მიზანს შორის. ამ მოვლენებზე ორიენტაციის მიხედეით იგი (მოტივი) იყოფა ორ მომენტად– ემოციონალურად და რაციონალურად. პირველი ჩნდება მოქმედების პროცესში, ხოლო რაციონალური თანამდევია გარკვეული მიზნის ემოციონალური მოტივის რაციონალიზაციას გერმა-

ნელი სოციოლოგები უწოდებენ შრომით სიხარულს, რომელსაც თან ახლავს მიმზიდველი ხასიათის სამუშაოთი ადამიანის (მუშაკის) გრძნობების ამაღლება. შრომითი სიხარული, ანუ იგივე შრომითი აღფრთოვანება, იწვევს მაღალ შემოქმედითობასა და ემოციონალურ აღმაფრენას კოლექტიური შრომის პირობებში. ამ გაგებასთან ძალიან ახლოსაა შრომითი ენთუზიაზმი–წარმატებული შრომითი საქმიანობის საზოგადოებრივი შედეგი, როგორც ცალკეული პიროვნების და სოციალური ჯგუფის, ისე მთელი საზოგადოების სასარგებლოდ.

როგორც ცნობილია, რაციონალური მოტივი თავისთავად გულისხმობს გარკვეული მიზნის გაცნობიერებას. ასეთი მიზნის შემთხვევაში, მოტივი ორიენტირებულია შრომის შემოქმედებით ხასიათზე, რომლის პროცესიც უზრუნველყოფს როგორც მატერიალური ისე ემოციონალური შედეგის რეალიზებას. უნდა აღინიშნოს, რომ რაციონალური და ემოციონალური მომენტი, ჩვეულებრივ, ყველა მოტივში იჩენს თავს და, ამავე დროს, იგი ასახავს საკუთარი მოღვაწეობისადმი ადამიანის დამოკიდებულების სირთულეს, უფრო ზუსტად, ამჟღავნებს იმ სირთულეებს, რომლებიც კავშირშია ადამიანის მიერ საკუთარი მოქმედების შეცნობასთან (Величко А. Подмарков М., 1976, 130).

მოტივაცია, შრომის პროცესში, ორ ძირითად ფორმაში ელინდება: როგორც ადამიანის მისწრაფება თავისი შინაგანი იმპულსების რეალიზაციისაკენ, და როგორც გარეგანი წაქეზება კონკრეტული და საერთო (როგორც მატერიალური ისე სულიერი) წარმატებისათვის. ეს ორი ფორმა რეალურად ავსებს ერთმანეთს.

საერთო წარმატებასთან ერთად, ხშირად ხორციელდება საკუთარი აღიარების მიზნები. ადამიანი ყოველთვის ცდილობს ეროდროულად და უმტკივნეულოდ მოახდინოს მათი რეალიზაცია, როცა ასეთი მიზნები შესაბამისად ემთხვევა ერთმანეთს, მაშინ, მეტი დამაჯერებელი საფუძველი უჩნდება

მატერიალურ და მორალურ წახალისებას, როგორც ადამიანის (საზოგადოების) ინტერესების გამოხატვის ერთერთ აღიარებულ ფორმას. მაგრამ ამ ფორმების (საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების) ერთმანეთისაგან განსხვავება აუცილებელია არა მხოლოდ ანალიტიკური მოსაზრებით, არამედ შრომისადმი ადამიანის დიფერენცირებულ-მარეგულირებელი დამოკიდებულების თვალსაზრისითაც. ამავე დროს, მოტივაცია არა მხოლოდ მიმართულება და მოქმედებისაკენ სწრაფვაა, იგი წაქეზების მუდმივი ცვლილებაა, ინდივიდის გარეგან პირობებსა და შინაგან მდგომარეობაზე დამოკიდებული ახალი იმპულსია.

განსხვავებული ემპირიული მასალების შესწავლის საფუძველზე სოციოლოგებმა დაადგინეს, რომ ცალკეული ინდივიდისა და ცალკეული ჯგუფის სოციალური აქტიურობის ამაღლებას ხელს უწყობს მრავალი გარემოება, მათ შორის, შრომის შემოქმედითობა, პროფესიონალიზმი, შეგნებულობა, ფსიქოლოგიური განწყობა და ა.შ. აღნიშნული მოტივები ცალკ-ცალკე და იზოლირებულად კი არ მოქმედებენ, არამედ განაპირობებენ ერთმანეთს და შესაფერის ადგილს იჭერენ სოციალური აქტიურობის ამაღლების მთელს ცნობილ არსენალში.

აღსანიშნავია, რომ მყარი, მუდმივად მოქმედი, რეგულირებადი მოტივები უშუალო გაელენას ახდენენ სოციალური ჯგუფების მოქმედების ხარისხზე, განსაზღვრული ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნაზე სოციალურ ჯგუფებში. ამასთან, პოზიტიური მოტივაცია უზრუნველყოფს შიგაჯგუფობრივი კავშირების განმტკიცებას საერთო მიზნისათვის ბრძოლაში. ამავე დროს, ნეგატიური მოტივაცია, რომელიც პირველ რიგში, მოტივაციის ფაქტორთა გაუთვალისწინებლობის შედეგია, არღვევს აღნიშნულ კავშირებს და ძაბავს სიტუაციას.

შრომითი მოტივაციის სოციოლოგიური განპირობებულობის ახსნასთან დაკავშირებით, სპეციალისტები (სოციოლოგები) ხაზგასმით აღნიშნავენ შემდეგ გარემოებებს.

ადამიანის სოციალური არსებობის ფაქტი უაზროს ხდის მის არსებობას (ცხოვრებას) შრომითი საქმიანობის გარეშე;

შრომა პიროვნებას აძლევს (ანიჭებს) თვითრეალიზაციის შესაძლებლობას, ხელს უწყობს მისი გონებრივი და ფიზიკური ძალების განვითარებას (გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების სრულყოფილად გაშლას);

კოოპერაციული შრომითი ოპერაციები ერთერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა ადამიანის (ადამიანების) მრავალმხრივ შესაძლებლობათა სრულყოფილი რეალიზაციისათვის (Величко А. Подмарков М., 1976, 134).

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ შრომა, არის პროცესი, ადამიანთა მატერიალური არსებობის საშუალება (კ.მარქსი, 1954, 227-228). ეს გარემოება, ცხადია, გადამწყვეტ გავლენას ახდენს შრომის სოციალური შინაარსის მოტივებზე. სპეციალისტები (ფსიქოლოგები) საგანგებოდ მიუთითებენ, როგორც ადამიანური, ისე საერთო დინამიური მოტივების გამოხატვის დიდ სირთულეზე. მოტივაციის კატეგორიას ისინი, როგორც ცნობილია, აკუთვნებენ იმპულსების სფეროს (ე.ი. წამქეზებელ, ბიძგის მიმცემ სფეროს), რომლებიც მოქმედებას ანიჭებენ მიმართულებას, არჩევითობას და სწრაფვას (Ярошевский М.А. 1971, 49).

კოლექტივებისა და სოციალური ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკურ და სხვა პრობლემათა სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია თავისუფალი დროის საკითხი, უფრო სწორად, მისი გამოყენების ოპტიმიზაციის პირობების შექმნა. აქ საუბარი არ არის მისი, როგორც შრომის ნაყოფიერების ამაღლების ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს, როგორც ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ფაქტორებზე. აქ საუბარია იმ სოციალურ ეფექტიანობაზე, რომელიც მასების ცნობიერებაში მომწიფებული სოციალური განწყობის საფუძველზე, თავის გამოხატვის შესაფერის ფორმას პოულობს იმ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომლებსაც ხელისუფლე-

ბის ორგანოები ღებულობენ სოციალურ–ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ სფეროში საზოგადოებრივი განწყობის გაუთვალისწინებლად. ყოველ ასეთ შემთხვევაში, საზოგადოების მიერ ამ გადაწყვეტილებათა შეფასება გულისხმობს მათ გაცნობას, გაანალიზებას, შედეგების (კოლექტიური განხილვის) საჯაროდ გამოქვეყნებას. საამისოდ აუცილებელია დრო, რომელიც პირდაპირ კავშირშია სამუშაო და არასამუშაო დროის არაპროპორციულად ხარჯვასთან. ეს პროცესი შეიძლება მრავალ გარემოებასთან იყოს დაკავშირებული. კერძოდ: გადაადგილების მანძილის სიშორესთან (სახლიდან სამსახურამდე ან სხვა მიმართულებით), ინფორმაციის მოპოვების სიძნელეებთან (პრესის, ჟურნალ-გაზეთების, ტელევიზიის რადიოს და სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პრობლემებთან და ა.შ.).

სოციოლოგების გაანგარიშებით, ამგვარ საკითხებზე დროის დანახარჯი დღეში მერყეობს 1,5-დან 2 საათამდე, ცალკეულ კატეგორიებში 2-დან 3 საათამდე, რაც თავისთავად შეიძლება იქცეს კოლექტივის ან ცალკეული სოციალური ჯგუფის უარყოფითი განწყობის ხელშემწყობ ფაქტორად, ან შეიძლება გარკვეული სახის პროტესტის გამოხატვის ფორმად და შესაძლოა დაეუფლოს მთელ საზოგადოებას. მაგრამ იმისათვის, რომ სოციალური აქტივობა შორს იყოს მოძრაობის სტიქიური ფორმისაგან და მას ჰქონდეს დასაბუთებული მოთხოვნებისა და წინადადებების წამოყენების შესაძლებლობა, ადამიანებს სჭირდებათ თავისუფალი დრო ოფიციალური მასალების გამოსაცნობად და რაციონალური გადაწყვეტილებების მისაღებად (Патрушев В.Д. М., 1966, 175).

სოციოლოგები ყურადღებას ამახვილებენ სხვა მომენტებზეც, კერძოდ საოჯახო შრომასა და დროის იმ დანახარჯებზე, რომლებიც დაკავშირებულია მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე და სხვა შესაფერისი პირობების უზრუნველყოფაზე. როგორც გამოთვლები ადასტურებენ, ამუამად საოჯახო შრომაზე, საყოფაცხოვრებო წარმოების მომსახურებასა და თვითმომსახურებაზე, მთელი კვირის გან-

მაკლიობაში, ისარჯება 17–20 საათი მამაკაცებისათვის, 35–40 საათი ქალებისათვის.

როგორც ჩანს, თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენება პირდაპირ კავშირშია ადამიანური მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროსთან, მათ შორის, ადამიანის კულტურულ საქმიანობასა და დონესთან, სოციალურ–ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებასთან, ინდივიდების, კოლექტივების და მთელი საზოგადოების სოციალურ აქტივობასთან.

ყოველდღიურ ცხოვრებასა და პრაქტიკაში მრავალი პრობლემა და რთული სიტუაცია გვხვდება. ისინი არ ემორჩილებიან ოფიციალურად ფიქსირებულ ნორმებს და, ხშირ შემთხვევაში, გაუთვალისწინებელი, სპონტანური ხასიათის ფორმას ღებულობენ, რასაც სათანადო შესწავლა და ანალიზი სჭირდება.

სოციოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დიდი ყურადღებით მოეკიდოს ანალოგიურ ფაქტებს, სათანადოდ შეისწავლოს და შეიმუშაოს მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებები სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, რომლებსაც შეიძლება მნიშვნელოვანი პოზიტიური სოციალური ძვრები მოჰყვეს.

ფაქტია, რომ სოციალური ინტერესის ობიექტი უფრო რთულია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ობიექტი. ამავე დროს, თვითონ სოციოლოგი არაიშვიათად მონაწილე ხდება იმ სიტუაციის, რომელშიც, ესა თუ ის მოვლენა განვითარდა. ამ მოსაზრებას იმ დასკვნის აუცილებლობამდე მივყავართ, რომ, თანამედროვე პირობებში, აუცილებელია იმ საშუალებათა გამოყენება, რომლებიც ხელმძღვანელთა ხელში იყრიან თავს. ამასთან, ისინი უნდა ფლობდნენ არა მხოლოდ ტექნიკურ–ეკონომიკურ და სხვა საშუალებებს, არამედ, უნდა გააჩნდეთ სოციალური პრობლემებისა და პირობების კვალიფიციური ცოდნა. ცხადია, ეს არ არის სოციალური საკითხების გადაწყვეტის ერთადერთი გზა. საამისოდ, პირველ რიგში, აუცილებელია სოციოლოგიური და კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევა-ძიების გაღრმავება-გაფართოება არა რომელიმე ერთი

მიმართულებით, არამედ ყველა მიმართულებით, იმისათვის, რომ საზოგადოებას რეალური წარმოდგენა ჰქონდეს ჩვენს თვალწინ არსებული სოციალურ სინამდვილეზე, მისი რეგულირების მეთოდებსა და შესაძლებლობებზე. ცხადია, აქ საქმე ეხება როგორც მატერიალური, ისე სულიერი წარმოების სფეროს საკითხებს, ადამიანისა და მისი კულტურის სფეროს, კულტურის საერთო სფეროს საკითხებს.

კულტურას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური კვლევის სფეროში. იგი ორგანულადაა დაკავშირებული როგორც მეთოდურ და მეთოდოლოგიურ ისე ორგანიზაციულ დარგში თანმიმდევრული კვლევის გაღრმავებასთან, როგორც სოციოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის რეალურ გზასთან.

სხვა სფეროებთან ერთად კულტურის ფართოდ განვითარება და მათი შედეგების საზოგადოებაში ამავე მასშტაბით დანერგვა, ხელს შეუწყობს არა რომელიმე ერთი პრობლემის, არამედ პრობლემათა ფართო სპექტრის სწორად შეფასებას და ძიებული რაციონალური გადაწყვეტის გზების რეალურად დასახვას. საზოგადოებას დღეს სჭირდება უწყვეტი, ამავე დროს, მართალი სოციალური ინფორმაცია, რომელიც უსათუოდ წინ წასწევს მართვის გაუმჯობესების აუცილებლობასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზებას, საამმართველო გადაწყვეტილებათა სოციოლოგიურ დასაბუთებულობას და საზოგადოების განვითარების ყველა ასპექტის მეცნიერულ პროგნოზირებას დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხების სადღეისო მოთხოვნილების დონეზე გადაწყვეტა უმჭიდროესადაა დაკავშირებული მთელი საზოგადოების, ისე როგორც ყველა მისი შემადგენელი ნაწილის სოციალური აქტიურობის ამაღლებასთან.

ამრიგად, სოციალური აქტივობა ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და სხვა პრობლემების ორგანიზებულად გადაწყვეტის მნიშვნელოვანი ფაქტორია. იგი პრინციპულად აყენებს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის არა რომელიმე ერთი დარგის, არამედ დარგთა

მთელი სისტემის მუშაობის ეფექტიანობის რადიკალურად გაუმჯობესების საკითხებს.

სოციალური აქტივობის მაღალი სტატუსი ემსახურება კონფლიქტური სოციალური სიტუაციების მინიმუმამდე შემცირებას, საზოგადოებრივი ურთიერთობების გეგმაზომიერ დარეგულირებას, პიროვნებების, სოციალური ჯგუფებისა და მთელი საზოგადოების აქტიურად ჩაბმას ადგილობრივი და ცენტრალური მართვის სფეროში (რ.ა. საფაროვი, 1981, 187).

როგორც სოციალური სინამდვილის შინაგანი პოტენციის გამოხატულება, იგი რეალურ გავლენას ახდენს ცალკეულ პიროვა, განსხვავებულ სიდიდის სოციალურ ჯგუფთა და დიდი კოლექტივების ურთიერთობის რეგულირებაზე, ყოფიერებისა და აზროვნების მოდიფიკაციაზე და ყოველთვის რჩება განსაკუთრებული ღირებულების სოციალურ აქტად.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი მჭიდრო კავშირი მოტივაციასთან, როგორც სუბიექტის მოქმედების შინაგან წაქეზებასთან, როგორც ჩანაფიქრის განხორციელების იმპულსატორთან.

სოციალური აქტივობის ფართო სპექტრითა და ფართო მასშტაბით ამაღლება ხელს უწყობს საზოგადოებრივი შრომის შემოქმედებითობას პროფესიული დონის გაუმჯობესებას, შეგნებულობას, ფსიქოლოგიური განწყობის პროგრესს და ა.შ. აღნიშნული მოტივების ურთიერთ კავშირი და განპირობებულობა შესაბამის ადგილს იჭერს მთელს სოციოლოგიურ და ფსიქოლოგიურ არსენალში.

სოციალური აქტიუობის პროცესში სრული შესაბამისობითაა ჩართული თავისუფალი დროის საკითხი, როგორც მასების ცნობიერებაში მომწიფებული სოციალური გადაწყვეტების აუცილებელი კომპონენტი, რომელიც გამოხატულებას პოულობს ხელისუფლების მიერ შემუშავებულ გადაწყვეტილებებში იმდენად, რამდენადაც თავისუფალი დრო, არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური ეფექტიანობის საზომია, არამედ, განხორციელებულ სამუშაოთა ხარისხიანობის დონის მაჩვენებელიც.

სოციალური ობიექტების დიდი სირთულე მთელი კატეგორიულობით სეამს საკითხს მართვის მეცნიერული მეთოდების გამოყენების აუცილებლობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ხელმძღვანელობის არა მხოლოდ ტექნიკურ-ეკონომიკურ ცოდნას, არამედ სოციალური და სხვა პრობლემების მეცნიერულ ანალიზის უნარს, სოციოლოგიური და კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის გაღრმავება-გაფართოებას მიმდინარე მოვლენების რეგულირებისა და მათში ღრმად წვდობის მიზნით (ა.ზდრავომისლოვი, 1975, 39).

საზოგადოების მატერიალური და სულიერი სფეროს, ცნობიერების აქტივობის, სოციალური განწყობის ამაღლებისა და მეცნიერების როგორც საერთო მაორგანიზებელი ძალის პრობლემები შეუძლებელია წარმატებით გადაწყდეს სოციალური აქტივობის გარეშე, რომელმაც თანდათან შესაფერისი ადგილი უნდა დაიჭიროს ჩვენს სინამდვილეში.

სწორედ უწყვეტი და მართალი ინფორმაცია, როგორც მართვის გაუმჯობესების შესაძლებლობა, სამმართველო გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობა და განვითარების ასპექტების მეცნიერული პროგნოზირება არის ის საშუალება, რომელიც განსაზღვრავს სოციალური აქტივობის ხარისხს, განვითარების უახლოეს და შორეულ პერსპექტივებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. В.Величко. М.Подмарков, социология на предприятии, М.. 1976, с. 240.
2. ა.ზდრავომისლეევი, სოციოლოგიური გამოკვლევების მეთოდოლოგია და პროცედურა, თბ., 1975, 191 გვერდი.
3. Кон И.С. Социология личности. М., 1967, с. 295.
4. ბიძინა ლუტიძე, სოციოლოგია (ლექციების კურსი) ნაკვეთი II, თბ., 2004, 167 გვერდი.
5. კ.მარქსი, კაპიტალი, თბ., 1954, ტ. 1, 992 გვერდი.
6. კ.მეგრელიძე, აზრის სოციალური ფენომენოლოგია, თბ., 1990, 693 გვერდი.

7. Патрушев В.Д. Время как экономическая категория, М., 1966, с. 255.
8. ა.საყაროვი, საზოგადოებრივთი აზრი და სახელმწიფოს მართვა, თბ., 1981, 432 გვერდი.
9. Ярошевский М.Г. Психология XX столетия, М., 1971, с. 347.

Constantine Glonti

Social Moments of Public and Labor Activity

Summary

Public and labor activity is a significant factor of the rational solution of the economic and social-political problems. It really shortens the conflict situations, accelerates active inclusion of the person and the whole society in sphere of regional and central rule.

Константин Глонти

Социальные моменты общественной и трудовой активности

Резюме

Общественная и трудовая активность является значительным фактором рационального разрешения экономических и социально-политических проблем. Она реально сокращает конфликтные ситуации, ускоряет активную включенность личности и всего общества в сферу местного и центрального правления.

გურამ ჩაგანავა

ქართული კულტურის სინთეზურობის ფსიქოლოგიური ასპექტები

არსებობს კულტურის 250-ზე მეტი განსაზღვრება (13,- 46), მათ შორის ნობელის პრემიის ლაურეატის ალბერტ შვეიცერის განმარტება: "კულტურა–ეს არის ცალკულ პირთა და მთელი კაცობრიობის ყველა მიღწევის შედეგი ყველა სფეროში და ყველა ასპექტით იმ მოცულობით, რამდენადაც ეს მიღწევები ხელს უწყობენ პიროვნების სულიერ სრულყოფასა და საერთო პროგრესს"(13, 46). ფრანგი მოაზროვნე აბრაამ მოლი გვთავაზობს კულტურის შემდეგ განმარტებას: კულტურა – ეს არის ხელოვნური გარემოს ინტელექტუალური ასპექტი, რომელსაც ადამიანი ქმნის მისი სოციალური ცხოვრების განმავლობაში. ის არის მის გარშემო არსებული სამყაროს აბსტრაქტული ელემენტი" (13, 83). ა.მოლი აღნიშნავს, რომ კულტურა ვლინდება "უპირველეს ყოვლისა როგორც ძალა, რომელიც სოციალურ ველზე მოქმედებს (13, 348). ამრიგად ფსიქოლოგიური თვალსაზრისით კულტურა ფენომენოლოგიური ძალის განმაპირობებელ უძლიერეს ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც განსაზღვრავს ცალ-კეულ ადამიანთა თუ საზოგადოების ღირებულებათა ერთობლიობას. ასეთ ღირებულებათა საფუძველზე წარმოიშვა შეხედულებები დასავლურ (ევროპულ) და აღმოსავლურ (აზიურ) კულტურათა შესახებ.

ევროპული კულტურა ხშირად გაიგივებულია (განსაკუთრებით თვით ევროპელების მიერ) ინდივიდუალიზმთან, დემოკრატიულობასთან, კანონიერებასთან, მეცნიერებასთან, შრომისმოყვარეობასთან, თავისუფლებასთან, თანას-წორობასთან, კერძო საკუთრების ინსტიტუტთან, პიროვნულ დამოუკი-

დებლობასთან, გონიერულობასთან, ინიციატივასთან, ნებისყოფიანობასთან. ძველ საბერძნეთში ევროპული კულტურის ერთ-ერთი ძირითად ფაქტორად კერძო საკუთრება იყო მიჩნეული. საყურადღებოა, რომ ძვ. წ. ა. VI საუკუნის მოღვაწემ "სოლონმა თავს იდო ორი დაპირისპირებული მხარის–დიდგვაროვანთა და სალხის–მორიგება.....გაბარდა არადიდგვაროვანთა (განსაკუთრებით ე.წ. საშუალო კლასის) მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში და ისინი პოლისის სრულუფლებიან წევრებად აქცია"....თითოეული მოქალაქე ჯარის იმ ნაწილში გადიოდა სამხედრო სამსახურს, რომლის შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა მას თავად ხელეწიფებოდა. სოლო მისი სამხედრო შესატანის ოდენობა კი განსაზღვრავდა მისი პოლიტიკური უფლებების მასშტაბს. შესაბამისად ქონების ოდენობა განსაზღვრავდა პიროვნების ამა თუ იმ კლასში მოქცევის შესაძლებლობებს და აქედან გამომდინარე მის პოლიტიკურ უფლებებსაც"....."მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა სახალხო კრება ("ეკკლესია"), რომელშიც ოთხივე კლასის წარმომადგენელთ ხმის მიცემის თანაბარი უფლებები ჰქონდათ"..... "სოლონის რეფორმებმა ათენში ხელი შეუწყო პიროვნული ინიციატივის, ადამიანის პოლიტიკური აქტივობის მნიშვნელოვან გაზრდას. ფაქტობრივად, ყველა მოქალაქე, მიუხედავად მისი ქონებრივი მდგომარეობისა, ჩართული იყო სახელმწიფოს მართვის საქმეში, მისგან მოითხოვდნენ საკუთარ აზრს, საკუთარ პოზიციას მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.....სწორედ ამიტომ იქცა სოლონის მოდელი იმ საფუძვლად, რომელზედაც შესაძლებელი გახდა ელინური სამყაროს ჭეშმარიტად წამყვანი სულიერი, კულტურული და პოლიტიკური ცენტრის, დემოკრატიული ათენის ფორმირება, ათენისა, რომელმაც, თავის მხრივ, ბევრად განსაზღვრა მთელი ანტიკური საბერძნეთის განვითარების დონე, მისი ადგილი მსოფლიო კულტურის ისტორიაში" (4, 140-143). საყურადღებოა, რომ "ადამიანთა ჯგუფებს არისტოტელე სიმდიდრის ნიშნის მიხედვით განასხვავებდა: არსებობს მოქალაქეთა სამი კლასი (ფენა, ჯგუფი):

"ძალიან მდიდრები", "უკიდურესად ღარიბები" და "საშუალონი". არისტოტელე იცავს მასამეს, ხოლო პირველი ორი ჯგუფისადმი მტრულად არის განწყობილი. ძალიან დიდი სიმდიდრისაკენ მისწრაფება არაბუნებრივია; ასეთი მისწრაფების მქონე ადამიანები თელავენ ტრადიციებს, ვერ იმორჩილებენ თავს, ხდებიან თავხედები და ტირანები". ...."სახელმწიფოს დასაყრდენი უნდა იყოს "საშუალო ელემენტი". იგი ერთ-ერთ მის საპირისპირო ელემენტზე (უღარიბესზე ან უმდიდრესზე) ძლიერი უნდა იყოს და ორივესთან გარკვეული ურთიერთობა დაამყაროს. ამით ის შესძლებს ბატონობას" (8, 411-412). ამგვარად ძველ ევროპულ ტრადიციაში კერძო საკუთრება განსაზღვრავდა პოლიტიკური მოღვაწეობის შესაძლებლობას, "ქონებრივ მდგომარეობას" არ ქონდა დიდი მნიშვნელობა, პოლისის "მართვის პროცესში მონაწილეობდა ყველა მოქალაქე" მაგრამ "პიროვნებისათვის ამ სისტემაში თანამდებობრივი ფუნქციის მიცემისას გათვალისწინებული იყო მისი ქონებრივი მდგომარეობა" (4, 143). ბერძნული დემოკრატია არ იყო სრულყოფილი, მაგალითად, მონებს არავითარი უფლებები არ ქონდათ. დასავლეთში შემდგომშიც სულ უფრო ძლიერდებოდა კერძო საკუთრების ინსტიტუტი, როგორც დასავლური კულტურის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი და დასავლური ინდივიდუალიზმის საფუძველი, ისევე როგორც აღმოსავლეთში შენარჩუნებული იყო საზოგადოებრივი, ძირითადად, სახელმწიფო ანდა სათემო მიწათსარგებლობა და შესაბამისად განმტკიცდა კოლექტივიზმი.

ევროპაში, მაგალითად, ფრანკთა საზოგადოებაში ჩვენი წელთაღრიცხვით VI საუკუნისათვის დაძლეული იქნა თემური მიწათსარგებლობა და გავრცელდა კერძო საკუთრება მიწაზე (11, 147). ამრიგად, კერძო საკუთრება, როგორც დამოუკიდებელ, თავისუფალ ადამიანთა ძირითადი მახასიათებელი დასავლეთში ჩამოყალიბდა და ამიტომ ბუნებრივია, რომ ზუსტად იქ წარმოიშვა ინდივიდუალიზმი.

აღმოსავლური კულტურა კი ხშირად გაიგივებულია კოლექტივიზმთან, ავტორიტარიზმთან, უკანონობასთან, მითო-

ლოგიასთან, შებოჭილობასთან, უთანასწორობასთან, კოლექტიურ მიწათსარგებლობასთან, პიროვნულ დამოკიდებულებასთან, უინიციატიეობასთან, თეითნებობასთან, თავისუფლებისა და თანასწორობის შეზღუდვასთან. აღმოსავლური კულტურის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია კოლექტიური (სახელმწიფო, სამეფო, სათემო) საკუთრება, რომლის საფუძველზე ჩამოყალიბდა ავტორიტატული სახელმწიფო სისტემა და კოლექტივიზმის ფსიქოლოგიური მომართულობა. აღმოსავლეთში, სახელმწიფო და თემურმა მიწათსარგებლობამ განაპირობა კოლექტივიზმი. კოლექტივიზმის კი უპირველესი და უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი ისტორიულად იყო ადამიანის მიერ საკუთარი თავისა და საკუთარი ოჯახის მინიმალურ დონეზე რჩენის შეუძლებლობა, რადგან არსებობის შესაძლებლობის მომცემი მიწა, მაგალითად, რუსეთში, თემს ეკუთვნოდა, ინდოეთში (11, 61-63), ჩინეთში მიწა სახელმწიფოს ეკუთვნოდა(11, 27), ასევე იყო მუსლიმანურ ქვეყნებში (11, 110) და ა.შ.

დასავლურმა კულტურამ შეიმუშავა საზოგადოების დემოკრატიული მოწყობის ცნება. ამერიკის შეერთებული შტატები თავისი არსებობის დასაწყისიდანვე დემოკრატიულად იმართებოდა და ის იყო პირველი დიდი დემოკრატიული რესპუბლიკის ნიმუში. ევროპაში ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი ფრანგული რევოლუციის მიერ წამოყენებულ პრინციპებს – "თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა". ამ პერიოდში დემოკრატია "მესამე წოდებას" ან ბურჟუაზიას უკავშირდებოდა. დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში უმაღლესი ძალაუფლება მთლიანად ანდა მნიშვნელოვანწილად ეკუთვნოდა ხალხს. მეოცე საუკუნისათვის დემოკრატიზმი სულ უფრო მეტად ეკონომიკურ საფუძველს და პროლეტარიატს უკავშირდებოდა (10, 369-371). საერთოდ დემოკრატიზმით საზოგადოებაში ყველაზე უფრო მეტად დაინტერესებულია საშუალო ქონებისა თუ მდგომარეობის მქონე ადამიანები, რომლებსაც ცალ-ცალკე არ შეუძლიათ არც ქონებით გაყოყოჩებულ და ამიტომ ხელისუფლებაზე დიდი

ზეგაელენის მქონე თავგასულ ადამიანებს გაუწიონ წინააღმდეგობა და არც უპოვართა შემოტევებისაგან დაიცვან თავი, რომლებსაც არაფერი აქვთ დასაკარგავი და ისინი საზოგადოებრივი წესრიგის ნებისმიერ დარღვევაზე მიდიან, რათა დროებით მაინც სხვების ხარჯზე დაიკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნილებები. აქედან გამომდინარე ზუსტად საშუალო ფენა არის ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველი. ამ შემთხვევაში, მხოლოდ დამოუკიდებელ, თავისუფალ, ინდივიდუალური ღირსებით გამსჭვალულ ადამიანთა ერთობას შეუძლია დასძლიოს საკუთარ თავში თვითნებობისადმი მიდრეკილება, რადგან ის დამღუპველია მისთვის და ზუსტად გონივრული ეგოიზმის პრინციპის შესაბამისად დასძლიოს საკუთარ თავში ინდივიდუალური, კლანური, კუთხური მიკერძოება. საშუალო მდგომარეობის ადამიანი ამდაგვარადვე განწყობილ ადამიანებთან ერთად არის დაინტერესებული დემოკრატიულ წესწყობილებაში. აქ იქმნება თანასწორობისა და ხელისუფლებაში თანაბარი წარმომადგენლობის პირობები, როდესაც საზოგადოების ყველა წევრს ერთნაირად აქვს შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების მართვაში. ასეთ საზოგადოებაში მართვა უპირატესობა არ არის, რადგან შენ დროებით უნდა დაანებო თავი შენი ოჯახის რჩენაზე მომართულ საქმიანობას და საზოგადოების ყველა წევრისათვის ცხოვრების დამაკმაყოფილებელი პირობების შესაქმნელად უნდა იღვაწო. აქედან გამომდინარე კი სინამდვილეში საზოგადოების დემოკრატიული მოწყობა ძველად უსრუნველყოფდა ინდივიდუალური საკუთრების მფლობელ ადამიანთა საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელებულ ისეთ ქცევას, რომელიც სოლიდარობას, კოოპერაციას, ურთიერთდახმარებას, ერთმანეთის მიმართ ვალდებულებასა და მოვალეობის გრძნობებს განამტკიცებდა.

არცთუ უსაფუძვლოდ შეიძლება შეგვექმნას შთაბეჭდილება, რომ დემოკრატიულობა და კოლექტივიზმი ერთმანეთთან დაკავშირებულია. ფაქტია, რომ დემოკრატიული საზოგა-

დოების სრულყოფილი ფუნქციონირება შეუძლებელია კოლექტივიზმისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშან-თვისების გარეშე. ძველი ტრადიციით დემოკრატიული წეს-წყობილება, ინდივიდუალურ მფლობელთა გაერთიანებაა, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარი თავის არსებობის შენარჩუნება, მაგრამ ინდივიდუალურად არ შეუძლიათ სამართლიანობის მიღწევა, სხვების თვითნებობისაგან თავის დაღწევა, სტიქიურ მოვლენებისაგან და მტრული შემოსევებისაგან თავის დაცვა. ამიტომ ისინი ერთიანდებიან თანასწორობის პრინციპების დაცვით ერთ საზოგადოებაში, რომლის ხელმძღვანელს ეს საზოგადოება არანაირ უპირატესობას არ აძლევს და საზოგადოება უბრალოდ იმსახურებს ხელმძღვანელს და ხელმძღვანელს არანაირად არ შეუძლია მისი მდგომარეობა მისი კეთილდღეობის განსამტკიცებლად გამოიყენოს. ბუნებრივია, რომ ძველი ბერძნული დემოკრატია, სადაც საზოგადოების ყველა წევრი ვერ ღებულობდა მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში ვერ გამოდგება სანიმუშოდ. მიუხედავად იმისა, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში და ამერიკის შეერთებული შტატებში დემოკრატიული ინსტიტუტები მნიშვნელოვან ადგილს იკავებდნენ სახელმწიფოს მართვაში, მაინც სახელმწიფო მართვაში მუშათა კლასის მონაწილეობა არ იყო მათ რაოდენობასთან შესატყვისი და ამიტომ შეუძლებელია იმ დროინდელი დასავლეთის სახელმწიფოების ნამდვილ დემოკრატიულობაზე საუბარი. ჩვენ, ბუნებრივია, საკითხის ფსიქოლოგიური მხარე გვაინტერესებს და ამ მხრივ, მიგვაჩნია, რომ მუშათა კლასი მისი მდგომარეობით ფსიქოლოგიურად არაფრით განსხვავდებოდა აღმოსავლეთში ფართო მასების მდგომარეობისაგან, სადაც მიწა, როგორც პროდუქტიულობის ერთ-ერთი ძირითადი წყარო სახელმწიფოს ანდა თემს ეკუთვნოდა და უბრალო ადამიანები იძულებულნი იყვნენ კოლექტიური შრომისათვის მიეცათ უპირატესობა. რეალურად მუშათა კლასი იმ დროს ყველაზე გაუცხოებულ კლასად იყო მიჩნეული, თუმცა შემდეგ, მაგალითად, ფრომს

მიანნდა, რომ მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის უმრავლესობა, რომელიც დაქირავებით მუშაობს გაუცხოებულია ანუ არ არის დამოუკიდებელი (14, 207).

ჩვეულებრივ დემოკრატიულ საზოგადოებაში არის თავისუფალ ადამიანთა სოლიდარობა, რომლის კოლექტივიზმისაგან განსხვავება ძალიან ძნელია, თუმცა ეს სოლიდარობა აქ ნებაყოფლობითია და ამით ის არსებითად განსხვავდება ალმოსავლური სოლიდარობისაგან. აქ ადამიანი სხვა ადამიანებთან იმიტომ ერთიანდება, რათა საკუთარ კერძო საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობების შენარჩუნება შესძლოს მისთვის და მის მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისათვის მისაღები ფორმით, რაც ძირითადად დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებით ხორციელდება, სადაც ხელისუფლება ამ ადამიანთა ინტერესების გამომხატველია, რადგან ხელისუფლებაში ყოფნა უფრო მეტად მძიმე მოვალეობაა და არა უპირატესობა. ბუნებრივია, რომ ასეთი ადამიანი ხელისუფლებაში ყოფნას არ განიხილავს შემოსავლების გაზრდის საშუალებად, რადგან ასეთ შემთხვევაში ირღვევა მისთვის ის ძირითადი პრინციპი, რომლის შესაბამისად დემოკრატიულ წესწყობილებას ის მხოლოდ იმიტომ უჭერს მხარს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მისი პირადი ღირსება, რაც მისთვის ყველაზე მაღალ ღირებულებას წარმოადგენს და ამიტომ სახელმწიფო აპარატის საკუთარი კერძო ინტერესების მიზნით გამოყენება მისთვის საკუთარი პიროვნების ნებაყოფლობით ღალატს უტოლდება და ამიტომ ასეთი ქმედება მისთვის აბსოლუტურად მიუღებელია, დამამცრობელია და დამამცირებელი. დასავლური კულტურა ორიენტირებულია წარმოქმნილი პრობლემების მსჯელობის საფუძველზე გადაწყვეტაზე, რაც სიახლის, ნოვატორობის, ახალი საშუალებების ძიებასთან არის დაკავშირებული და ამგვარად დასავლური კულტურა თავისი არსით მომავალზე უნდა იყოს ორიენტირებული.

აღმოსავლური კულტურა კი ხშირად გაიგივებულია იძულებით დისციპლინასთან, ტრადიციების უპირატესობაზე კანონიერებასთან შედარებით, არაორგანიზებულობასთან, მოუწესრიგებლობასთან, ჯგუფური თუ პირადი ტენდენციურობის უპირატესობასთან სამართლიანობასთან შედარებით, კოლექტიური საკუთრების ინსტიტუტის დაცვასთან კერძო საკუთრების ინსტიტუტის საპირისპიროდ, პიროვნების მოქმედების კოლექტივზე დამოკიდებულებას ორიენტირებულობასთან. აღმოსავლური კულტურა სტატუსურ უპირატესობას ხშირად თვითნებობის სრულ განხორციელებასთან აიგივებს. აღმოსავლური კულტურა თრგუნავს ინდივიდუალურ ინიციატივას, რადგან ის შესაძლებელია განმტკიცებულ ურთიერთობებს რღვევით დაემუქროს და ზოგიერთი ადამიანის უპირატესობები ეჭვის ქვეშ დააყენოს. ამიტომ ის ადამიანის თავისუფლების შეზღუდვას უჭერს მხარს. აღმოსავლურ კულტურაში ქონებრივი, თანამდებობრივი, საერთოდ სტატუსური უპირატესობები საზოგადოების რიგით წევრებთან შეთანხმების გარეშე მიიღწევა და ამიტომ ამ საზოგადოებაში თანასწორობის იდეა მიუღებელია, რადგან ის არსებულ უპირატესობებს ემუქრება და თანასწორობის შეზღუდვასთან და კოლექტიურ (სახელმწიფო, სამეფო, სათემო) საკუთრებასთან არის დაკავშირებული, რომელიც ზღუდავს ინდივიდუალიზმს და იქვემდებარებს პიროვნებას. აღმოსავლური ცივილიზაცია ემოციურობაზე, კოლექტივიზმზე, კონფორმულობაზე ანუ მთლიანობაში წარსულზე ორიენტირებულად შეიძლება იქნეს მიჩნეული, რადგან ის ცელილებებს ადვილად არ ეგუება. ამრიგად აღმოსავლური კულტურა ადამიანის დამოკიდებულობაზეა მომართული.

ამავე დროს სათემო მიწათსარგებლობის ქვეყნებში ადამიანი სულაც არ იყო "შეწუხებული" კერძო საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტორების დაცვით, რადგან მას ასეთი რამ არ ქონდა, ხოლო მისი მინიმალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ახორციელებდა თემი, საზოგადოება. ადამიანი ჯგუფთან იყო იდენტიფიცირებული, ის სამართლიანო-

ბას ვერ დაამყარებდა, რადგან სამართლიანობის დამყარებით ის ბუნებრივად კარგავდა იმ უპირატესობებს, რასაც ის თემისაგან ღებულობდა. ამგვარად, ასეთ ვითარებაში, ადამიანის სოლიდარობა ინდივიდუალური გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელებული თავისუფალი მოქმედება კი არ იყო, არამედ გარემოებათა იძულებით გამოწვეული მოქმედება, რაც დამოკიდებული ადამიანის ქცევის ტოლფასი მოქმედება იყო.

კოლექტივისტურ საზოგადოებაში, სადაც წარსულში რეალურად არ არსებობდა კერძო საკუთრება, პიროვნული ღირსება, როგორც პირველი შეხედვით ჩანს, გაიგივებულია ჯგუფურთან და ამიტომ პიროვნული მნიშვნელობა, ღირებულება კერძო საკუთრებას კი არ ეყრდნობოდა, არამედ სხვებთან ემოციური ურთიერთობებით და მათდამი მიკერძოებულად დამოკიდებულებით იყო განპირობებული და ხშირად ახლაც არის განპირობებული, რაც დაცულობისა და კომფორტულობის უსრუნველმყოფელია.

რა თქმა უნდა, უკიდურესობაში გადასულა ნებისმიერ კულტურას ვნებს. მაგალითად, ცნობილი ფსიქოლოგი ფრომი წერს: დაუყლებაზე ორიენტირებულობა დასავლური ინდუსტრიული საზოგადოების დამახასიათებელი თვისებურებაა, რომელშიც ფულის, სახელისა და ძალაუფლების მოპოვებაა ცხოვრების მთავარი საზრისი (14, 25). ამავე დროს აღნიშნავენ, რომ ხშირად მესამე სამყაროს ქვეყნებში ევროპეიზაციის მომხრეები იმდენად გატაცებულნი არიან ევროპული კულტურის "უპირატესობებით" და ცდილობენ დანერგონ ევროპული კულტურა, როგორც ეს მათ ესმით, საკუთარ ქვეყაში, სადაც მათი აზრით მოსახლეობის მასა არ არის მზად ამ კულტურის ასათვისებლად, რომ მათ მისაღებად მიანნიათ ლიბერალიზმის, ევროპეიზაციის პოლიტიკის ავტორიტატული რეჟიმის მეშვეობით გატარება. ამის შედეგად კი ღებულობენ ლიბერალიზმს დემოკრატიის გარეშე. ამას ადასტურებენ ახალი გამოკვლევები მეოცე საუკუნის ოციანი და ოცდაათიანი წლების ეგვიპტეს მაგალითზე (15,1165-1168).

თანამედროვე სოციალური ფსიქოლოგია არ უარყოფს დასავლური და აღმოსავლური კულტურების სხვაობას, რაც ძირითადად დასავლური ინდივიდუალიზმისა და აღმოსავლური კოლექტივიზმის დაპირისპირებაში გამოიხატება. ამ საკითხთან დაკავშირებით, ამერიკელი ფსიქოლოგი დ. მაიერსი წერს: ინდუსტრიულად განვითარებული დასავლური საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ინდივიდუალიზმის ღირებულებები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ დამოუკიდებლობას და პირად კეთილდღეობას სოციალური იდენტობის საზიანოდ. სიყმაწვილეში ადამიანი იბრძვის, რათა გამოეყოს მშობლებს და დაეუფლოს საკუთარი „მეს" გრძნობას. აზიის ქვეყნებში და საერთოდ მესამე სამყაროს ქვეყნებში უფრო მეტად აფასებენ კოლექტივიზმს. უმაღლეს პრიორიტეტს ამ ქვეყნებში ადამიანები მიაწერენ საკუთარ საოჯახო, კლანურ, შრომით ჯგუფებს, სადაც დაძლეული აქვთ ეგოიზმი და პირნათლად ასრულებენ საზოგადოებრივ მოვალეობებს, უპირატესობას ანიჭებენ ჯგუფურ სოლიდარობას, ოჯახურ შემჭიდროვებულობას. აქ უფრო მნიშვნელოვანია "ჩვენ" ვიდრე "მე"(12, 251).

ამავე დროს თანამედროვე სოციალურ ფსიქოლოგიაში კოლექტივისტური ღირებულებების გამოკვლევებმა აჩვენა, რომ არსებობს ძალასა და დამოუკიდებლობაზე ორიენტირებული ინდივიდუალიზმის ალტერნატივა. ასეთი გამოკვლევები იმით არის სტიმულირებული, რომ ინდივიდუალიზმის გაძლიერებამ ბოლო წლებში გამოიწვია, არა მხოლოდ დეპრესიის შემთხვევების გახშირება, არამედ აგრეთვე სოციალური გათიშულობის სხვა ნიშნების ზრდაც. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1960 წელთან შედარებით–გაორმაგდა განქორწინებათა რაოდენობა; გასამმაგდა მოზარდების თვითმკვლელობათა რაოდენობა; ოთხჯერ გაიზარდა გაუპატიურობაზე შემოტანილ განცხადებათა რაოდენობა; ბავშვებისადმი ცუდი მოპყრობის ინფორმაციათა რაოდენობა ხუთჯერ გაიზარდა; ექვსჯერ გაიზარდა იმ ბავშვების რაოდენობა,

რომლების არასრული ოჯახში იზრდებიან და ახალგაზრდებს შორის ძალადობამ (12, 254).

ფსიქოლოგიური მეცნიერება დიდი ხანია ცდილობს გაერკვეს დასავლური და აღმოსავლური კულტურების თავისებურებებში. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა კარლ გუსტავ იუნგის შეხედულება, რომელიც ფიქრობდა, რომ "დასავლეთის ექსტროვერტული და აღმოსავლეთის ინტროვერტული ტენდენცია თანაბარად იღწვის ერთი მნიშვნელოვანი მიზნისთვის: ორივე შეუპოვრად ანვითარებს ძალას იმისათვის, რათა დაიპყროს და თავის თავს დაუმორჩილოს სიცოცხლის მარტივი ბუნებრივობა" (5, 61). იუნგის მსჯელობაში განსაკუთრებით ის არის საინტერესო, რომ მას საერთოდ მოხსნილი აქვს საკითხი კულტურათა უპირატესობათა შესახებ, რაც გამორიცხავს ერთი კულტურის მიერ მეორე კულტურის შთანთქმის შესაძლებლობას და მათ თანაბარი ღირებულების კულტურებად განიხილავს, რომლებსაც პერსპექტივა აქვთ ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების განსხვავებული მხარეები განავითარონ, რაც შესაბამისად უზრუნველყოფს ფსიქიკურად სრულყოფილი ადამიანის ჩამოყალიბებას.

სოციალური ფსიქოლოგების მიერ შემოთავაზებულია დამოკიდებულების, როგორც კოლექტივიზმის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლის ახლებური გაგება, რომლის შესაბამისად "დამოკიდებულად ყოფნა სულაც არ ნიშნავს აუცილებლად უმწეობას, უძლურობას ანდა სიტუაციის კონტროლის შეუძლებლობას. ხშირად აქ გაგებულია ურთიერდამოკიდებულება. ეს კი გულისხმობს ახლო ურთიერთობების პატივისცემის უნარს, სხვების მიმართ ყურადღებიანობასა და პასუხისმგებლობას, დახმარების მიღებასა და დახმარების გაწევას. ეს კი გულისხმობს არა მხოლოდ საკუთარი თავის უნიკალურ პიროვნებად განსაზღვრის შესაძლებლობას, არამედ აგრეთვე საკუთარი თავის "მნიშვნელოვანი სხვების" ლოიალურ მოკავშირედ განხილვას (12, 254). ამიტომ წამოყენებულია კომუნიტარიანიზმის კონცეფცია, რომელმაც უნდა დააბალანსოს ინდივიდუალური უფლებები და კოლექტიური უფლება

საზოგადოების კეთილდღეობაზე. ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის ნარევი უკვე ახლა შეიძლება აღმოვაჩინოთ ზოგიერთ დასავლურ კულტურაში. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ეკონომიკის სფეროში საზოგადოების ცალკეული წევრების სტიმულირება ერთდროულად შეხამებულია იარაღის მფლობელთა ინდივიდუალური უფლებების შეზღუდვასთან, ხოლო კანადაში კულტურათა მრავალფეროვნების ფონზე აკრძალულია სიტი პორნო (12, 255). ის, რაც ახლა დასავლეთში ხორციელდება ანუ მცდელობა ერთმანეთს შეუსამონ ინდივიდუალიზმი, როგორც დასავლური კულტურის ძირითადი ღირებულება აღმოსავლურ კოლექტივიზმს, როგორც აღმოსავლური კულტურის ძირითად ღირებულებას დიდი ხანია ხორციელდება ქართულ კულტურაში.

მსოფლიოს კულტურათა წიაღში ქართული კულტურის ადგილის განსაზღვრისას კ. გამსახურდიამ გამოთქვა ორიგინალური აზრი მისი სინთეზურობის შესახებ. ის წერდა: "ჩვენი ტერიტორია „ხალხთა ხიდი" იყო. ჩვენი ისტორიული მისია: ორ შეურიგებელ უკიდურესობათა და კონტრასტთა შერიგება–შეგუება, ორი დიდი სამყაროს: ევროპის და აზიის სულის შეხამება. მთელი ჩვენი კულტურა ამ ორ დიდ სამყაროსთან გადმოსროლილი ჩრდილისა და სინათლის ნიუანსების ნათელყოფაა.

„ვეფხისტყაოსანი" ერთადერთი ქმნილებაა, რომელშიაც ქართული სული სავსებით განსახიერდა–აქილევსის ფარი, რომელზედაც მოელი მისი თანამედროვე კულტურის სახე მინიატურულადაა ჰეფესტოს ოსტატური ხელით გადმოცემული; ეს დიადი სარკეც ქართული კულტურისა ისეთივე სინთეზია ზემოთ ნასესხებ სამყაროთა, როგორიც გოეტეს „ფაუსტი" ელლინიზმისა და ქრისტიანიზმის. „ვეფხისტყაოსანში" იპოვით როგორც წმინდა უპანიშიდების, ვედანტა ფილოსოფიისა, საკუნტალას, მაჰაბჰარათას, სპარსული პოეზიის, ისე ნეოპლატონიკოსების, ჰომეროსისა და ღვთაებრივ პლატოს სუნთქვას. განა მარტო „ვეფხისტყაოსანი", ყველაფერი, რასაც ქართული კულტურა ეწოდება, არითმეტიკულ

საშუალოს წარმოადგენს ელლენურ-ბიზანტიურსა და სპარსულ აღმოსავლეთ ექსტრემებს შორის. ვიდრე მუსულმანური სპარსეთი და ქრისტიანული ბიზანტია დაემხობოდენ, ჩვენ უსაშველოდ ყღებულობდით ამ კულტურულ გოლფშტრომებს...

საკუთარ ნიადაგზე მდგარნი ორ ძეძუსა ესწოვდით, ჩვენი სამშობლო ორი კულტურულ ნაკადის შემრთველ აუზს წარმოადგენდა.

•

რელიგია და მისი გაგება ერთგვარი გამოცდაა კულტურული ერისა.

ყოველი კულტურული ერი რელიგიური იყო. ყოველ მაღალხარისხოვან კულტურას რელიგიურ ფუძეზე ჰქონია საძირკველი.

თუმცა ქრისტიანული რელიგია ჩვენთვის სრულიად არა ნათესაე და უცხო რასის შექმნელი იყო, მაგრამ ქართველი ერის შემოქმედებითი ძალის თავისებურება და მისი სიძლიერე აქაც გამოიხატა. არც ერთ ერს ქრისტიანიზმი ისე არ გაუგია, როგორც ჩვენ, ჩვენთვის ქრისტიანიზმი პოეზია იყო. წაიკითხეთ ჰაელე ინგოროყვას გამოცემული: „ქართული საეკლესიო პოესია", რომელი ლიუტერის, ან ფრანცისკო ასისელის საგალობელნი შეედაროს მას.

თამამად შეიძლება ითქვას: არც ერთ ევროპელ ქრისტიან ერს არ უცდია და არ შესძლებია, ჩვენებრ რელიგიის გაშუქება პოეზიის ოპტიკით" (3, 294-296).

საქმე იმაშია, რომ ქართული კულტურის სინთეზურობამ განაპირობა მისი ძირითადი ნიშნების ორიგინალობა, რაც მას მკვეთრად განასხვავებდა ქართული კულტურული სივრცის მიღმა მყოფი კულტურებისაგან. ეს განსხვავება ეფუძნებოდა ადამიანის თავისუფლების პრიორიტეტს, რომლის განმამტკიცებელი იყო კერძო საკუთრების საყოველთაო გავრცელებლობა ქართველურ კულტურულ სამყაროში. ცნობილია, რომ საქართველოში თემის დაშლა და კერძო საკუთრების ინსტიტუტის ჩამოყალიბება დაახლოებით იმავე დროს დაიწყო, როგორც ეს დასავლეთ ევროპაში იყო. ამას ადასტურებს

ის ფაქტი, რომ "VI საუკუნეში ჩვენ უკვე გვაქვს მიწის ნასყიდობის ფაქტები, მაგრამ ეს წესი გაცილებით უფრო ძველ დროს არის შემოსული (2, 105). თავისთავად კერძო საკუთრების ინსტიტუტის არსებობა აყალიბებდა დამოუკიდებელ, საკუთარი პიროვნების ღირსების პატივისცემის მომთხოვნ, პიროვნების განმასხვავებელი ნიშნების – მშობლიური მეტყველების, ყოფისა და კულტურის, ტრადიციების, ფოლკლორის, დამწერლობის, იერარქიული ურთიერთობების, არქიტექტურის, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის თავისებურებების, მშობლიური ღირებულიბების, სამხედრო ხელოვნებისა და რაც მთავარია საკუთარი იდენტობის დამცველ ადამიანს. ამიტომ მშობლიური კულტურის ასეთ მაღალ ღირებულებებში დარწმუნებული ადამიანი ძნელად თუ ექვემდებარება ასიმილაციას.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ ისტორიულად საქართველოში გაუთავებელი ომების შედეგად ჩამოყალიბდა მოსახლეობის მთლიან რაოდენობასთან შედარებით მრავალრიცხოვანი სამხედრო არისტოკრატიული ფენა, რომელსაც პიროვნული და სახელმწიფოებრივი დაუმოუკიდებლობა საკუთარი არსებობის გამართლების ერთადერთ საშუალებად მიაჩნდა. ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი საქართველოში რუსეთის მფლობელობის გაერცელების შემდეგაც რუსებთან თანასწორად მიიჩნევდა საკუთარ თავს. ზუსტად ამ მოსალოდნელი თანასწორობის უკმარისობა იწვევდა აღშფოთებას და წინააღმდეგობას.

ზემოთ მოყვანილმა ფაქტორებმა განსაზღვრეს ის, რომ საქართველო რუსეთის იმპერიაში სოციალური მოძრაობის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი კერა იყო. მაგრამ ამ პროცესის მამოძრავებელი ძალები და შინაარსი საქართველოსა და რუსეთში კარდინლურად განსხვავდებოდნენ. საქართველო, როგორც ევროპული ცივილიზაციის ძირითადი ნიშნების მატარებელი ქვეყანა, იბრძოდა ინდივიდუალური, საზოგადოებრივი და ეროვნული თავისუფლებისათვის, სამართლიანობისა და თანასწორობისათვის. ამ ბრძოლის ამოსავალი

პუნქტი იყო ინდივიდუალიზმი. რუსეთში კი, რომელიც პირიქით, მიწის საზოგადოებრივი მფლობელობის (თემი, ობშჩინა) კლასიკური ქვეყანა გახლდათ, რევოლუციური ბრძოლის ამოსავალი პუნქტი კოლექტივიზმი იყო.

ქართული აზროვნება ყოველთვის ევოლუციური განვითარების გზას ემსრობოდა, ასე იყო 1917 წლის რუსეთის რევოლუციების დროსაც. ქართველი სოციალ-დემოკრატები, რუსეთის ბოლშევიკებისაგან განსხვავებით, წავიდნენ საზოგადოების ევოლუციური განვითარების გზით. ყალიბდებოდა მსოფლიოში პირველი სახელმწიფო, რომელშიც ჰარმონიულად იყო შერწყმული კერძო და საზოგადოებრივი ინტერესები, სოციალისტური და კაპიტალისტური წარმოების წესები.

საქართველოში მსხვილი ეროვნული მეწარმეობის სიმცირის პირობებში, სოციალ-დემოკრატების ბრძოლა მსხვილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ ფაქტობრივად ეროვნულ – განმათავისუფლებელი ბრძოლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ქართული თაყადაზნაურობის დიდი ნაწილი მცირე მემამულეებისაგან შედგებოდა და მათი განწყობები ნაკლებ განსხვავდებოდა გლეხების წვრილ ბურჟუაზიულ განწყობებისაგან. თაყადაზნაურობის ნაწილი, რომელსაც არისტოკრატიზმის პრეტენზიები ჰქონდა, ამ მოთხოვნილებას რუსეთის არმიის სამსახურში იკმაყოფილებდა, რაც საკმაოდ საპატიოდ ითვლებოდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმოქმნის პროცესში საქართველოში მათმა დაბრუნებამ უზრუნველყო ამიერკავკასიაში უძლიერესი ქართული სამხედრო მანქანის შექმნა.

მართალი იყვნენ ის პოლიტიკური მოღვაწენი, რომლებიც საქართველოს წვრილბურჟუაზიულ ქვეყანას უწოდებდნენ. საქართველოში ბუნებრივად წარმოიქმნა ისეთი პირობები, როდესაც მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ე.წ. საშუალო ფენა შეადგენდა, რომელიც გაერცელებული აზრით თანამედროვე დასავლური ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველს წარმოადგენს და რომელიც სისხლხორცეულად დაინ-

ტერესებულია სახელმწიფოს დემოკრატიულობის უზრუნველყოფაში. მსხვილი ბურჟუაზიისაგან განსხვავებით, მისი არსებობა, პოლიტიკური უფლებები, პიროვნული დამოუკიდებლობა და ღირსება მხოლოდ ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის პირობებშია შესაძლებელი.

საქართველომ მაშინ, ევროპული საზოგადოების განვითარების კანონზომიერ მსვლელობას მნიშვნელოვნად გაუსწრო და პირველად ჩამოაყალიბა ისეთი დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც უზრუნველყოფილი იყო ყველა კლასისა თუ ფენის ინტერესები. საქართველო ევროპული ცივილიზაციის სახელმწიფოებრივი მოწყობის ეტალონურ ქვეყანად იქცა. ამ სახელმწიფოში, ქართული სოციალ-დემოკრატების ლიდერის, ნოე ჟორდანიას სიტყვებით – „დამყარდა კოორდინაცია, შეთანხმება სახელმწიფო და კერძო ეკონომიკას შორის. სხვილი ნაციონალური და წვრილი კერძო საკუთრება შეიქმნა ახალი საქართველოს სოციალურ ფუძეთ" (7, 49).

საქართველოში წარმოიქმნა სახელმწიფოებრივი სტრუქტურის ისეთი მოდელი, რომელიც შემდგომში გამოყენებული იქნა ყველა დასავლურ ევროპულ ქვეყანაში. ასეთი სახელმწიფო უზრუნველყოფდა მუშათა კლასის სოციალურ დაცულობას მსხვილი ბურჟუაზიის თვითნებობისაგან და, ამავე დროს, კანონიერების საზღვრებში იძლეოდა კერძო ინიციატივის გამოვლენის სრულ საშუალებას „მა'შასადამე–ამბობდა ნ.ჟორდნია,–აწყობა სოციალური ეკონომიის ისეთ საფუძველზე, რომლებზედაც დაცულია წონასწორობა თავისუფლებას და იძულებას შორის, არის მთავარი, ერთადერთი პირობა მისი სიმაგრის და ხანგრძლივობის, კერძო ინიციატივა ხალხური თანაბრობის ფარგლებში, სახელმწიფო და საზოგადო ინიციატივა სოციალური სარგებლობის ჩარჩოში–აი მთავარი ხაზი ნაციონალური ეკონომიკის" (7, 327).

ამრიგად, მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართულმა ცივილიზაციამ უპრეცედენტო მწვერვალს მიაღწია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანალოგი მაშინდელ მსოფლიოში არ არსებობდა და საქართველოს რესპუბლიკა ყო-

ელმხრივ სამაგალითო იყო მაშინდელი მსოფლიოსათვის. ამ რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლები დაცლილნი იყნენ ეგოისტური, კერძო, კუთხური, ნათესაური ტენდენციებისაგან. ისინი ყოველდღიურობის მოთხოვნილებებზე უფრო მაღლა დგებოდნენ და მხოლოდ საერთო სახელმწიფო ინტერესების საფუძველზე მოქმედებდნენ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, დემოკრატიული ინსტიტუტები, მართვის პრაქტიკა, საკონსტიტუციო პრინციპები, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გამგებლობის თავისებურებები რეალური შერწყმა იყო მაშინდელი დროისათვის მოწინავე, ნამდვილი სოციალური იდეებისა და კონსერვატიული, კერძო მესაკუთრული ტენდენციებისა. მათ ნაყოფიერი ნიადაგი ჰპოვეს ტრადიციულ, ქართულ კერძო მესაკუთრული მეურნეობის საფუძველებზე განვითარებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში, რომელთა ამოსავალი პრინციპები ყოველთვის იყო ინდივიდუალური დამოუკიდებლობა, თავისუფლება, საზოგადოებრივი თანასწორობა, პიროვნული ღირსების გრძნობა და თავისთავადი კულტურისადმი კუთვნილება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოწყობა ამჟამად ყველა განვითარებული დასავლური ტიპის სახელმწიფოთა არსებობის, სტაბილურობის, დემოკრატიულობისა და სამეურნეო პრაგმატულობის ამოსავალ დებულებად შეიძლება იქნეს მიჩნეული. სამწუხაროდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უდიდესი წვლილი თანამედროვე ევროპული ცივილიზაციის განვითარებაში არ არის სათანადოდ შესწავლილი, გაანალიზებული და დაფასებული. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მინიმალური მატერიალური რესურსების პირობებში შესძლო ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება, სოციალური და ეკონომიკური რეფორმების ჩატარება. ასეთი მიღწევები განპირობებული იყო სახელმწიფო აპარატის მწყობრი მუშაობით, უანგარობით და თავდადებით, როდესაც აბსოლუტურად გამორიცხული იყო კორუფცია. ეს მართლაც საქართველოს ოქროს ხანა იყო,

ხალხი და ხელისუფლება ერთ მთლიანს წარმოადგენდა და მიუხედავად გაჭირვებისა, ყველას ღირსეულად ეჭირა თავი.

ეს იყო ეროვნული ენერგიის არაჩვეულებრივი გამოყენისა და გაფურჩქვნის პერიოდი, როდესაც უსრუნველყოფილი იყო სიტყვის, შეკრების, არჩევითობის, მცირე ეროვნებებისა და რელიგიურ უმცირესობათა უფლებები. ყველაფერი კეთდებოდა სამართლიანობისა და კანონიერების, პიროვნების ხელშეუხებლობისა და ღირსების დასაცავად. მემედ აბაშიძე ასე აგვიწერს ამ შეუდარებელ ვითარებას: „დღიდან დღეზე, კვირიდან კვირემდე, თვიდან თვემდე მედგრად და შეუპოვრად საქართველო განაგრძობდა თავის სწორი გზით სვლას, მას ეროსელაც არ უღალატნია ამ გზისათვის და ამით მან ბევრ რამეს მიაღწია. მან.... დაამყარა საუცხოო წესრიგი, გაკაფა გზა უკეთეს მერმისისათვის, აღმართა დროშა ძმობისა და ერთობის განმამტკიცებელი. და ეს მოიმოქმედა მან საერთო ნგრევისა და რღვევის ხანაში" (1, 257). იმდროინდელი საზღვარგარეთული პრესა ცოცხლად ეხმაურებოდა საქართველოში მიმდინარე დადებით მოვლენებს. მაგალითად, ინგლისურ ჟურნალში „მახლობელი აღმოსავლეთი" გამოქვეყნებულ წერილში (1920 წლის სექტემბერი) ვკითხულობთ,–"ის ფაქტი, რომ ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე საქართველო უკეთეს პირობებშია, ამტკიცებს, მხოლოდ საქართველოს მმართველთა და ქართველი ხალხის გონიერებასა და სიბრძნეს" (9, 82). გაზეთი „ბოსფორი" კი „თბილისი–ბათუმით ევროპა–აზიის სიდს უწოდებდა და აღნიშნავდა, რომ ქართველ ხალხს საყვარელი ბელადები ჰყავთ, რომელთაც ბრძნული პოლიტიკით დაამტკიცეს, რომ აქვთ ცოდნა და უნარი უსელმძღვანელონ სახელმწიფოსო" (9, 82).

ქართველი სოციალ-დემოკრატების ეს დახასიათება სულაც არ იყო უსაფუძვლო. ქართული კულტურა ტრადიციულ ინდივიდუალისტურ ფსიქოლოგიას ეყრდნობოდა, რაც თავისთავადობის, ინიციატივობის, დამოუკიდებლობის, პიროვნული ღირსებისა და შემეცნებითი ინტერესის მოთხოვნილებებს აყალიბებდა. ამ თვალსაზრისით ქართული კულტურა ძალიან

ახლოს იდგა დასავლურ ევროპულ კულტურასთან. ასეთი კულტურის მატარებელი ერის გაერთიანება და მართვა მხოლოდ საეროო შეთანხმების ანუ დემოკრატიული კონსენსუსის პრინციპზე იყო შესაძლებელი, როდესაც საზოგადოების ყველა წევრს რეალურად ეძლევა სახელმწიფოს მართვის სტრუქტურებზე ზემოქმედების საშუალება.

ზუსტად ასეთი სახელმწიფო იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლის ანალოგი მაშინ არაოუ კავკასიაში, არამედ, საეროოდ მსოფლიოშიც კი არ არსებობდა. ის ევროპული სახელმწიფოებრივი განვითარებისა და ევროპული სახელმწიფოს მოწყობის შესახებ აზროვნების კანონზომიერ შერწყმისა და განხორციელების მწვერვალს წარმოადგენდა ქართულ ეროვნულ ნიადაგზე. ამავე დროს ერთ-ერთი პირობა, რომელმაც განსაზღვრა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმატებები, იყო მაშინდელი სტანდარტებით საქართველოს მოსახლეობის კულტურული განვითარების საკმაოდ მაღალი დონე. მაგალითად, 1913 წლის მონაცემებით წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვის მიხედვით საქართველო მოწინავე ადგილებზე იდგა რუსეთის იმპერიაში (6, 711).

1920 წლის შემოდგომაზე საქართველოში მეორე ინტერნაციონალის ბელადები – კაუტცკი, ვანდერველდე და სხვები ჩამოვიდნენ. ისინი აღფრთოვანებულები იყვნენ საქართველოს დემოკრატიული „ოაზისით". თუ დეტალურად გავაანალიზებთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევებს, ფუნქციებს და გარდაქმნებს საესებით სამართლიანად შეიძლება ვისაუბროთ მაშინდელ საქართველოში წარმოქმნილი დემოკრატიული ინსტიტუტების ეტალონურ ხასიათზე, რომლებიც შეიძლება გამხდრიყვნენ და შემდგომ მართლაც გახდნენ ჰარმონიული სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელად, სადაც უზრუნველყოფილი იყო საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივ-სოციალური ინტერესებისა და ტენდენციების შეთანხმება-კონვერგენცია კერძო კაპიტალთან და კაპიტალისტურ ტენდენციებთან.

ზუსტად ამ გზით განვითარდნენ შემდგომში დასავლეთ ევროპული ქვეყნები და ამიტომ უსარმაზარია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წვლილი თანამედროვე ცივილიზაციის ფორმირებაში, თუმცა ის სათანადოდ შეფასებული არ არის. უმნიშვნელოვანესია ის, რომ 1918–1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საქართველოს ახალ ისტორიაში პირველი დემოკრატიული სახელმწიფო იყო. ამიტომ ამ სახელმწიფოს მითოლოგიური პირველობის უპირატესობის შესაბამისად, მის სახელმწიფოებრივ კონსტრუქტებს ღვთიურობის მაგვარი ღირებულება ენიჭება და მათი შეცვლა სახელმწიფოებრივი მემკვიდრეობითობის პრინციპის დარღვევის ტოლფასია, რაც დემოკრატიულ სახელმწიფოში ეოლუნტარიზმის დაშვების საფუძველია და არასტაბილურობის გამომწვევი რეალური ფაქტორია.

ამგვარად სინთეზური კულტურა შეიძლება გაიგივებული იქნეს ნებაყოფლობით ორგანიზებულობასთან, როდესაც ადამიანი გაცნობიერებულად და ძირითადად საკუთარი პრაგმატული ინტერესებიდან გამომდინარე თანახმაა საკუთარ თავზე აიღოს საზოგადოებრივი ვალდებულებები, რომელთა სანაცვლოდ მას შესაძლებლობა ექნება ამ საზოგადოებაში გარკვეული უფლებები მიიღოს, რაც მის ინდივიდუალურ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს. აქ ორიენტირად აღებულია სახელმწიფო კანონების უპირატესობა ტრადიციებთან შედარებით, რადგან ტრადიციები ძალიან მრავალგვარია, ხშირად რეგიონების მიხედვით ერთმანეთის გამომრიცხავი და ამიტომ ისინი შეიძლება ინდივიდების ინტერესების შეხამების შემაფერხებელ და არა შემათანხმებელ ფაქტორებად იქცნენ. საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე ვალდებულების აღება თვითდისციპლინას განაპირობებს, რადგან აქ საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულება თავსმოხვეული კი არ არის, არამედ პირადი ინტერესების დამაკმაყოფილებელია, რადგან ასეთი საზოგადოება კი არ გვაიძულებს მოვიქცეთ ასე, თუ ისე, არამედ რეალურად ჩვენი გადაწყვეტილების საფუძველზე და ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე და

ჩვენთვის მისაღებად გამხდარი ქცევის წესები მაინ საყოველთაოდ გახდომის მიუხედავად არ კარგავენ ჩვენდამი კუთვნილების ფსიქოლოგიურ ფონს და ამიტომ არც განიხილებიან, როგორც თავსმოხვეულნი. სინოეზური კულტურა დაკავშირებულია შრომისმოყვარეობასთან, თავისუფლებასთან, თანასწორობასთან, ინდივიდუალიზმთან, გაცნობიერებულ კოლექტივიზმთან, პიროვნული ღირებულებების წინ წამოწევასთან, სამართლიანობის იდეების უპირატესობასთან ჯგუფურ თუ პირად ტენდენციურობასთან შედარებით, კერძო საკუთრების ინსტიტუტის დაცვასთან, ნებაყოფლობით კოლექტიური საკუთრების ინსტიტუტის შენარჩუნების პირობებში, პიროვნების დამოუკიდებლად მოქმედებაზე ორიენტირებულობასთან. აქ სტატუსური უპირატესობა მეტ ვალდებულებასთან და მოვალეობის აღებასთან არის გაიგივებული, ინიციატივა სტიმულირდება, რადგან ის ახალი შესაძლებლობების მოძიებასა და არსებულის წინ წაწევას გულისხმობს და ამიტომ ის ადამიანის თავისუფლად ინიციატივის გამოვლენის აუცილებელი კომპონენტია. აქ ქონებრივი, თანამდებობრივი, საეროოდ სტატუსური უპირატესობები მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების რიგითი, სოციალურად თანაბარი უფლებების მქონე პირების შეთანხმების საფუძველზე შეიძლება არსებობდნენ და იქნენ დაცულნი და ამიტომ ეს კულტურა ადამიანთა თანასწორობას უჭერს მხარს. საზოგადოება ერომანეთისაგან მკვეთრად გამოყოფილი ადამიანთა ერთობაა, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთობებს ერთმანეთთან შეთანხმებული პრინციპების საფუძველზე ამყარებენ, სულ ერთია ეს იქნება უმრავლესობა – უმცირესობისა, თუ კონსენსუსის პრინციპი. ბუნებრივია, რომ შეთანხმების შემდეგ არავის აქვს უფლება დაარღვიოს ის, რადგან ამ შემთხვევაში ეს იქნება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე აღებული ვალდებულების დარღვევა. აქ ურთიერთობებს არკვევენ სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე და არა საკუთარი პირადი ტენდენციების შესაბამისად, რადგან სამართლიანობის პრინციპი საკუთარი ქონების, ოჯახის, ღირ-

სების, პირადი თავისებურებებისა თუ სიცოცხლის ერთობლივად დაცვაზე არის ორიენტირებული და ამიტომ ამ მდგომარეობაში საკუთარ გადაწყვეტილებაზე უარის თქმა საკუთარ პიროვნულ ღირებულებაზე უარის თქმას უტოლდება. ამიტომაც არის, რომ ინდივიდუალიზმი გაიგივებულია საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად ქცევის წარმართვასთან, რომელიც ამავე დროს უმრავლესობასთან არის შეთანხმებული ანუ კოლექტივისტურია და ამიტომაც უმაღლეს და უპირობო ღირებულებად არის მიჩნეული. უმრავლესობასთან ეს შეთახმებულობა ზუსტად ინდივიდუალიზმისა და გაცნობიერებული კოლექტივიზმის მაგარანტირებელი ფაქტორია, ხოლო გონივრულობა უმაღლესი და შეუვალი ღირებულებაა, რადგან დემოკრატიული წეს-წყობილება ინდივიდუალურ მოთხოვნილებათა კოლექტიურ მოთხოვნილებებთან გონივრულ შეთანაწყობას გულისხმობს, როდესაც ინდივიდუალური თუ კოლექტიური უკიდურესობები უკუგდებულია და ზომიერი, ერთმანეთთან შეთანხმებული შეზღუდვების საფუძველზე, შემოღებულია მიზანშეწონილი, გონივრულად გაბალანსებული ქცევის წესები. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ჰარმონიულ ნებისყოფით ქცევას, რადგან ერთის მხრივ, ადამიანი საკუთარ თავზე ნებაყოფლობით იღებს ვალდებულებას შეზღუდოს საკუთარი ეგოისტური მიდრეკილებები, ხოლო, მეორე მხრივ, ვალდებულია სხვებთან თანაბრად მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების წინაშე მდგომი დაბრკოლებების გადასალახავად. ამრიგად, ზუსტად აქ არის უსრუნველყოფილი რეალურად მომავალზე ორიენტირებულობა, რადგან შებოჭილია ამ წუთიერი, ეგოისტური ტენდენციები, ხოლო ჯგუფური ინტერესების გათვალისწინებას, მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როდესაც ისინი საბოლოოდ ინდივიდუალურ ინტერესებს აკმაყოფილებენ ამჟამად, თუ არა მომავალში მაინც. ამავე დროს სინთეზური კულტურა წარსულის ღირებულებებსაც იყენებს, რადგან ისინი საზოგადოების გონივრულად მოწყობის შემთხვევაში კარგავენ საზოგადოების განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების შესაძლებლობებს. ამრიგად, სინ-

თეზური კულტურა მომაჟალზეა ორიენტირებული და უზრუნ-ველყოფს ადამიანის ისეთ დამოუკიდებლობას, რომელიც განამტკიცებს მის ღირსების გრძნობას და ამავე დროს საზოგადოების სრულუფლებიან წევრის განცდას, რადგან მას ყველასთან თანაბარი საშუალება აქვს ზემოქმედება მოახდინოს საზოგადოების მართვაზე და არ განიხილოს ხელისუფლება მისგან გაუცხოებულ და მის საწინააღმდეგო ადამიანთა ერთობლიობად.

დასავლური კულტურა თავიდანვე ეფუძნებოდა წერილ მესაკუთრეთა გაერთიანებას, რომლებიც დემოკრატიული სახელმწიფო მანქანის საშუალებით წინააღმდეგობას უწევდნენ უკიდურესად მდიდარი ადამიანების თვითნებობას, უკიდურესად ღარიბი ადამიანების ანარქიას, სტიქიურ უბედურებასა და გარეშე მტრებს. ამგვარად ინდივიდუალისტური მიდრეკილებიდან გამომდინარე, რომლის საფუძველი იყო გონივრული ეგოიზმი, დასავლური დემოკრატია ხელს უწყობდა კოლექტიური უშიშროების, კოლექტიური სამართლიანობის, კოლექტიური კანონიერებისა და საკუთრების ხელშეუხებლობის აუცილებლობას. ამ საზოგადოების ძირითად ღირებულებას ინდივიდუალიზმი წარმოადგენდა, რომელიც განპირობებული იყო კერძო საკუთრების არსებობით. ამგვარად, ადამიანის პიროვნების ღირებულება დამოკიდებული იყო საკუთრებაზე. მაგრამ შემდგომში ძირითადად დაქირავებით მუშაობის გამო (Фромм Э., 1990, 207) ინდივიდუალიზმის რეალური საფუძველი კერძო საკუთრების სახით, მოსახლეობის უმრავლესობისათვის პრაქტიკულად აღარ არსებობდა ინდუსტრიულ საზოგადოებაში. აქ რჩება ინდივიდუალიზმის მოჩვენება, რომელიც ფსევდოინდივიდუალიზმში გადაიზარდა, რადგან მატერიალური კეთილდღეობის მუდმივი აღდგენის პერსპექტიული შესაძლებლობები დამქირაველის გარეშე, როგორც ეს იყო უწინ მიწაზე კერძო საკუთრების პირობებში, ადამიანს არ აქვს. ის მთლიანად დამოკიდებულია დამქირაველზე. ის ფსიქიკური გადატვირთვის მსხვერპლი ხდება, რაც მას სამსახურის მიღმა აბსოლუტურ უსაქმურობაზე, გართობაზე და თავდა-

ვიწყების სურვილზე უბიძგებს და რაც მისთვის ფიზიკურ მოთხოვნილებას უტოლდება (Фромм Э., 1990,167).

აღმოსავლური კულტურა თავიდანვე ეფუძნებოდა ტრადიციულ, სამემკვიდრეო სათემო თუ სახელმწიფო საკუთრებას წარმოების საშუალებებზე. რაც, როგორც ჩანს, განპირობებული იყო ინდივიდუალური წესით მიწის დამუშავების სიძნელეებით, შედარებით მრავალრიცხოვანი მოსახლეობის პირობებში. ამის გამო, რადგან საჭმლის, დაცვის, საცხოვრებლის მინიმალური მოთხოვნილებები უზრუნველყოფილი იყო თემის ან და სახელმწიფოს მიერ, სოლო კერძო საკუთრება, როგორც ასეთი, ინსტიტუტი მოსახლეობის უმრავლესობისათვის არ არსებობდა, ამიტომ საკუთარი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება დამოკიდებული იყო კოლექტივიზმის გამოვლენის ხარისხზე, რომელიც აიძულებდა ადამიანებს ორიენტირებული ყოფილიყვნენ თანამშრომლობაზე, სოლიდარობაზე, ურთიერთდახმარებაზე, თანაგანცდაზე, თანაგრძნობაზე და რაც ყველაზე მთავარია, ამ საზოგადოებაში, იმის მიუხედავად, რომ ადამიანები ძალიან დამოკიდებულნი იყვნენ თემზე და სახელმწიფოზე, ადამიანი აქ ფასობდა არა მისი საკუთრების შესაბამისად, არამედ მისი პირადი თვისებების შესაბამისად, ესე იგი იმის მიხედვით, თუ როგორი იყო ის თვითონ, როგორი იყო მისი ყოფიერება, არსებობა. მაგრამ აქაც, აგრეთვე არ არის რეალური კოლექტივიზმი, რადგან ადამიანი მთლიანად დამოკიდებულია საზოგადოებაზე და ამიტომ მისი კოლექტივიზმი არანაირად არ არის დამოკიდებული მის პირად პოზიციასთან, მის ნებისყოფასთან და ამიტომ იძულებითი კოლექტივიზმი ფსევდოკოლექტივიზმია.

აქედან კი რეალურად დემოკრატიული საზოგადოება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ როგორც ერთი (დასავლური) ისე მეორე (აღმოსავლური) კულტურები ახდენენ ერთმანეთზე ზეგავლენას, ერთიანდებიან და ქმნიან სინთეზს. თეორიულად ასეთი სინთეზი დამუშავებულია სოციალურ ფსიქოლოგიაში კომუნიტარიანიზმის კონ-

ცეფციის სახით (Майерс Д., 2000, 254). ცნობილია, რომ ქართულ კულტურას მიაკუთვნებენ კულტურას, რომელიც წარმოიშვა დასავლური და აღმოსავლური კულტურების საფუძველზე (გამსახურდია კ. 1983, 294-296). ამასთან დაკავშირებით, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921წ.) შეიძლება ჩაითვალოს პირველ სერიოზულ მცდელობად დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებაში -კაპიტალიზმის ეპოქაში, როდესაც რეალურად გახდა შესაძლებელი შეთანხმებული ყოფილიყო საზოგადოების ფორმირების დასავლური და აღმოსავლური ტენდენციები. საქმე იმაშია, რომ საქართველოში, პირველი რესპუბლიკის ჩამოყალიბების პერიოდისათვის, მოსახლეობა, მნიშვნელოვანწილად, წვრილბურჟუაზიული იყო, რომლის განკარგულებაში იყო მიწის ნაკვეთები. ბუნებრივია, რომ ისინი, როგორც კერძო მიწათმფლობელები, დაინტერესებულნი იყვნენ ქვეყნის დემოკრატიულ მმართველობაში და მათი ინდივიდუალიზმის საფუძვლად ჯერ კიდევ რჩებოდა მიწაზე მათი კერძო საკუთრება. ამასთან ერთად ფსიქოლოგიურად ისინი იყვნენ აღმოსავლური კოლექტივიზმის ტრადიციების ძლიერი ზეგავლენის ქვეშ, რომელიც ძლიერდებოდა საქართველოს მუშათა კლასის მიერ და ის როგორც უქონელი კლასი თავისი ფსიქოლოგიური ნირით უახლოვდებოდა აღმოსავლეთის ქვეყნების მოსახლეობის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, რადგან მათთვის დამახასიათებელი იყო კოლექტივიზმი. მაგრამ ბუნებრივია, რომ საქართველოს მუშათა კლასი იყო ქართული ინდივიდუალიზმის ძლიერი ზეგავლენის ქვეშ, რადგან მათი უმრავლესობა კერძო მესაკუთრეთა ოჯახებიდან იყვნენ გამოსულები. ყოველი ზემოთ თქმულის გამო იმ პერიოდის საქართველოში შეთავსებული იყო რეალური ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი, რამაც განაპირობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო მოწყობის უნიკალობა და ეტალონურობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. აბაშიძე, თხზულებანი,სახალხო წიგნი,თბ., 1998, 654 გვ.

2. ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, ვ. მელიქიშვილი, შ. მესხია, ჰ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, საბჭოთა საქართველო, თბ., 1958, 600 გვ.

3. კ. ვამსახურდია, თხზულებათა ათტომეული, ტ.VII, საბჭოთა საქართველო, თბ., 1983, 501 გვ.

4. რ. ეორდეზიანი, ბერძნული ცივილიზაცია, ნაკვეთი I, გმირთა ეპოქიდან არქაიკამდე, მერანი, თბ., 1988, 318 გვ.

5. კ. იუნგი, განსხვავება აღმოსავლურ და დასავლურ აზროვნებას შორის, მანდარიას სტამბა, ქუთაისი, 2005, 64 გვ.

6.ვ.მელიქიშვილი,(მთ. რედ.),საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.,VI, საბჭოთა საქართველო, თბ., 1972, 789 გვ.

7.ნ. ჟორდანია, რჩეული ნაწერები, საქართველო, თბ., 1990, 418 გვ.

8.ს. წერეთელი, ანტიკური ფილოსოფია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1968,450 გვ.

9..დ. ქუმბერიძე, აჭარის საკითხი 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი, მემატიანე, თბ., 1999, 107 გვ.

10.Водовозов В., Демократия, Энциклопедический словарь, Т.Х, И А.Ефрон, СПб. 1993. 368-371 с.

11..Жуков Е.М.,(гл. ред.), Всемирная история,Т..III. Политиздат, М., 1957, 896 с.

12..Майерс Д.,Социальная психология, Питер, СПб., 2000, 688 с.

13..Моль А.,Социодинамика культуры,Прогресс, М..1973,406 с.

14. Фромм Э.,Иметь или быть?.Прогресс, М., 1990. 336 с.

15.Hamad M.. Maghraoui.A. (2007). Liberalism Without Democracy: Nationhood and Citizenship in Egypt, 1922-1936. Durham, NC: Duke University Press. In.; Comparative Political Studies,V., 41. N., 8, August 2008, 1165-1168 p.

Guram Chaganava

Psychological Aspects of Synthetical Georgian Culture

Summary

The West culture primordially was founded on association of petty owners, who by means of democratic state machine withstood the arbitrariness of the exceedingly rich, anarchy of the exceedingly poor person, natural disaster and external enemy. Thereby, coming from the individualistically impetus, the base of which was reasonable egoism, west democracy promoted the need of collective security, collective fairness, collective legality and inviolability of the property. The Main value of this society was individualism, which was mediated by the presence of the private ownership. Thereby, personality of the man gained value depending on property. However, subsequently, in relationship basically of the work on hiring (Fromm E., 1990,207) the real basis of the individualism, in the manner of quotient of the property, practically disappears for majority of the population of the industrial society. Remains visibility of the individualism, which changes in pseudo individualism since perspective possibility for constant recovering of material well-being regardless of employer, as this was earlier in condition of the quotient of the property to the land the person has no in a new condition. He completely depends on employers, falls victim of overstrains that pushes him on external distraction. Absolute idleness, amusement and desire to be forgotten becomes for him the physical need(Fromm E., 1990,167).

The Oriental culture primordially was founded on the basis of traditional, hereditary communal or state property on capital goods, that, probably, was mediated by difficulty of cultivation of the land individually at presence relatively numerous population. In these conditions, since minimum need for food, defense and shelter were provided by commune or state, but quotient to property as such for majority of the population did not exist, so the preservation of persons vital activity depended on degree of the manifestation of the collectivism,

which compelled the people towards cooperation, solidarity, mutual assistance, getting mutual emotional experiences, , empathy and that, mostly valuable, that in this society in spite of the fact that people heavily depended on commune or state, however person was here valued not depending on presence of the property but depending on their own personal quality i.e. depending on that what he is himself, i.e. according of his existence, his being. However, here also is not the real collectivism since person completely depends on society and so his collectivism at all is not connected with his personal position, with his will, and so emergency collectivism is pseudo collectivism. Thence real democratic society can exist in that event only if the west and the oriental cultures influence to each other, unite and form the syntheses. Theoretically such syntheses is designed in social psychology in the of concept of communitarianizm (Mayers D.,2000, 254). It is famous, that Georgian culture already long ago refers to the culture, which appeared on base of the syntheses west and east (oriental) cultures (Gamsahurdiya K., 1983, 294-296). In this connection we think that Georgian Democratic Republic (1918-1921) can be considered as first serious attempt of the formation of the democratic society in epoch of capitalism, in which really became possible to combine west and east trends of the shaping the society. This is because, that in the period of the forming the first republic, the population, to a considerable extent, was petty-bourgeois, at the disposal of which were the areas of the land. Naturally that they as quotient landowner were interested in democratic rule of the country and the base of their individualism still remained their private property of the land. Together with this mentally they were under strong influence of the traditions of the oriental collectivism, which was increased by the working class of Georgia, which as poor class on its psychological attitude approached to the psychological condition of the population of the eastern countries, because for them was a typical collectivism. However worker class of Georgia naturally was also under deep influences of Georgian individualism, since majority of them were by their descent from the families of private landowners. As a result in Georgia of that period there were the joining of the real individualism

and the real collectivism that determined the unicity of the model of the state device of the Georgian Democratic Republic.

Гурам Чаганава

Психологические аспекты синтезности грузинской культуры

Резюме

Западная культура изначально основывалась на объединении мелких собственников, которые посредством демократической государственной машины противостояли своеволию чрезвычайно богатых, анархии чрезвычайно бедных, стихийным бедствиям и внешним врагам. Таким образом, исходя из индивидуалистического побуждения, основой, которой являлся разумный эгоизм, западная демократия способствовала необходимости коллективной безопасности, коллективной справедливости, коллективной законности и неприкосновенности собственности. Основной ценностью этого общества являлся индивидуализм, который был опосредован наличием частной собственности. Таким образом, личность человека приобретала ценность в зависимости от собственности. Однако, впоследствии, в связи, в основном, работой по найму (Фромм Э., 1990,207) реальная основа для индивидуализма, в виде частной собственности, практически исчезает для большинства населения индустриального общества. Остается видимость индивидуализма, который превращается в псевдоиндивидуализм, т.к. перспективной возможности для постоянного восстановления материального благосостояния независимо от нанимателя, как это было раньше в условиях частной собственности на землю у человека нет. Он полностью зависит от нанимателей, становится жертвой перенапряжения, что толкает его на внешнее отвлечение. Абсолютная праздность, развлечение и желание забыться становится для него физической потребностью (Фромм Э., 1990,167).

Восточная культура изначально основывалась на традиционной, наследственной общинной или государственной собственности на средства производства, что, вероятно, было опосредовано трудностями возделывания земли в индивидуальном порядке, при наличии сравнительно многочисленного населения. В этих условиях, так как минимальные потребности в пище, защите, крове обеспечивались общиной или же государством, а частной собственности как таковой для большинства населения не существовало, то сохранение своей жизнедеятельности зависела от степени проявления коллективизма, который вынуждал людей к сотрудничеству, солидарности, взаимопомощи, сопереживанию, сочувствию и что, самое главное, в этом обществе, несмотря на то, что люди сильно зависели от общины или государства, тем не менее, человек здесь ценился не в зависимости от наличия собственности, а в зависимости от своих личных качеств, т.е. в зависимости от того каким он является сам, т.е. каково его бытие. Однако здесь также нет реального коллективизма, т.к. человек полностью зависит от общества и поэтому его коллективизм никак не связан с его личной позицией, с его волей, а поэтому вынужденный коллективизм является псевдоколлективизмом. Отсюда реально демократическое общество может существовать только в том случае, если как одна (западная культура) так и другая (восточная культура) взаимно влияют, объединяются и образуют синтез. Теоретически такой синтез разработан в социальной психологии в виде концепции коммунитарианизма (Майерс Д.,2000, 254). Известно, что грузинскую культуру уже давно относят к культуре, которая возникла на основе синтеза западной и восточной культур (Гамсахурдия К.,1983,294-296). В связи с этим мы предполагаем, что Грузинская Демократическая Республика (1918-1921) может считаться первой серьезной попыткой образования демократического общества в эпоху капитализма, в которой реально стало возможным совместить западные и восточные тенденции формирования общества. Дело в том, что в Грузии, к периоду образования первой республики, население, в значительной степени, было мелкобуржуазной, в распоря-

жении которой имелись земельные участки. Естественно, что они как частные землевладельцы были заинтересованы в демократическом правлении страны и основой их индивидуализма все еще оставалась их частная собственность на землю. Вместе с этим психологически они были под сильным воздействием традиций восточного коллективизма, которое усиливалось рабочим классом Грузии, который как неимущий класс по своему психологическому складу приближался к психологическому состоянию населения восточных стран, т.е. для них был характерен коллективизм. Однако рабочий класс Грузии естественно был и под сильным влиянием грузинского индивидуализма, так как большинство из них были выходцами из семей, имеющих частное землевладение. В результате в Грузии того периода имелось совмещение реального индивидуализма и коллективизма, что и опосредовало уникальность и эталонность государственного устройства Грузинской Демократической Республики.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ეკონომიკა Economics Экономика

ჟანი მიქაშავიძე, ვახტანგ მიქაშავიძე – სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარება - ქვეყნისა და რეგიონების ეკონომიკური უსაფრთხოების პრიორიტეტული მიმართულება 5

Zhani Mikashavidze, Vakhtang Mikashavidze – Development of Heat-and-power Engineering Complex is an Economical Priority Direction in State and Regional Security 20

Жани Микашавидзе, Вахтанг Микашавидзе – Развитие теплоэнергетического комплекса – приоритетное направление экономической безопасности государства и региона 20

პაატა ჩაგანავა – მოლაპარაკების პროცესში ფასის დადგენის მექანიზმი და მასთან დაკავშირებული რისკების მართვა 22

Paata Chaganava – Pricing Mechanism During Negotiations and Management of Related Risks 46

Паата Чаганава – Механизм установления цены в процессе переговоров и управление связанными с ним рисками 47

ბესიკ ბოლქვაძე – საქართველოს საბანკო ეკონომიკა საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის პირობებში 49

Besik Bolkvadze – The Banking Economy of Georgia in Conditions of The Global Financial-Economic Crises 66

Бесик Болквадзе – Банковская экономика Грузии в условиях глобального финансово-экономического кризиса 66

ლამარა მიქელაიშვილი – მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები 68

Lamara Mikelaishvili – Worldwide Economic Crisis and Problems of Food Security 77

Ламара Микеланшвили – Всемирный экономический кризис и проблемы продовольственной безопасности 78

ვაჟა ანანიძე – ეკონომიკის სტრუქტურის გარდაქმნა – არსი, მიზეზები, ტერმინოლოგიური აპარატი 79

Vazha Ananidze – The Conversion in Economy – its Essence. Reasons, Terminological Apparatus 87
Важа Ананидзе – Перестройка структуры экономики – сущность, причины, терминологический аппарат 88

ნოდარ ვერულიძე – აგრარული სექტორის განვითარების პრობლემები 90
Nodar Verulidze – Problems of the Development of Agriculture Sector 98
Нодар Верулидзе – Проблемы развития аграрного сектора 98

მალხაზ სიორიძე – ბათუმ-ყარსის რკინიგზის პროექტი 99
Malhaz Sioridze – Project of Batum-Karss Railway 112
Малхаз Сиоридзе – Проект Батум-Карсской Железной дороги 113

ოთარ თურმანიძე – აჭარის ინდუსტრიის კადრების ტექნიკური შემოქმედება (XX საუკუნის 30-იანი წლები) 112
O. Turmanidze – industrial staff and technical progress in adjara (xx c. 30years) 119
Турманидзе О. М. – Техническое творчество индустриальных кадров Аджарии (30ые г. XX в.) 119

სოციოლოგია Sociology Социология

კონსტანტინე ღლონტი – საზოგადოებრივი და შრომითი აქტიურობის სოციალური მომენტები 120
Constantine Glonti – Social Moments of Public and Labor Activity 132
Константин Глонти – Социальные моменты общественной и трудовой активности 132

ფსიქოლოგია Psychology Психология

გურამ ჩაგანავა – ქართული კულტურის სინთეზურობის ფსიქოლოგიური ასპექტები 133
Guram Chaganava – Psychological Aspects of Synthetical Georgian Culture 159
Гурам Чаганава – Психологические аспекты синтезности грузинской культуры 161

გამომცემლობის დირექტორი
ნანა ხახუტაიშვილი

გამომცემლობის რედაქტორი – ლალი კონცელიძე
ტექნიკური რედაქტორი – ედუარდ ანანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.06.2009
ქაღალდის ზომა 60X84 1/16
ფიზიკური თაბახი 10,4
ტირაჟი 100

ფასი სახელშეკრულებო

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში
ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35